ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

სამშაბათი, 27 აგვისტო, 2013 №202 (6203) ფასი: 30 თეთრი

## გამოკითხულთა 29,5 პროცენტს საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება მოსწონდა და ახლა უფრო მეტად მოსწონს

გამოკითხულთა 29,5 პროცენტს საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება მოსწონდა და ახლა უფრო მეტად მოსწონს. ასეთია საკვლევ-საკონსულტაციო ცენტრ „ფსიქოპროექტის“ საზოგადოებრივი აზრის კვლევების შედეგები, რომლის პრეზენტაციაც დღეს თბილისში, სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ გაიმართა. კითხვაზე – როგორია დამოკიდებულება დღევანდელი ხელისუფლებისადმი – 29,5 პროცენტი აცხადებს, რომ მოსწონდა და უფრო მეტად მოსწონს. 19,6 პროცენტს მოსწონდა და ახლა აღარ მოსწონს. 6,6, პროცენტს არ მოსწონდა და ახლა მოსწონს. 11,7 პროცენტს არასდროს მოსწონდა და არც ახლა მოსწონს. 5,7 პროცენტს როგორც ადრე მოსწონდა, ისევ ისე მოსწონს. 0,3 პროცენტს მოსწონდა და იმედი აქვს, რომ მეტს გააკეთებენ. 1 პროცენტს მეტი მოლოდინი აქვს. 4,9 პროცენტი ნეიტრალურად არის განწყობილი. 0,4 პროცენტი მიიჩნევს, რომ ხალხისთვის არაფერია სასიკეთო. 0,5 პროცენტს უკეთესის იმედი აქვს. 0,3 პროცენტს მოსწონდა, ახლა კი აღარ იცის. 3,3 პროცენტი პასუხზე უარს აცხადეს, ხოლო 13,4 პროცენტს პასუხის გაცემა უჭირს. კვლევის შედეგები „ფსიქოპროექტის“ დამფუძნებელმა ზურა ბიგვავამ წარმოადგინა. როგორც აღინიშნა, კვლევა 2013 წლის 1-დან 8 აგვისტოს ჩათვლით მიმდინარეობდა. მასში საქართველოს 11 რეგიონის (როგორც ქალაქის, ისე სოფლის) მოსახლეობა მონაწილეობდა. შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე სულ 2 028 სრულწლოვანი რესპონდენტი გამოიკითხა. მისი მიზანი იყო მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე საზოგადოებრივი აზრის შესწავლა.

კვლევა კოალიცია „ქართული ოცნების“ დაკვეთით ჩატარდა.

მედიანიუსი

# გიორგი გუგავა: „ივანიშვილმა არც ერთი სოციალური დაპირება არ შეასრულა“



„საწვავის ნაწილს აკონტროლებს საყაშვილის ოჯახი, ნაწილს კი – ივანიშვილის გარემოცვა“ გვ.3

## მაია ფანჯიკიძე: „ლავროვს არასწორად გაუგია პრემიერ-მინისტრის განცხადება“

გვ.2



გვ.2 **ბიძინა ივანიშვილის საქმიანობა გამოკითხულთა 35 პროცენტს მოსწონს**

## რატომ ყოვნდება აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარება რუსეთის მხრიდან?

გვ.5





## ირინა სარიშვილი: „ივანიშვილისთვის ხელსაყრელია საკუთარ გუნდში დაპირისპირება“

გვ.4

# ქართული მედიასივრცის ახალი რეალობა

გვ.6



## გიგი კალანდაძე წულუკიანისა და ალასანიას წინააღმდეგ

გვ.4

## ბურჯანაძისა და დავითაშვილის პოზიცია ერთმანეთს ემთხვევა





გვ.5

## პაატა დავითაია: „მოვუწოდებ საგარეო საქმეთა სამინისტროს, დაიბაროს იტალიის ელჩი“

გვ.2



ISSN 1987-9385

4 „საქართველოს ბანკის“ სერვის-ცენტრზე თავდასხმა მოხდა

7 ბარაბაქეები 150 დღეა მთავრობისგან შველას ითხოვენ

2 რუსეთი აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით, თავის პოზიციას არ ცვლის

7 წყალმომარაგება სოფლების ყველაზე დიდ პრობლემად რჩება

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# მაია ფანჯიკიძე: „ლავროვს არასწორად გაუგია პრემიერ-მინისტრის განცხადება“

შორენა გონგლაძე

საქართველოს საგარეო უწყება რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის ბიჭვინთაში ვიზიტს პროვოკაციას უწოდებს. როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ განაცხადა, რუსეთის პრეზიდენტის ბიჭვინთაში ვიზიტი კიდევ ერთი პროვოკაციაა. მინისტრის განცხადებით, საქართველოს მხარემ შესაბამისი საპროტესტო ნოტა შვეიცარიის გავლით უკვე გაუგზავნა რუსეთის ფედერაციას.'რასაკვირველია, ეს არის ჩვენ მიერ დაგმობილი, როგორც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის კიდევ ერთხელ ხელყოფა ასეთი გზით,'– აცხადებს ფანჯიკიძე.



ფანჯიკიძე სერგეი ლავროვის მიერ გაკეთებულ განცხადებასაც გამოეხმაურა იმასთან დაკავშირებით, რომ იგი მიესალმება საქართველოს პირდაპირ დიალოგს აფხაზებთან და ოსებთან მისი თქმით, როგორც ჩანს, ფანჯიკიძის თქმით, სერგეი ლავროვმა არასწორად გაიგო პრემიერ-მინისტრის განცხადება.

როგორც მაია ფანჯიკიძემ განმარტა, პრემიერ-მინისტრის განცხადებაში არ არის საუბარი იმ კონტექსტზე, რომელსაც სერგეი ლავროვი გულისხმობს, რადგან იქ არის საუბარი ნდობის აღდგენაზე ქართველებსა და აფხაზებს, ასევე ქართველებსა და ოსებს შორის.'

– როგორც ჩანს, სერგეი ლავროვს არასწორედ გაუგია პრემიერ-მინისტრის განცხადება ამასთან დაკავშირებით. პრემიერის განცხადებაში საუბარია იმაზე, რომ უნდა ვაღიაროთ ჩვენ შეცდომები და ვეცადოთ, რომ ვიპოვოთ ერთმანეთისკენ მისასვლელი გზები. მხოლოდ ამის შემდეგ ეკონომიკური წარმატებისა და ქვეყნის განვითარების პარალელურად ჩვენ გვექნება იმის საშუალება, რომ აფხაზ და ოს ძმებს დავუდასტუროთ ის, რომ ჩვენ გვინდა მათთან ერთად ცხოვრება და დავსახოთ ერთად ერთიან ქვეყანაში ცხოვრების მომავალი,'– განაცხადა მაია ფანჯიკიძემ. მისი განცხადებით, სწორედ ამაზე იყო საუბარი პრემიერის განცხადებაში და არა იმაზე, რომ საქართველო, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან დაამყარებს პირდაპირ დიალოგს. ამასთან, როგორც მინისტრმა აღნიშნა, ქართულ მხარეს დიალოგი გარკვეულ დონეზე უკვე დაწყებული აქვს და ამ დიალოგის გაგრძელება და გაღრმავებაა ქართული მხარის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა და სწორედ ეს არის შერიგებისკენ გადადგმული ნაბიჯები, რომლისთვისაც საქართველო მზად არის. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა „აფხაზ და ოს ძმებთან პირდაპირი დიალოგისთვის' მზადყოფნა 8 აგვისტოს გორში, სამხედრო მოსამსახურეების ფიცის დადების ცერემონიაზე სიტყვით გამოსვლისას გამოთქვა. ბიძინა ივანიშვილი დარწმუნებულია, რომ საერთო ენის გამონახვა და დაშვებული შეცდომების გამოსწორება ჯერ კიდევ შესაძლებელია.

ფანჯიკიძემ იმ ვალდებულებებზეც ისაუბრა, რაც რუსეთს აქვს აღებული

– ძალის გამოუყენებლობის შესახებ ვალდებულება საქართველოს უკვე აღებული აქვს და შესრულებული, ახლა კი ჯერი რუსეთზეა, – აცხადებს მაია ფანჯიკიძე. ფანჯიკიძე ძალის გამოუყენებლობის შესახებ შეთანხმების გაფორმებასთან დაკავშირებით რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, სერგეი ლავროვის განცხადებას გამოეხმაურა. როგორც მაია ფანჯიკიძემ აღნიშნა, სერგეი ლავროვის განცხადებაში აღსანიშნავია ერთი შენიშვნა, როდესაც იგი ძალის გამოუყენებლობის შესახებ შეთანხმებაზე საუბრობს. მინისტრის განცხადებით, ძალის გამოუყენებლობის შესახებ შეთანხმება არის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შემადგენელი ნაწილი და ეს შეთანხმება შედგა საქართველოსა და რუსეთს შორის 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ. სწორედ ამ შეთანხმების შესასრულებლად არის შექმნილი ჟენევის ფორმატი. როგორც მინისტრმა აღნიშნა, ჟენევის ფორმატში ქართული მხარე ყოველთვის ცდილობს, რომ ეს ვალდებულება ძალის გამოუყენებლობის შესახებ აიღოს რუსეთმაც და ამაზე მიდის საუბარი და მუშაობა. „საქართველოს ცალმხრივად აქვს აღებული ვალდებულება ძალის გამოუყენებლობის შესახებ. ეს მოხდა პირველად 2010 წელს, როდესაც საქართველოს პრეზიდენტმა გააკეთა განცხადება ამის შესახებ, ხოლო 2013 წელს ახალმა ხელისუფლებამ ეს განცხადება გაიმეორა. შესაბამისად, ცალმხრივად საქართველოს მხრიდან უკვე არის შესრულებული, ახლა კი ჯერი რუსეთზეა, რომელიც ამ ვალდებულებას – ძალის გამოუყენებლობის შესახებ არ ასრულებს,'– აცხადებს ფანჯიკიძე. მისივე განცხადებით, თუკი რუსეთი ფიქრობს, რომ ეს არის აუცილებელი და ამავდროულად ამ ვალდებულებას აიღებს თავის თავზე, საქართველო ამას მხოლოდ მიესალმება.

შეგახსენებთ, რომ რუსეთი იმედოვნებს, ძალის გამოუყენებლობის შესახებ დოკუმენტზე შეთანხმება უახლოეს მომავალში შედგება, – ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა აფხაზეთის ე.წ სახელმწიფო ტელე-რადიოკომპანიასთან ინტერვიუში განაცხადა. მისი თქმით, ამ მიმართებით სწრაფი სვლა არ შეინიშნება, თუმცა ძირითად საკითხებზე მხარეების თანხმობა არსებობს. „ვიმედოვნებთ, ამ ყველაფრის რეალიზება მოხდება და ერთხელ და სამუდამოდ შევთანხმდებით მოლაპარაკების და ძალის გამოუყენებლობის აუცილებლობაზე. არსებობს კონკრეტული წინადადებები, რომლებსაც პატიოსნად განხილვა და არსებული რეალობის გათვალისწინება სჭირდება. რეალობა კი ასეთია – უპირველეს ყოვლისა, უნდა მოილაპარაკონ აფხაზეთმა და საქართველომ, სამხრეთ ოსეთმა და საქართველომ'– განაცხადა ლავროვმა.

## ბიძინა ივანიშვილის საქმიანობა გამოკითხულთა 35 პროცენტს მოსწონს

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის საქმიანობა გამოკითხულთა 35 პროცენტს მოსწონს. ასეთია საკვლევ-საკონსულტაციო ცენტრ „ფსიქოპროექტის“ საზოგადოებრივი აზრის კვლევების შედეგები, რომლის პრეზენტაციაც დღეს თბილისში, სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ გაიმართა. კითხვაზე – რამდენად კმაყოფილი ხართ ბიძინა ივანიშვილის საქმიანობით – 17 პროცენტი პასუხობს, რომ ძალიან მოსწონს ,31 პროცენტის დამოკიდებულება ნეიტრალურია, 9 პროცენტი აცხადებს, რომ პრემიერის საქმიანობა არ მოსწონს, 4 პროცენტს კი ძალიან არ მოსწონს. კითხვაზე პასუხის გაცემა 5 პროცენტს უჭირს.



კვლევის შედეგები „ფსიქოპროექტის“ დამფუძნებელმა ზურა ბიგვავამ წარმოადგინა.

როგორც აღინიშნა, კვლევა 2013 წლის 1-დან 8 აგვისტოს ჩათვლით მიმდინარეობდა. მასში საქართველოს 11 რეგიონის (როგორც ქალაქის, ისე სოფლის) მოსახლეობა მონაწილეობდა. შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე სულ 2 028 სრულწლოვანი რესპონდენტი გამოიკითხა. მისი მიზანი იყო მომავალ საპრეზიდენტო არცევნებზე საზოგადოებრივი აზრის შესწავლა. კვლევა კოალიცია „ქართული ოცნების“ დაკვეთით ჩატარდა.

მედიანიუსი

# პაატა დავითაია: „მოვუწოდებ საგარეო საქმეთა სამინისტროს, დაიბაროს იტალიის ელჩი“

შორენა გონგლაძე

„ევროპელი დემოკრატების“ ლიდერის, პაატა დავითაიას განცხადებით, გაგრის ე.წ. მერმა გრიგორი ენიკმა ურთიერთთანამშრომლობისა და ფინანსური დახმარების შესახებ ხელშეკრულება გააფორმა იტალიის ქალაქ საროკის მერთან.



დავითაიას განცხადებით, ხელშეკრულება 24 აგვისტოს დაიდო და ამის შესახებ ინფორმაცია აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე განთავსდა.

როგორც დავითაიამ „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს განუცხადა, ამის უფლება მათ არ აქვთ და საქართველოს საგარეო უწყებამ ამაზე რეგორება უნდა მოახდინოს.

– სეპარატისტული რეგიონის წარმომადგენელთან ხელშეკრულების გაფორმების უფლება მათ არ აქვთ. იტალიის ერთ-ერთი ქალაქის მერმა შეიძლება არ იცოდეს, რომ გრიგორი ენიკი თავის დროზე ხელმძღვანელობდა გაგრის ერთ-ერთ ბატალიონს, რომელიც მონაწილეობდა ქართული მოსახლეობის ეთნიკურ წმენდაში და ამას სჭირდება მკაცრი მოქმედებები და გაფრთხილებები. ვერ გაბედავდა ვერც რუსეთი და ვერც სხვები, თუ მკაცრი იქნებოდა ქართული პოლიტიკა ამ მიმართულებით და არა განცხადებების დონეზე. მე ძალიან დიდ საფრთხეებს ვხედავ ამ მიმართულებით. მიმაჩნია, რომ ეს არაკომპეტენტურობის ბრალია. გარდა ამისა, ეშინიათ, მე მგონი, რომ პრემიერ-მინისტრს ამ თემებზე ელაპარაკონ და ცდილობენ მის განცხადებებს მოერგონ. სხვა ახსნა ამაზე არ მაქვს. არ მინდა დავიჯერო, რომ ვიღაცა მიზანმიმართულად მოქმედებს სეპარატისტებთან ერთად, არ მჯერა ამის, – აცხადებს დავითაია.

– მოვუწოდებ საგარეო საქმეთა სამინისტროს დაიბაროს იტალიის ელჩი, ჩააყენოს საქმის კურსში თავისი მთავრობა, რომ ეს არის იმ შეთანხმებების დარღვევა, როელიც აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, აღიარებს ჩვენს სუვერენიტეტს. აქედან გამომდინარე, სეპარატისტული რეგიონების წარმომადგენლებთან მათ არ აქვთ უფლება, გააფორმონ ხელშეკრულება თანამშრომლობისა და ფინანსური დახმარებების გაწევის შესახებ. საგანგაშოა ის ფაქტი, რომ ევროპაში ბოლო დროს სეპარატისტებმა საკმაოდ აქტიური მოქმედებები დაიწყეს. ამიტომ, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ეს პროცესები შევაჩეროთ. შესაძლოა ვინმემ თქვას, რომ მე რაღაცას ვაზვიადებ, მაგრამ მინდა დაგარწმუნოთ, რომ ეს არის საკმაოდ სერიოზული პრობლემა და აქ არაფერი არ არის გაზვიადებული. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჟურნალისტებმა ამ თემაზე ხმამაღლა ისაუბროთ, ამ პროცესების შეჩერება მხოლოდ და მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ, – აცხადებს დავითაია.

„ევროპელი დემოკრატების“ ლიდერი მზად არის საპრეზიდენტო პოსტზე ზურაბ ხარატიშვილის კანდიდატურას დაუჭიროს მხარი..

– ზურაბ ხარატიშვილის ახალ პოლიტიკურ ცენტრთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს ინტენსიურ რეჟიმში. მე მას შევთავაზე, რომ ჩვენი პოლიტიკური გაერთიანება არის კვალიფიციური სუბიექტი და თუ მას გააჩნდა სურვილი, პრეზიდენტობაზე იყაროს კენჭი, ჩვენ მზად ვართ, დავასახელოთ, რადგან კანონით ამის უფლება გვაქვს, – აცხადებს დავითაია და დასძენს, რომ ამ საკითხებზე მოლაპარაკებები უახლოეს სამოთხ დღეში დასრულდება.

## ევროკავშირის ელჩი სასჯელაღსრულების მინისტრს შეხვდა

ევროკავშირის ელჩი საქართველოში ფილიპ დიმიტროვი სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს შეხვდა.

ოფიციალური ინფორმაციით, შეხვედრაზე მხარეებმა პენიტენციურ სისტემაში მიმდინარე რეფორმები და გამოწვევები განიხილეს. მინისტრმა სუბარმა ფილიპ დიმიტროვს სისტემაში არსებული მდგომარეობის შესახებ სრული ინფორმაცია მიაწოდა.

მედიანიუსი

## რუსეთი აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით, თავის პოზიციას არ ცვლის

სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატო-ს გენერალური მდივნის წარმომადგენლის, ჯეიმს აპატურაის განცხადებით, ნათელია, რომ რუსეთი აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით თავის პოზიციას (ჯერ) არ ცვლის.

ამგვარად, ჯეიმს აპატურაი „ფეისბუქის“ გვერდზე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის განცხადებებს გამოეხმაურა.

„ნათელია, რომ რუსეთი სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან დაკავშირებით თავის პოზიციას (ჯერ) არ ცვლის, მაგრამ ეს დაპირისპირება არ არის მხოლოდ ევროპის ერთ პატარა კუთხეში. ეს არის გამაღიზიანებელი რუსეთისა და დასავლეთის ურთიერთობებში, რაც რუსეთის სხვა მეგობრებს აწუხებთ და ძირს უთხრის ევროპის მასშტაბით შეიარაღების კონტროლს. საჭიროა, კომპრომისი, რომელიც პატივს სცემს საერთაშორისო სტანდარტებს“, – აღნიშნავს აპატურაი.

შეგახსენებთ, რომ სერგეი ლავროვმა დასავლეთი აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში ორმაგი სტანდარტების გამოყენებაში და მიკერძოებულობაში დაადანაშაულა.

მედიანიუსი

## იტალიის საელჩომ გაგრასა და საროკის თანამშრომლობაზე საქართველოს საგარეო უწყებას წინასწარ აცნობა

გაგრასა და საროკის შორის ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმება არ დასტურდება

გაგრასა და იტალიის ქალაქ საროკს შორის ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმება არ დასტურდება. როგორც ჟურნალისტებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტრო გაგრასა და იტალიის ერთ-ერთ ქალაქს შორის დამეგობრებასთან დაკავშირებით ხელშეკრულების გაფორმების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას არ ადასტურებს.

ამ საკითხზე ჟურნალისტებთან კომენტარი საგარეო უწყების ხელმძღვანელმა მაია ფანჯიკიძემაც გააკეთა.

„ასეთი რამ რომ იგეგმებოდა, ჩვენმა საელჩომ იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს აცნობა. რასაკვირველია, ასეთი ცალკეული შემთხვევები არ ცვლის ქვეყნების პოზიციას, რომლებიც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს აღიარებენ. ყოველი ასეთი შემთხვევა ჩვენი ყურადღების ქვეშაა და შესაბამისი ზომები საქართველოს საგარეო უწყების მხრიდან ყოველთვის მიიღება“, – განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

შეგახსენებთ, რომ გაგრისა და იტალიის ქალაქ საროკის მერებს შორის ურთიერთთანამშრომლობისა და ფინანსური დახმარების შესახებ ხელშეკრულების გაფორმების შესახებ განცხადება „ევროპელი დემოკრატების“ ლიდერმა პაატა დავითაიამ დღეს გააკეთა. მისი ინფორმაციით, ხელშეკრულება 24 აგვისტოს დაიდო.

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გიორგი გუგავა: „ივანიშვილმა არც ერთი სოციალური დაპირება არ შეასრულა“

## „საწვავის ნაწილს აკონტროლებს სააკაშვილის ოჯახი, ნაწილს კი — ივანიშვილის გარემოცვა“

შორენა კოწოწაშვილი

ლეიბორისტი გიორგი გუგავა ივანიშვილის მთავრობის ლოიალურობას წინა ხელისუფლების დამნაშავე წარმომადგენლების მიმართ იმით ხსნის, რომ მათ შორის საერთო ბიზნესინტერესები არსებობს. გუგავა დარწმუნებულია, რომ ენერგოტარიფები ამ მიზეზით არ შემცირდა, რაც შეეხება ხორცის ბაზარზე არსებულ დაპირისპირებას, შალვა ნათელაშვილის თანაგუნდელის თქმით, წინა ხელისუფლების პირობებში ამ ბიზნესს ცეზარ ჩოჩელი აკონტროლებდა, დაპირისპირება იქამდე იყო, სანამ საერთო ინტერესები გამოიკვეთებოდა და როგორც კი ბიზნესი გაიყო, ვითარებაც ჩაწყნარდა.

— ამათი კოჰაბიტაცია ბიზნესინტერესების გადანაწილებაში გამოხატა და უარეს ვითარებაში ჩავვარდით, ვიდრე სააკაშვილის დროს ვიყავით. ახლა ერთი მჭამელი იყო, ახლა მჭამელების არმია დაემატა ხალხს. მაჟორიტარების უდიდესი ნაწილი ბიზნესით იყო დაკავებული და თავიანთი მანდატით ბიზნესს „კრიშავდნენ“. დღეს ეს ხალხი ივანიშვილთან გადმობარგდა და ბოლომდე შეუნარჩუნდათ მდგომარეობა. თუ მანამდე წილები სააკაშვილის კარზე მიჰქონდათ, ახლა ივანიშვილის კარზე მიაქვთ, — აცხადებს გიორგი გუგავა და ამბობს, რომ სახეზე აწერიათ ოცნების დეპუტატებს კმაყოფილება.

ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკური მდივანი დარწმუნებულია, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ კოალიცია დაიშლება და მასში შემავალ პოლიტიკურ სუბიექტებს ამბიცია გაეზრდებათ.

რატომ გაჩნდა რეგიონების მოსახლეობაში ივანიშვილის მთავრობისადმი უნდობლობა და რა შეცდომები დაუშვეს უმრავლესობის წევრებმა იგივე სოციალური პოლიტიკის კუთხით, ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკურ მდივან გიორგი გუგავასთან.

***— ბატონო გიორგი, საპრეზიდენტო არჩევნებამდე სულ უფრო ცოტა დრო რჩება. არის თუ არა წინასაარჩევნოდ პრეზიდენტობის ყველა კანდიდატი თანაბარ მდგომარეობაში და მართლაც კოალიციის ლიდერი ეხმარება ნინო ბურჯანაძეს გაძლიერებაში, როგორც ზოგიერთი მიანიშნებს?***

— რაც შეეხება კანდიდატების თანაბრობას, თანაბრობა უპირველეს ყოვლისა, კანონმდებლობით უნდა იყოს განსაზღვრული ანუ საარჩევნო კომისიებში თანაბრად უნდა იყვნენ პარტიები წარმოდგენილი, თანაბარი შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს ფინანსური შესაძლებლობისა, თანაბარი შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს ტელევიზიაზე ხელმისაწვდომობის, რაც დარღვეულია. ჩვენ ერთი მხრივ, ვუყურებთ ფულების გუდებს და მეორე მხრივ, მართლაც არის სახალხო მხარდაჭერით აღჭურვილი პრეზიდენტობის კანდიდატი შალვა ნათელაშვილი. ჩვენ აქტიურ ფაზაში შევედით წინასაარჩევნო პროცესისა. ორ დღეში ნათელაშვილმა შემოიარა შიდა ქართლის 30-მდე სოფელი. პირადად შეხვდა 5 000-მდე ადამიანს და ასეთი მხარდაჭერა, დამერწმუნეთ, პარტიას და მის ლიდერს პრაქტიკულად არ ჰქონია. იმდენად დიდი სიყვარული და გულწრფელი მხარდაჭერა გამოიკვეთა მოსახლეობის მხრიდან, რადგან მართლები ვართ ქვეყნისა და ხალხის წინაშე. ეს აჩვენა სიტუაციამ. ეს ყველაფერი ხდება იმ ფონზე, როდესაც იმსხვრევა ოცნებები, როდესაც დანაპირების 5%-იც არ შეასრულეს მმართველი კოალიციის ლიდერებმა, რომელიც წინასაარჩევნოდ გაიცა. ამ ფონზე, შალვა ნათელაშვილის მიმართ მხარდაჭერა და ეს უდიდეს შანსს გვაძლევს იმისა, რომ ამ არჩევნებში აუცილებლად გავიმარჯვებთ.

***— რაზე მიანიშნებთ, რომ მმართველი კოალიციის არასწორი ნაბიჯებისა და რეგიონებში ხელისუფლებისადმი უნდობლობის გაღრმავების გამო ნათელაშვილის რეიტინგი იწევს?***

— რა თქმა უნდა. ეს არის ის კონტინგენტი, ვისაც უდიდესი იმედი ჰქონდა ივანიშვილის და ვინც დიდი თავგანწირვა ჩადო კოალიციის გამარჯვებაში. როდესაც მათში ეს ოცნებები დაიმსხვრა და რეგიონებში ხალხმა თავი მიტოვებულად იგრძნო ახალი ხელისუფლებისაგან, როდესაც მიწაზე მოყვანილ პროდუქციას ვერ აბარებენ და თუ აბარებენ ვაჭრებს, ისინიც კაპიკებს იხდიან, რომელიც ვერ ანაზღაურებს გაწეულ დანახარჯებს. ერთი ვედრო ატამი რომ 1 ლარი ეღირება, რა უნდა ქნას გლეხმა?! ამის გამოა, რომ მიადგა და ჭრის ატმის ხეებს; როდესაც თხილის ფასი გურიაში, აჭარასა და სამეგრელოში კატასტროფულად დაბალია — 2 ლარამდეა ჩამოვარდნილი და არავინ ფიქრობს მათზე; როდესაც შიდა ქართლში ვაშლის კარგ მოსავალს ელოდებიან და გასაღების ბაზარი არ არსებობს, კაპიკია ეს მოსავალი. ალბათ, დაულპებათ ეს ვაშლი... დაპირებული მილიარდიდან თეთრიც არ გაუღია ივანიშვილს. ბუნებრივია, ამ ფონზე, ამ მასობრივი სიღარიბისა და მოტყუების ფონზე, მხარდაჭერა აქვს გამოკვეთილ ეროვნულ-სოციალურ ძალას — ლეიბორისტულ პარტიას და მის ლიდერს. მინდა გითხრათ, რომ ასეთი გულანთებული მომხრეები კარგა ხანია ჩვენ არ გვყოლია.

***— ფიქრობთ, რომ წინა საპრეზიდენტო არჩევნებთან შედარებით შალვა ნათელაშვილი ოქტომბერში უფრო მეტ ხმებს აიღებს?***

— ყოველგვარი გადაჭარბების და ყალბი თავმდაბლობის გარეშე გეუბნებით: ასეთი მხარდაჭერა შალვა ნათელაშვილს დიდი ხანია არ ჰქონია.



მასობრივად მოდის ხალხი ნათელაშვილის მხარდასაჭერად რეგიონებში. ბუნებრივია, რაც ხდება რეგიონებში, იგივე ხდება ქალაქებსა და დედაქალაქში. ამას ჩვენ ყოველდღიურად ვუყურებთ. მთავარია ისევ ისე არ იმუშაოს ფულის გუდების ფაქტორმა და მოსყიდვით და გაყალბებით არ შეცვალონ არჩევნების შედეგები. სხვაგვარად, გიმეორებთ, გარდაუვალი წინაპირობა არსებობს იმისა, რომ ამ არჩევნებში შალვა ნათელაშვილი დამაჯერებლად გაიმარჯვებს. ჩვენ მართლები აღმოვჩნდით ქვეყნისა და ხალხის წინაშე და ამას ამომრჩეველი ხედავს. გახსოვთ, რა პერიოდი გავიარეთ, როგორი კრიტიკა იყო ჩვენ მიმართ 1 ოქტომბრამდე, როდესაც ვეუბნებოდით ჩვენს საზოგადოებას, რომ ივანიშვილი და სააკაშვილი არ დახევდნენ ერთმანეთის ტყავს, რომ ისინი გაიყოფდნენ ძალაუფლებას, ბიზნესს, ისევ იგნორირებას გაუკეთებდნენ მოსახლეობის ინტერესებს. მათ წარსულიც აკავშირებთ და მომავალშიც ხმაშეწყობილად განაგრძობენ ამ ქვეყნის ნგრევას, მოსახლეობის ძარცვას. დღეს ეს უკვე ნათელია. მაშინ თუ ეს დაუჯერებელი იყო, დღეს უკვე ნათელია. ამ ფონზე, როგორც ყოველთვის, ადეკვატურია ამომრჩეველი. რაც მთავარია, წინ არის კიდევ ორი თვე და დარწმუნებული ვარ, გეომეტრიული პროგრესიით გაიზრდება ყოველდღიურად ნათელაშვილის მხარდამჭერების რიცხვი. მთავარია, ფულის ტომსიკებით თუ ამომრჩევლის მოსყიდვით არ მოხდეს არჩევნების შედეგების შეცვლა.

***— თქვენი შეფასებით, რომელი მიმართულებით მოიკოჭლა ივანიშვილის მთავრობამ და თუ ხედავთ კონკრეტული მინისტრების შეცვლის აუცილებლობას?***

— ჩავარდნა არის აბსოლუტურად ყველა სფეროში და ყველა მიმართულებით. დავიწყოთ სოციალური ასპექტებით. როდესაც მილიარდერი ხარ და ამხელა ბიუჯეტია შენს განკარგულებაში და არც ერთ სოციალურ დანაპირებს არ ასრულებ, ბუნებრივია, ეს იწვევს ხალხის მასობრივ აღშფოთებას. იცით, რომ სააკაშვილის სასტიკი რეჟიმის პირობებში მოსახლეობამ თავი გადადო და ივანიშვილის ფაქტორიდან გამომდინარე აირჩია „ქართული ოცნება“. დღეს ივანიშვილი გამოდის და უცხოურ გამოცემებთან საჯაროდ ლანძღავს ქართველ საზოგადოებას და აცხადებს, რომ თურმე ჩვენ დაბალი პოლიტიკური კულტურის მატარებელი ერი ვართ. ეს ხდება იმ ფონზე, როდესაც იგივე სამედიცინო სფეროში დღესაც ხელმიუწვდომელია ჯანდაცვა რიგითი ადამიანისათვის. მედიკამენტების ფასები არ შეცვლილა. ისევ ისეთი მძარცველურია. ერთი და იგივე კლანები აკონტროლებენ ამ სისტემას. ნახევარი მილიარდია გამოყოფილი ბიუჯეტიდან დაზღვევისთვის და ეს თანხები ილექება ე.წ. სადაზღვევო კომპანიებში, რომელსაც ლობირებენ წინა და დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები, ხოლო ექიმებს უხელფასოდ ტოვებენ. პაციენტები კი უპატრონოდ არიან დარჩენილები. სრული უყურადღებობაა სოფლის მეურნეობის მიმართულებით. მილიარდის გამოყოფას ჰპირდებოდა ივანიშვილი სოფლის განვითარებისთვის. დღეს კი ვხედავთ, რომ არ არსებობს სახელმწიფო პროგრამები გლეხის მიერ მოწეული პროდუქციის ჩაბარებისათვის. გნებავთ სამართლებრივ პოლიტიკურ ვითარებაზე ვისაუბროთ, შეიცვალა რამე ამ მიმართულებით? არაფერი, ისევ უმრავლესობა დაიტოვეს საარჩევნო კომისიებში, გადაინაწილეს ძალაუფლება პარლამენტში, ძალოვნებში, ადგილობრივ თვითმმართველობებში. ნეპოტიზმია და საკუთარ ნათესავებს ასაქმებენ და ფეხზე დაიკიდეს ის ადამიანები, ვინც თავი გადადო და კოალიციას გაამარჯვებინა. სამართლიანობის აღდგენის პროცესზე რა გითხრათ, ერთი მაგალითი არ არსებობს იმისა, რომ უკანონოდ გათავისუფლებული მასწავლებელი დაებრუნებინოთ, ანდა ექიმი. ათასამდე პედაგოგია სკოლიდან გაყრილი პოლიტიკური შეხედულებების გამო. ვერ დამისახელებთ ერთ მოქალაქეს, რომელსაც უკანონოდ წაართვეს ქონება და ამ ხელისუფლების პირობებში დაუბრუნდა. სამაგიეროდ, პირველივე დღეებში დაიბრუნა 80 მილიონი ბიძინა ივანიშვილმა, გაათავისუფლა მის ირგვლივ თუ ვინმე დაჭერილი იყო და თვითონ დაეუფლნენ ამ ბიზნესებს. დაზუსტებით გეუბნებით, ივანიშვილის მთავრობაში მოსვლის შემდეგ მისმა კომპანიებმა საქართველოში მილიარდამდე მოგება ნახეს. ეს არის „კარფური“, „ლუკოილი“, „ფარმადეპო“, სამშენებლო კომპანიები, „ქართუ ბანკი“. ეს ხდება ტოტალური სიღატაკის ფონზე, რომელშიც ჩავარდნილია მთელი მოსახლეობა. ამ პრობლემებზე საუბარი დაუსრულებლად შემიძლია გავაგრძელო.

***— ფიქრობთ, რომ ივანიშვილის მთავრობა ლოიალურია წინა ხელისუფლების დამნაშავე მაღალჩინოსნების მიმართ?***

— ასეც იყო მოსალოდნელი, ისინი წლების მანძილზე ერთად იყვნენ და არ უნდა ვიფიქროთ, რომ დღეს თუ ვინმე ერთმანეთს განცხადებებით დაუპირისპირდება, ეს რეალური დაპირისპირებაა. მეტსაც გეტყვით, ეს კოჰაბიტაცია გამოიხატება არა მხოლოდ სამართლებრივ ლოიალურობაში, არამედ თანამშრომლობასა და ბიზნესის გადანაწილებაში. ბევრმა „ნაცმოძელმა“ შეიცვალა დროშის ფერი და გახდა „მეოცნებე“. ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებაში ჯერ კიდევ ისინი არიან და ისევ გაჭირვებაში ჰყავთ ეს მოსახლეობა. ეს არის ამათი ე.წ. კოჰაბიტაცია და ნამდვილი სახე.

***— რატომ ფიქრობთ, რომ ახალმა ხელისუფლებამ და ნაციონალებმა ბიზნესი გადაინაწილეს და საერთო ინტერესები აქვთ, კონკრეტული ფაქტები გაქვთ?***

— კონკრეტულ ფაქტებს გეტყვით, ავიღოთ იგივე საწვავი, რატომ არ მცირდება საწვავზე ფასი? პირიქით, იზრდება. საწვავის ნაწილს აკონტროლებს სააკაშვილის ოჯახი, ნაწილს კი ივანიშვილის გარემოცვა. ამიტომ არის დღესაც საქართველოში საწვავზე მონოპოლიური ფასები. აშკარაა კარტელური შეთანხმებები. მაინტერესებს, რატომ არის მონოპოლიები შენარჩუნებული. ხომ ხედავთ, როგორ მშვენივრად კოჰაბიტირებენ ეს კომპანიები. დღეს რა გგონიათ, რომ ერთი ლარი ყოველ ლიტრ საწვავზე სააკაშვილი ჯიბეში არ ჩადის? აშკარაა, ხალხი მოტყუებული და გადაგდებულია. იგივე ვითარებაა ჯანდაცვის სფეროში, სადაც კი სადაზღვევო კომპანიების ნაწილს — ახალი, ხოლო ნაწილს ძველი ხელისუფლება აკონტროლებს. ამიტომ ისევ ტრიალებს ის კორუფციული სქემა, ითვისებენ ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხებს. ამ ფონზე ავადმყოფები და პაციენტები უყურადღებოდ რჩებიან. არც პურპროდუქტების ბიზნესში შეცვლილა ვითარება. პირველი სექტემბრიდან მინერალურ წყლებზე ფასები იზრდება, რადგან პრობლემები აქვთ ბიუჯეტთან. ნაციონალების და ივანიშვილის გარემოცვის შეთანხმება გამოიხატება იგივე ენერგეტიკის სფეროში. ისეთი მინისტრი გვყავს, რომელიც ენერგეტიკულ ობიექტებს ფლობს ნაცმოძრაობის წარმომადგენლებთან ერთად. ამის გამო არ მოხდა ტარიფების შემცირება. როგორ გგონიათ, ტარიფების შემცირების რესურსი არ არის? მაგრამ როგორც ჩანს, მათი მადა ყველაფერზე მაღლა დგას. კიდევ შემიძლია გავაგრძელო ბიზნესჩამონათვალი, რომელშიც ძველ და ახალ ხელისუფლებას საერთო ინტერესები აქვს.

---

## საბაჟოზე დაავადებული ხორცის შემოტანის მცდელობა აღკვეთეს

შემოსავლების სამსახურის ცნობით, ფოთისა და ყულევის პორტები და ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის, საბაჟო გამშვებ პუნქტზე ბრაზილიიდან 25003,989 კგ გაყინულ საქონლის ხორცი შემოვიდა. ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო პროცედურების გავლის შემდეგ ეჭვის საფუძველზე, შემოსავლების სამსახურის ვეტერინარი სპეციალისტების მიერ აღებული და გაგზავნილი იქნა ნიმუშები ლაბორატორიაში. ლაბორატორიული კვლევის შედეგად დადასტურდა მიკრობიოლოგიური დაბინძურება, კერძოდ ზემოაღნიშნულ საქონლის ხორცში ნაწლავის ჩხირის ბაქტერიები აღმოჩნდა. (ნ.ჩ.ჯ.ბ. კოლიფორმები).

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის 429-ე დადგენილების თანახმად, აღნიშნული საქონელი უკან გაბრუნებას ან განადგურებას ექვემდებარება.

**მედიანიუსი**

## 82-მა პატიმარმა სახალხო დამცველს ღია წერილით მიმართა

გლდანის №8 დაწესებულებაში მყოფი 82 პატიმარი საქართველოს სახალხო დამცველს, უჩა ნანუაშვილს ღია წერილით მიმართავს.

პატიმართა წერილი სახალხო დამცველის აპარატმა გაავრცელა, რომელსაც „მედიანიუსი“ უცვლელად გთავაზობთ:

„ბატონო უჩა, მოგმართავთ ღია წერილით გლდანის №8 დაწესებულებაში მყოფი პატიმრები, ვინაიდან ამ დღეებში ტელევიზიით მოვისმინეთ პარლამენტის წევრის, ბატონი აკაკი მინაშვილის განცხადებები, თითქოსდა ციხეებში არის გაუსაძლისი მდგომარეობა და პატიმრებზე ზეწოლა და ასევე ეგრედწოდებული „ოფშიაკების“ აგროვება, და ასევე რიგი პატიმრების დაჩაგვრა.

ჩვენს სახალხოდ შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ გლდანის №8 დაწესებულებაში არანაირი ციხის მაყურებელი არ არსებობს, მითუმეტეს პატიმრების დაჩაგვრა სხვა რომელიმე პატიმრებისგან, ასევე „ობშიაკის“ შეგროვებაზეც ზედმეტია ლაპარაკი. ასევე სასადილოს და სამრეცხაოების „მაყურებლებზე“, ეს ყველაფერი არის სრული აფსურდი.

ბატონო უჩა, ჩვენ პატიმრები მოგმართავთ თხოვნით ჩვენი ღია წერილი გადაუგზავნოთ ყველა ბეჭვდით მედია საშუალებებს და ტელევიზიებს.

ბატონო უჩა, ჩვენ ვფიქრობთ, თქვენ როგორც სახალხო დამცველი ვალდებული ბრძანდებით რომ ჩვენი უფლებები დაიცვათ და ასევე ჩვენი თხოვნა გაითვალისწინოთ, ვინაიდან ერთხელ და სამუდამოდ დაესვას წერტილი იმ საბოტაჟს, რომელსაც ავრცელებენ რიგი ადამიანები და ჩვენი თითოეული პატიმრების მშობლებს და ახლობლებს გულს უხეთქავენ და ანერვიულებენ ცრუ ინფორმაციებით.

ბატონო უჩა, აქვე გვინდა დავამატოთ, რომ გლდანის №8 დაწესებულებაში არ ირღვევა ჩვენი, როგორც პატიმრების უფლებები, არ არის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, და სუფევს სრული სიმშვიდე, რაზედაც ულრმეს მადლობას ვუხდით გლდანის №8 დაწესებულების დირექტორს ბატონ ნოდარ ქინქლაძეს და მის ყველა მოადგილეებს.

ბატონო უჩ, ჩვენ ამ წერილს ვაგზავნით ორ ეგზემპლარად, ერთს ვაგზავნით ციხიდან და მეორეს ჩვენი ერთ-ერთი პატიმრის ადვოკატის გელა ნიკოლეიშვილის ხელით. ვინაიდან დროულად მოვიდეს თქვენამდე, ბატონო უჩა.

კიდევ ერთხელ მოგმართავთ თხოვნით სახალხო დამცველს და საქართველოში ყველა ბეჭვდით მედიას და ტელევიზიებს ვისაც პატიმრების ბედი აღელვებს, რომ ჩვენი ღია წერილი იყოს დაბეჭდილი და ტელევიზიებით გადაცემული. იმედია, ჩვენს თხოვნას გაითვალისწინებთ, რაზედაც წინასწარ გიხდით ულრმეს მადლობას.

გლდანის №8 დაწესებულების სამეურნეო ნაწილის პატიმრები და ვადასტურებთ ჩვენი ხელის მოწერით.

26.08.13 წ.“

**მედიანიუსი**

## გამოკითხულთა 40 პროცენტი ახალი მთავრობისადმი ნეიტრალურად განწყობილია

გამოკითხულთა 40 პროცენტი საქართველოს ახალი მთავრობის მიმართ ნეიტრალურად არის განწყობილი. ამას საკვლევ-საკონსულტაციო ცენტრ „ფსიქოპროექტის“ საზოგადოებრივი აზრის კვლევების შედეგები ადასტურებს, რომლის პრეზენტაციაც დღეს თბილისში, სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ გაიმართა. კითხვაზე -– მთლიანობაში როგორ შეაფასებდით საქართველოს ახალ მთავრობას? -– გამოკითხულთა 8 პროცენტი პასუხობს, რომ ძალიან მოსწონს, 33 პროცენტს მოსწონს, 40 პროცენტი ნეიტრალურად არის განწყობილი, 11 პროცენტს არ მოსწონს, ხოლო 4 პროცენტს ძალიან არ მოსწონს. 4 პროცენტს პასუხის გაცემა უჭირს. უარს 1 პროცენტი აცხადებს.

კვლევის შედეგები „ფსიქოპროექტის“ დამფუძნებელმა ზურა ბიგვავამ წარმოადგინა.

როგორც აღინიშნა, კვლევა 2013 წლის 1-დან 8 აგვისტოს ჩათვლით მიმდინარეობდა. მასში საქართველოს 11 რეგიონის (როგორც ქალაქის, ისე სოფლის) მოსახლეობა მონაწილეობდა.

შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე სულ 2 028 სრულწლოვანი რესპონდენტი გამოიკითხა. მისი მიზანი იყო მომავალ საპრეზიდენტო არცევნებზე საზოგადოებრივი აზრის შესწავლა.

კვლევა კოალიცია „ქართული ოცნების“ დაკვეთით ჩატარდა.

**მედიანიუსი**

# ირინა სარიშვილი: „ივანიშვილისთვის ხელსაყრელია საკუთარ გუნდში დაპირისპირება“

## რესპუბლიკელებსა და ნაციონალებს შორის განსხვავება არ არის

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ ირინა სარიშვილთან

*— ქალბატონო ირინა, საუბარია, რომ მმართველ გუნდში დიდი დაპირისპირება და არეულობაა, ქართულ ოცნებას ყოველდღიურად ტოვებენ მისი წევრებიო... როგორია თქვენი შეფასებები მიმდინარე პროცესებზე?*

— არის საუბარი და ეჭვი არ მეპარება, რომ ეს ხმები მართალი იქნება, იმიტომ, რომ ქართული ოცნების შიდა მდგომარეობა და მათი საგარეო საქციელიც წინასაარჩევნო, რბილად რომ ვთქვათ, აშკარად არ ტოვებს კარგ შთაბეჭდილებას. თუმცა, მეორე მხრივ, მე ვფიქრობ, ნაადრევი და არასწორი დასკვნების გაკეთება არსებული ვითარებიდან არ არის მაინცდამაინც სწორი, იმიტომ, რომ ერთმნიშვნელოვნად კეთდება ასეთი დასკვნები, რომ ეს ყველაფერი ბურჯანაძის მდგომარეობას ამყარებს. სინამდვილეში ეს ასე მარტივად არ არის, იმიტომ, რომ ნინო ბურჯანაძეს ძალიან ბევრი ხმის გამყოფი ჰყავს ამ სერიოზულ და არა სერიოზულ კანდიდატებში, ერთად აღებული. ერთადერთი, ვისაც არ ჰყავს ამ მდგომარეობაში ხმის გამყოფი, ეს არის დავით ბაქრაძე. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი რყევები, რომელიც დღეს ცუდად აისახება ოცნების რეიტინგზე, ბევრად უფრო ამყარებს ბაქრაძის მდგომარეობას, ვიდრე ბურჯანაძის. იმიტომ, რომ ვიმეორებ, ბურჯანაძე არის პოლიტიკურ იზოლაციაში, ის არავის მოკავშირე არ არის, არც თვითონ არის ვინმეს მოკავშირე და არც სხვასა აქვს მასთან მოკავშირეობის სურვილი. სამნი რომ ყოფილიყვნენ მარტო — ბურჯანაძე, მარგველაშვილი და ბაქრაძე, მაშინ, რა თქმა უნდა, ეს ბურჯანაძის წისქვილზე დაასხამდა წყალს. დღესდღეობით, მე ვფიქრობ, რომ თვითონ ოცნებასაც აბსოლუტურად ჩამოყალიბებული მიზანი აქვს, რომ მეორე ადგილზე, იმ შემთხვევაში თუ ისინი მოიგებენ პირველ ადგილს, მეორე ადგილზე იხილონ ბაქრაძე და არა ბურჯანაძე. ამ შემთხვევაში მათ ექნებათ სათქმელი ხალხისთვის, რომ თემა, რომელიც ასე არაპოპულარულს ხდის ოცნებას, ანუ კოჰაბიტაცია, ეს არის საზოგადოების დაკვეთა. თვითონ ოცნების წინასაარჩევნო ტაქტიკა სწორედ რომ ეს არის, რომ გაამყაროს დავით ბაქრაძის პოზიციები. ეს კეთდება არაპირდაპირ და არცთუ შეუგნებლად ტოვებენ იმის შთაბეჭდილებას, რომ ეს ყველაფერი აწყობს ნინო ბურჯანაძეს.



***— ასევე მინდა გკითხოთ თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ალასანიას შესახებ. რაც უფრო ცოტა დრო რჩება არჩევნებამდე, მით უფრო მატულობს ხმები იმის თაობაზე, რომ ალასანია საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობისათვის ემზადება. ამის თაობაზე რას ფიქრობთ?***

— ეჭვი მეპარება, რომ ირაკლი ალასანიამ დააყენოს კანდიდატურა, თუ ვინმე სერიოზულთან არ ექნება მოლაპარაკება და ეს ერთადერთი უნდა იყოს ბიძინა ივანიშვილი. მე კი ეჭვი მეპარება, რომ ბიძინა ივანიშვილთან ალასანიამ ამ თემაზე მოლაპარაკება მოახერხოს. მათ შორის შავმა კატამ გაირბინა საკმაო ხნის წინ და ეს გახდა იმის მიზეზი, რომ ყველასთვის სავარაუდო საპრეზიდენტო კანდიდატი, ირაკლი ალასანია, უცებ თავდაცვის მინისტრი გახდა. ანუ ერთ-ერთ ისეთ სამინისტროს ჩაუყენეს სათავეში, რომელსაც ჯერჯერობით საქართველოში სიმბოლური დატვირთვა აქვს. ირაკლი ალასანიას ცოტა წარმომადგენელი ჰყავს ოცნებაში, პარლამენტს ვგულისხმობ, თვითონაც პიროვნული სიძლიერით არ გამოირჩევა. ის ძალიან მაღალი პროცენტებით და დიდი პოლიტიკური დივიდენდებით შემოვიდა თავის დროზე ქართულ პოლიტიკაში და მაშინაც ვერ მოახერხა ამ დივიდენდების გამოყენება თავისი უნიათობის გამო, მე, როგორც პოლიტიკოსს, ისე ვაფასებ. აქედან გამომდინარე, მე მგონი, ალასანიას არ გაუჭირდება იმის გათვლა, რომ მან ახლა ეს ნაბიჯი გადადგას, ის შეიძლება სამეულშიც ვერ მოხვდეს. მოგებაზე ხომ საერთოდ არ არის საუბარი. ალასანია ნამდვილად არ არის არც ნესტან კირთაძის და არც კიდევ მისნაირების მსგავსი, რომ ტელევიზიით გამოსვლა სიამოვნებდეს. ხოლო მისთვის სამეულში ვერ მოხვედრა, ძალიან დიდი მარცხია. ამით ის კარგავს თავის თანამდებობას და რჩება მხოლოდ მცირერიცხოვანი წარმომადგენლობა პარლამენტში, რომელიც უცებ მოძებნის თავისი ლიდერის შემცვლელს პარლამენტში, რადგან ეს პარლამენტი არაფრით არ წავა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებზე, ეს გამორიცხულია და ამას არც მალავენ.

*— ე.ი. ეს ყველაფერი ჭორი უფროა?*

— მე დარწმუნებული ვარ, რომ ალასანია ამ ნაბიჯს არ გადადგამს. საკმაოდ გონიერია იმისთვის, რომ ასეთი უგუნური ნაბიჯი არ გადადგას. თუ, რა თქმა უნდა, არ შედგა ძალიან დიდი მოლაპარაკება. თეორიულად ყველაფრის დაშვება შეიძლება, მაგრამ ძალიან ძნელად წარმომიდგენია, რომ ამ შემთხვევაში ივანიშვილმა თავისი ნაქები მარგველაშვილი დათმოს, მის ზურგს უკან ალასანიასთან მოლაპარაკების საფუძველზე. ჩვენ გავიხსენოთ ის სატელეფონო ჩანაწერები, რომელიც არჩევნებამდე გამოქვეყნდა, რა თქმა უნდა, მასზე რეაგირება ბიძინა ივანიშვილს არ გაუკეთებია, მაგრამ მერე გავიხსენოთ, ვის როგორ მოექცა და ძნელი მისახვედრი არ არის ფაქტიურად მისი გუნდის ყველა წევრი, იმის მიხედვით იღებს წყალობას, ან რისხვას ბიძინა ივანიშვილისგან, რა გამონათქვამებიც მის მიმართ ამ სატელეფონო ჩანაწერებში მოვისმინეთ და ალასანია ამ შემთხვევაში უმძიმეს მდგომარეობაშია.

***— ქალბატონო ირინა, ივანიშვილის რისხვას რაც შეეხება, საუბარია, რომ ბოლო პერიოდში საკმაოდ დაძაბული ურთიერთობაა პრემიერსა და მისი გუნდის წევრებს შორის.***

— ვიცი ეს ისტორია, თქვენ ალბათ საგანელიძის და დანარჩენების მიწასთან გასწორებას გულისხმობთ. ეს გათამაშებულია. ეს კეთდება იმისთვის, რომ ეს ამბავი გარეთ გამოვიდეს, თორემ ახლა ივანიშვილს შესანიშნავად შეეძლო ესაყვედურებინა თავისი გუნდის წევრებისთვის ისე, რაც აქამდეც გაუკეთებია და ვერ გაგვეგო ეს ჩვენ და ჟურნალისტებს. ივანიშვილი ემზადება წასასვლელად და მას სჭირდება სერიოზული მიზეზები, მათ შორის საკუთარ გუნდთან უთანხმოება. ამიტომ, თავისთავად უთანხმოება შეიძლება არსებობს, მე ამას არ უარვყოფ, მაგრამ ის, რომ ეს გახდა საზოგადოების მონაპოვარი, აი, ეს უკვე სპეციალურად არის გაკეთებული.

***— რაც შეეხება მედიაბაზარზე მიმდინარე პროცესებს, თქვენი აზრით, რა ხდება? რა პროცესებთან გვაქვს საქმე? ყველასთვის მოულოდნელი იყო „მეცხრე არხთან“ დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება. რას მივაწეროთ ეს ყველაფერი? საუბარია იმის თაობაზეც, რომ რადგან ივანიშვილი პოლიტიკიდან მიდის, მას აღარ სჭირდება ტელევიზიაო. თქვენ როგორ გაიგეთ მისი ეს ნაბიჯი?***

— მეც ასე გავიგე. ჩვენ გავიხსენოთ, თავის დროზე ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა განცხადება, რომ შეცდომა დავუშვი, როცა მეცხრე არხი დავხურეო. ადრე ხომ ჰქონდა მას მეცხრე არხი, მერე წასვლა დააპირა და წასვლის წინ დახურა. ცოტა ლოგიკასთან მწყრალად არის მისი ეს საქციელი, თუ ერთხელ აღიარებ რაღაცას შეცდომად, მერე მეორეჯერ თუნდაც მიდიოდე, მაინც არ უნდა გააკეთო ეს. თუმცა ეს უკვე მისი საქმეა. რა თქმა უნდა, მეცხრე არხის დახურვა პირდაპირ დაკავშირებულია ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებასთან — წავიდეს პოლიტიკიდან. ანუ, ყოველ შემთხვევაში, ამ ფორმით პოლიტიკაში აღარ იყოს, თორემ ისე, რაც მისმა შემდგომმა ნაბიჯებმა აჩვენა მისი ცნობილი საქველმოქმედო მოღვაწეობით, თურმე ის პოლიტიკაში სულ ყოფილა, რადგან ის აფინანსებდა ვარდების რევოლუციას სოროსის ფონდთან ერთად, ის აფინანსებდა შემდგომ ვარდების რევოლუციის შედეგად მოსულ მთავრობას, ის ურჩევდა სააკაშვილს, რომ მერაბიშვილი არ მოეხსნა და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ეს ჩემი მოსაზრებები არ არის, ეს თავად ივანიშვილს აქვს ნათქვამი.

***— არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ მაესტროსაც ექმნება გარკვეული პრობლემები და რა ხდება, ვიღაცას არ აწყობს დამოუკიდებელი ტელეარხები?***

— რა თქმა უნდა და ვიღაცას არა, მე მგონი, ეს საერთოდ არავის არ აწყობს. აქ ყველაფერი მიდის ორპარტიული სისტემის ჩამოყალიბებისკენ, სადაც იქნებიან ნაციონალები და ოცნება. ოცნება პირობითად, რადგან მალე ეს რესპუბლიკურ სახელწოდებას მიიღებს და ამ ორი პარტიიდან არც ერთ მათგანს, ერთმანეთისგან დიდად განსხვავებული მსოფლმხედველობა და პლატფორმა არ ექნება. ეს ყველამ კარგად ვიცით და მეც არაერთხელ მითქვამს, რომ რესპუბლიკელებსა და ნაციონალებს შორის იდეოლოგიური თვალსაზრისით, არანაირი განსხვავება არ არის.

***— როგორია თქვენი პროგნოზი საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით? ვინ გაინაწილებს პირველ მეორე ადგილებს?***

— ასე თუ წავიდა ყველაფერი, პირველ მეორე ადგილს გაინაწილებენ მარგველაშვილი და ბაქრაძე და რომელი რომელ ადგილზე გავა, ამას აღარც აქვს მნიშვნელობა.

***— ფიქრობთ, რომ ბურჯანაძე თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდება?***

— მე გეუბნებით, თუ ყველაფერი ისე გაგრძელდა, როგორც ახლა მიდის, მაშინ ბურჯანაძის შანსები ძალიან მცირეა. საერთოდაც, ყველა ვინც დღეს კანდიდატია, დაწყებული მარგველაშვილით, არის გამიზნულად ნინო ბურჯანაძის მოწინააღმდეგე. აბსოლუტურად ყველა და განსაკუთრებით ზედა ორი, მარგველაშვილი და ბაქრაძე, რომელთა უკან მდგომ პოლიტიკურ ძალებსაც, აქვთ სახელისუფლო სადავეები. ადგილობრივი და სასამართლო ხელისუფლების დონეზე ნაციონალებს და დანარჩენი ოცნებას.

***— კანდიდატთა სიმრავლეც იმით აიხსნება, რომ რაც შეიძლება მეტი ხმა წაართვან ბურჯანაძეს?***

— სწორედ რომ ამით აიხსნება. აბა, თქვენ გჯერათ, რომ ისეთი ოდიოზური ტიპები და საერთოდ გაუგებარი და ცრემლების წამოსვლამდე რომ შეიძლება იცინო, ყველა მათგანი რომ 25 ათასი ხმის ხელმოწერის შეგროვებას შეძლებდა? რა თქმა უნდა, ეს ხელმოწერები უმეტეს შემთხვევაში გაყალბებულია, მაგრამ ხელისუფლებას არც კი უცდია შეემოწმებინა ამ სიების ნამდვილობა. შეიძლება ვინმე არ იყოს მაღალი აზრის საქართველოს მოსახლეობის პოლიტიკურ დონეზე, მაგრამ ამდენი იდიოტი საქართველოში ნამდვილად არ ცხოვრობს, რომ ამდენი კაცისთვის 25-25 ათასი ხელმოწერა მიეცათ.

***— ქალბატონო ირინა, ასევე საუბრის ბოლოს მინდა თქვენი განცხადების თაობაზეც გკითხოთ, თქვენ ფეისბუქის საკუთარ გვერდზე გააკეთეთ განცხადება, რომ ვიღაც დაპატიმრებით გემუქრებათ. რა ხდება, იქნებ უფრო დეტალურად გვიამბოთ ამის თაობაზე. ვის რაში შეუშალეთ ხელი?***

— არ ვიცი, ჯერჯერობით ვერ გავიგე. ამ განცხადების გაკეთების შემდეგ, მე ჩემს ფეისბუქის გვერდზე დავიწყე იმ რუსულენოვანი წერილების გამოქვეყნება, რომლებიც რეგულარულად ვრცელდება რუსეთის სააგენტოებით. მე ჩემი მოსაზრებები მაქვს ამ ყველაფერთან დაკავშირებით. მე ეჭვი მეპარება, რომ ამ შემთხვევაში ჩემი დაპატიმრება ისევე არ აწყობს დღევანდელ ხელისუფლებას, როგორც არ აწყობდათ მაშინ, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენი მთავარი მტრები, მაშინაც და დღესაც, მიშასთან ერთად იყვნენ რესპუბლიკელები. მაშინ ოპოზიციაში იყვნენ, მაგრამ იმ პერიოდშიც სწორედ ისინი იყვნენ რუპორებად გამოყენებულნი, რომ ჩვენ უცხო ქვეყნის აგენტებს გვიწოდებდნენ, ერთადერთი იმის გამო, რომ არ ვთვლით სწორად ნატოსთან თანამშრომლობას და ვთვლით სწორად ნეიტრალიტეტს. ახლა, ამ შემთხვევაში ვინ დგას ამის უკან, ძნელი სათქმელია. მე ცოტა ხანში, როცა ამის საშუალება მექნება, გამოვაქვეყნებ იმ მონაცემებსაც, რასაც შემდეგ გამოძიებას გადავცემთ და მოვითხოვთ მათგან უკვე ოფიციალურად პასუხის გაცემას, რომ დაადგინონ ამ მუქარების ადრესატები. თუმცა ეჭვი არ მეპარება, რომ ეს ადრესატები ამ ხელისუფლებაში არიან.

***— ქალბატონო ირინა, თქვენ სტატიებს აქვეყნებთ რუსულენოვან პრესაში და ამის გამო წამოვიდა ეს მუქარა?***

— დიახ, ამის მერე წამოვიდა და ამიტომ დავუკავშირე ერთმანეთს. ამ ტექსტშიც, რომლითაც მე დამემუქრნენ, პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ უნდა შევწყვიტო საზღვარგარეთ წერილების გამოქვეყნება. მე წერილებს მხოლოდ რუსეთში ვაქვეყნებ რეგულარულად, კვირაში ორჯერ-სამჯერ იბეჭდება ჩემი მასალები. რისი საშუალებაც მე, სამწუხაროდ, საქართველოში არა მაქვს. სწორედ ამ წერილების გამოქვეყნებიდან მოკლე ხანში წამოვიდა ეს მუქარები. მე ვფიქრობ, გარდა რეგულარობისა, მიზეზი გახდა ამ წერილების შინაარსიც, იმიტომ, რომ რასაც მე ვწერ, თუ ეს მართალია, და როგორც ჩანს, არ არის სიმართლისგან შორს, რომ ოცნება და ნაციონალები აი ამ გეგმით აპირებენ მოქმედებას, რაზეც ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი, რა თქმა უნდა, დროზე ადრე ამ გეგმის გახმაურება არც ერთს აწყობს და არც მეორეს. ამიტომ, როცა ამ ყველაფერს რეგულარული ხასიათი ეძლევა და ამ სააგენტოების საშუალებით ამას საქართველოს მოსახლეობის გარდა, ბევრად უფრო დიდი სპექტრი გებულობს, ეს მათთვის არ არის მისაღები.

## „საქართველოს ბანკის“ სერვის-ცენტრზე თავდასხმა მოხდა

„საქართველოს ბანკის“ ვაშლიჯვრის სერვის-ცენტრზე გუშინ, თავდასხმა განხორციელდა.

როგორც „მედიანიუსს“ „საქართველოს ბანკის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა სოფო ბალავაძემ განუცხადა, თავდასხმის შედეგად არავინ დაშავებულა.

მისი თქმით, თავდასხმაში ერთი ნიღბიანი, შეიარაღებული პირი მონაწილეობდა.

მომხდართან დაკავშირებით სხვა დეტალები ზუსტდება. მიმდინარეობს გამოძიება.

**მედიანიუსი**

## გიგი კალანდაძე წულუკიანისა და ალასანიას წინააღმდეგ

შორენა გონგლაძე

— გენშტაბის ყოფილმა უფროსმა გიგი კალანდაძემ იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანისა და თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა. ამის შესახებ განცხადება „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე გიგი კალანდაძემ გააკეთა.



— მე უკვე შევიტანე სარჩელი საქალაქო სასამართლოში და ვითხოვ საჯაროდ ბოდიშის მოხდას თეა წულუკიანის და ირაკლი ალასანიას ჩემ მიმართ გაკეთებულ განცხადებებზე. თეა წულუკიანი საზოგადოებას უმტკიცებდა, რომ მე სამეგრელოში ადამიანებზე ვახორციელებდი ზეწოლას რაც სრული აბსურდი და საზოგადოების შეცდომაში შეყვანაა, ისინი უსაფუძვლო ინფორმაციას ავრცელებდნენ, თითქოს მე მივიტაცე 500 ათასი ლარი და მოწმეებზე ვახორციელებდი ზეწოლას სამეგრელოს რეგიონში, ეს არის ტყუილი, — აცხადებს კალანდაძე.

კალანდაძეს არაერთხელ გაუკეთებია წულუკიანის მისამართით განცხადება, რომ თეა წულუკიანი საჯარო განცხადებებით მის დისკრედიტაციას ცდილობდა

რაც შეეხება ალასანიას, თავის გამოსვლებში გიგი კალანდაძემ არაერთხელ აღნიშნა მას ის ფაქტი, რომ თავდაცვის მინისტრი ცდილობდა, მასზე ზეწოლა მოეხდინა.

რაც შეეხება ალასანიას მიერ კალანდაძის მისამართით გაკეთებულ განცხადებას, რაზეც უშუალოდ კალანდაძე თავის გამოსვლაში მიუთითებს, ამასთან დაკავშირებით ალასანია აცხადებდა, რომ:

— ისეთი ადამიანები, რომლებიც ჯარისკაცებისთვის განკუთვნილ ნახევარმილიონიან ბიუჯეტს ხელს მოჰკიდებენ და ბინას იყიდიან, მუნდირის ღირსი არ არის და მის ბრალდებაზე კომენტარს არ ვაკეთებ, — აცხადებდა თავდაცვის მინისტრი.

## 2011 წელს გიორგი კალანდაძესა და ზურაბ შამათავას ორი საცხოვრებელი ბინა 1 ლარად გადაეცათ

ყოფილ მაღალჩინოსნებს: გიორგი კალანდაძესა და ზურაბ შამათავას თბილისში მდებარე ორი საცხოვრებელი ბინა სიმბოლურ ფასად — 1 ლარად გადაეცათ. ქონების სიმბოლურ ფასად გადაცემაზე ინფორმაცია თავდაცვის სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ გაავრცელა. მის თანახმად, კალანდაძესა და შამათავას ორი საცხოვრებელი ბინა სახელმწიფომ თბილისში, ონიაშვილის ქუჩა 2-ში გადასცა.

განცხადების თანახმად, მიმდინარე წლის 14 მაისს გენერალური ინსპექციის მიერ განხორციელებული თავდაცვის სამინისტროსა და სამინისტროს კუთვნილი საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობასა და სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების შეძენის, სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების განხორციელებისა და გასხვისების კანონიერების სამსახურებრივი შემოწმება დასრულდა.

„დადგინდა, რომ 2011 წლის 24 ნოემბერს, შპს „თბილავიამშენმა“ თავდაცვის სამინისტროს თანხით იურიდიული პირისგან შეიძინა ქ. თბილისში, ონიაშვილის ქ. №2-ში მდებარე ორი საცხოვრებელი ბინა — 152 და 147 კვადრატული მეტრი ფართის. შენაძენის საერთო ღირებულებამ შეადგინა 364.694 ლარი. ზემოაღნიშნული უძრავი ქონება საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 13 ივლისის №13/07/01 განკარგულებით, სიმბოლურ ფასად (1 ლარი) საკუთრებაში გადაეცა თავდაცვის სამინისტროს ყოფილ მაღალჩინოსნებს — გაერთიანებული შტაბის ყოფილ უფროსს — გიორგი კალანდაძესა და IV ქვეითი ბრიგადის ყოფილ მეთაურს — ზურაბ შამათავას“, — ნათქვამია თავდაცვის სამინისტროს განცხადებაში.

**მედიანიუსი**

# ბურჯანაძისა და დავითაშვილის პოზიცია ერთმანეთს ემთხვევა

თამარ ნინიძე

საპრეზიდენტო არჩევნებამდე ორი თვით ადრე პრეზიდენტობის მაძიებელთა რიცხვი იმატებს, რომ არაფერი ითქვას ცნობად სახელებზე, სრულიად უცნობი ადამიანებიც ცდილობენ, ჩაებან ამ მარათონში, საკითხავია მხოლოდ რით აიხსნება ამ ადამიანების ასეთი აქტიურობა მაშინ, როცა ხვდებიან, რომ მარცხისთვის განწირული არიან. საპრეზიდენტო კანდიდატები არჩევნებში მონაწილეობისთვის ფულს არ იღებენ, მაგრამ ცოცხალი რიგი პრეზიდენტის სკამისთვის მაინც დგას.



პოლიტიკოსები რომ ამ არჩევნებში მონაწილეობენ, წესით, ამაში უცნაური არაფერია, მაგრამ ერთი და იგივე ტიპის ელექტორატის ნდობის მოსაპოვებლად რომ ერთმანეთს ხმებს ართმევენ, ეს მართლაც გაურკვეველია. „ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი კობა დავითაშვილი აქტიურად ჩაერთო წინასაარჩევნო კამპანიაში, მისი დევიზი ნულოვანი ტოლერანტობა ნაცმოძრაობის მიმართ, ემთხვევა ნინო ბურჯანაძის სლოგანს არა კოჰაბიტაციას. წესით დავითაშვილს უნდა ესმოდეს, რომ ამით ბურჯანაძეს ხმებს ართმევს, მაგრამ ეს მისთვის შემაფერხებელი მიზეზი არ არის. მისი დამოკიდებულება ნაციონალების მიმართ ცნობილია, ამიტომ გაჩნდა ეჭვი, „ქართული ოცნების“ დატოვება ხომ არ არის მიზანმიმართული ქმედება, რომ ბურჯანაძის ელექტორატის გადაბირებაზე იმუშაოს. თუ დავითაშვილის ეს გადაწყვეტილება არჩევნებში მონაწილეობის თაობაზე გულწრფელია, მაშინ ის ყოფილ თანაგუნდელს გიორგი მარგველაშვილს აკარგვინებს ხმებს. მარგველაშვილმაც ცოტა ხნის წინ განაცხადა ერთ-ერთ შეხვედრაზე, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ კოჰაბიტაცია დასრულდება.

კობა დავითაშვილი ამბობს, რომ ის მემარცხენე ცენტრისტია და ბურჯანაძის ელექტორატზე არ მუშაობს, თუმცა ნინოს და კობას პოზიცია ემთხვევა ნაციონალებთან დამოკიდებულებაში ერთმანეთს. დავითაშვილი ამბობს, რომ ის მარგველაშვილის კონკურენტიც იქნება და მეორე ტურში არა მარგველაშვილი და ბურჯანაძე, არამედ სწორედ მარგველაშვილი და ის დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. კობა ამბობს, რომ მარგველაშვილს იმაზე ნაკლები ცნობადობა აქვს, ვიდრე თავად მას და ბურჯანაძეს. ამიტომ მარგველაშვილს არჩევნებში გამარჯვება გაუჭირდება. მარგველაშვილისთვის ჯერჯერობით ყველაზე დიდ მიღწევად რჩება ის, რომ მას პირადად ივანიშვილი უჭერს მხარს, მაგრამ ეს საკმარისი არგუმენტია თუ არა გამარჯვებისთვის, ამის თქმა ძნელია. მარგველაშვილის აქტივში ივანიშვილის მხარდაჭერასთან ერთად რჩება ის გადაწყვეტილება, რომელიც მან მიიღო განათლების მინისტრობის დროს უფასო სახელმძღვანელოების დარიგებასთან დაკავშირებით, ეს სრულიად დამოუკიდებლად მიღებული გადაწყვეტილება მას ივანიშვილმაც შეუქო, ასევე არის მისი დაპირისპირება ბენდუქიძესთან, როგორც ამბობენ, მარგველაშვილმა გაბედა და ისეთ პიროვნებას დაუპირისპირდა, როგორიც ბენდუქიძე იყო, მაგრამ ამ ომში გამარჯვებული არც ბენდუქიძე დარჩა ბოლომდე და არც მარგველაშვილი. ივანიშვილმა დაინახა, რომ მაგველაშვილს განსხვავებით სხვა მინისტრებისგან თურმე დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღების უნარი გააჩნია და ეს მოუწონა კიდეც, არ არის გამორიცხული, რომ ეს ფაქტორი აღმოჩნდა გადამწყვეტი ივანიშვილისთვის, რომ სწორედ მარგველაშვილი დაესახელებინა კოალიციის ერთადერთ შესაფერის კანდიდატურად საპრეზიდენტო პოსტზე.

ნათელაშვილი იმაზე მეტადაც კი თავდაჯერებულია, ვიდრე ეს შეიძლება ადამიანმა წარმოიდგინოს. ის ირწმუნება, რომ მისი რეიტინგი მზარდია სხვა კანდიდატებთან შედარებით, რომ სხვა დანარჩენები უბრალოდ სახელგატეხილი პოლიტიკოსები არიან და ამ პოსტისთვის ღირსეული მხოლოდ ის არის. გარდა ამისა, ცნობილია მისი მემარცხენე იდეები, რის გამოც შეიძლება კობა დავითაშვილსა და მას შორის ერთ და იმავე ტიპის ელქტორატზე გაიმართოს ბრძოლა ხმების წართმევის თვალსაზრისით. ნათელაშვილი სადღაც მესამე განზომილებაშია თითქოს გაჭედილი, მისი წინასაარჩევნო კამპანია კონკურენტების მიმართ შეუწყნარებლობისა და მათი მხოლოდ უარყოფით კონტექსტში მოხსენიებაზეა დაფუძნებული და მისდა სამწუხაროდ, მხოლოდ ბოღმასა და ლანძღვაზე დამყარებული საარჩევნო კამპანია მას გამარჯვებას ვერ მოუტანს.

სალომე ზურაბიშვილი თუ შეძლებს დარეგისტრირებას, ის სერიოზული კანდიდატურა იქნება და ეს კარგად ესმით მის კონკურენტებს, მაგრამ ამ შემთხვევაში ყველაზე მეტად სალომე ზურაბიშვილს ხმების წართმევა შეუძლია გიორგი თარგამაძისთვის, რომელმაც წინასაარჩევნოდ ხმების მოზიდვის უნიკალურ ხერხს მიაგნო, ის სოფელ-სოფელ დადის და ხელმოწერებს აგროვებს ერთსქესიან ქორწინებათა დაკანონების წინააღმდეგ და ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ცხადია, რომ საკმაო რაოდენობის ხელმოწერებს მოაგროვებს. თუმცა აქ ეს წინასაარჩევნო ხრიკი მის სასარგებლოდ მაინც ვერ იმოქმედებს იმის გამო, რომ მის სხვა კონკურენტებსაც არა მგონია განსხვავებული შეხედულება ჰქონდეთ ამ საკითხთან დაკავშირებით, ვისაც გინდათ ჰკითხოთ, ეს ბურჯანაძე იქნება დავითაშვილი, ნათელაშვილი თუ სხვა აუცილებლად ისინიც იტყვიან, რომ ერთსქესიანი ქორწინების სასტიკი წინააღმდეგი არიან. დასავლურ კურსს, მართლმადიდებლობას არც შეეხება, ამაში თარგამაძეს სხვა კანდიდატებიც გაუწევენ კონკურენციას. ამით ხმების მოზიდვა სრულიად უსარგებლოა.

ქართლოს ღარიბაშვილი ეს მარადიული კანდიდატი და მუდმივი მაძიებელი პრეზიდენტის სკამისა საინტერესოდ გამოიყურება, თავდაჯერებულობას მას ვერავინ წაართმევს, დარწმუნებულია, რომ ტანდემი პრემიერი ივანიშვილი და პრეზიდენტი თავად ის, ძალიან ეფექტური იქნება, ამას თავად ამბობს, მაგრამ ეტყობა ავიწყდება, რომ ივანიშვილი პოსტიდან წასვლას აპირებს. კირთაძე, და აკაკი ასათიანი, ნესტან კირთაძე განაგრძობს რეგიონებში წინასაარჩევნო შეხვედრებს, მაგრამ ისეთი ძლიერი კონკურენტების პირისპირ, როგორც მარგველაშვილი, ბურჯანაძე და ზოგიერთი სხვაც არის, კირთაძის შანსები მეორე ადგილისთვის საგრძნობლად მცირეა. აკაკი ასათიანმა კი რა მიზეზით მოინდომა ამ მარათონში ჩაბმა, ეს კი მართლაც გაუგებარია. ცნობილია, რომ პრეზიდენტობის კანდიდატებს არჩევნებში მონაწილეობისთვის ფინანსებით არავინ უზრუნველყოფს, ასათიანს კი ახლა ფინანსები ჰაერივით სჭირდება, ბანკმა რომ სახლი დაუყადაღა, ის გამოუვალ მდგომარეობაშია, მაგრამ რამდენად არის პრეზიდენტის სავარძელი ვალების დაბრუნების ან ჩამოწერის საშუალება, საკითხავი ეს არის.

ბურჯანაძემ არა კოჰაბიტაციას წანასაარჩევნო კამპანიის დაწყებისთანავე ეს სლოგანი გაავრცელა და ამას მოაყოლა კიდეც დაპირებები, რომ პირველ რიგში გახდება თუ არა პრეზიდენტი, სააკაშვილს დაიჭერს და მას სხვა ნაციონალებსაც მიაყოლებს. ეს დაპირება გულზე მალამოდ ედება ამომრჩევლის იმ სეგმენტს, რომელსაც განსაკუთრებით ეჩქარება შურისძიება ნაციონალებზე და მათი გისოსებს მიღმა დანახვა. ელექტორატის ეს კატეგორია საქართველოში საკმაოდ დიდია და კოჰაბიტაციის მოწინააღმდეგეთა რიცხვი საქართველოში არათუ კლებულობს, არამედ უფრო იმატებს.

კიდევ ერთი საინტერესო ფაქტორია საგარეო პოლიტიკა, ბურჯანაძე რუსეთთან განსაკუთრებული დიალოგის მომხრეა, „ქართული ოცნების“ ლიდერები აქამდე მხოლოდ ზოგადი და ზედაპირული საუბრებით შემოიფარგლებოდნენ, რომ რუსეთთან ურთიერთობა უნდა მოგვარდეს, მაგრამ კონკრეტული ნაბიჯები ამ კუთხით არ გადაუდგამთ, ამ ეტაპზე მხოლოდ იმის გახსენება შეიძლება, რომ ივანიშვილი და კოალიციის სხვა წევრები რუსული ბაზრის დაბრუნებისკენ დგამდნენ გარკვეულ ნაბიჯებს. ეს იყო სულ, ამას გაგრძელება არ მოჰყოლია, არადა ისინი უკვე ხელისუფლებაში არიან და დიალოგის რეჟიმზე გადასვლის პროცესი არ დაწყებულა მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ამისთვის მზადყოფნას აცხადებდა. ივანიშვილი პირდაპირ კავშირზე გასვლას პუტინთან არ ჩქარობს, სანაცვლოდ კი მივიღეთ საოკუპაციო საზღვრის ზოლის გადმოწევა და რუსი სამხედროების თვითნებობა. ბურჯანაძე ამბობს, რომ მას შეუძლია რუსეთის ხელისუფლებასთან საუბარი საქართველოსთვის სასარგებლო საკითხების დაყენებით. მისი თქმით, ნატოსა და რუსეთს შორის ურთიერთობა კავკასიასთან და საქართველოსთან მიმართებაში უნდა წარიმართოს სხვა რეჟიმში. საინტერესო იყო ამას წინათ გახმოვანებული მისი იდეაც ერთობლივი კონფერენციის გამართვის თაობაზე, რომელიც ამ ეტაპზე წინასაარჩევნო ბატალიებმა იმსხვერპლა. თუმცა დღის წესრიგში ეს იდეა ისევ დგას და დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი ფიქრობს, რომ ამ ახალი რეალობის გათვალისწინებით და ახალი თავდაცვითი პოლიტიკური სისტემების შექმნის საჭიროებიდან გამომდინარე საქართველოში ეს კონფერენცია უნდა გაიმართოს.



დავით ბაქრაძეს კი ამასობაში ნაცმოძრაობის შიგნით კონკურენტი გამოუჩნდა ცესკო-ს ყოფილი თავმჯდომარის ზურაბ ხარატიშვილის სახით. ეს პიროვნება რომ ნაციონალების და პირადად სააკაშვილის ნდობით სარგებლობდა უახლოეს წარსულში, ამაზე მეტყველებს მისი დანიშვნა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ. სააკაშვილი ამ პოსტზე ისეთ ადამიანს არ უშუამდგომლებდა, რომლის ერთგულებაშიც ეჭვი შეეპარებოდა. ხარატიშვილიც ნაცმოძრაობასთან ასოცირდებოდა, მაგრამ ის რომ საპარლამენტო არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა, ეს ხარატიშვილის ცუდი მუშაობის შედეგი არ ყოფილა, არამედ იმის რომ ნაცმოძრაობას აღარ ჰქონდა მხარდაჭერა ელექტორატში. კონკურენტებმა ხარატიშვილის სურვილი საპრეზიდენტო არჩევნებში ჩაბმასთან დაკავშირებით მისი პოლიტიკური გამოუცდელობით ახსნეს, მაგრამ ფაქტია, რომ ხარატიშვილი გრძელვადიანი პოლიტიკური მომავლისთვის იბრძვის და მისი მიზანი მხოლოდ ამ არჩევნებს არ უკავშირდება. მან უკვე ღიად დააფიქსირა რომ მემარჯვენე ცენტრს ქმნის და იმ პარტიებთან დაიწყო კონსულტაციები, რომლებიც ივანიშვილმა თავიდანვე შუაგაკრეფილებში დაასახელა. ივანიშვილისგან უარყოფილები ახლა ხარატიშვილის ქოლგის ქვეშ აპირებენ პოლიტიკური საქმიანობის გაგრძელებას, „ევროპელი დემოკრატების“ ლიდერი პაატა დავითაია და ეროვნულ-დემოკრატები მყისიერად გამოეხმაურნენ ხარატიშვილის სურვილს და აქტიურად ჩაერთვნენ მოლაპარაკებებში. ხარატიშვილის როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური მოთამაშის შემოსვლას აქტიურ პოლიტიკაში სხვა პოლიტიკოსები არ იჯერებენ და მის უკან სხვა უფრო გავლენიანი ფიგურების არსებობაზე მიანიშნებენ, მაგალითად, მერაბიშვილზე, რომელიც დღეს ბრალდებულის სტატუსით ციხეში ზის და თავის სასამართლოს ელოდება.

აქამდე თუ პაატა დავითაიას და სხვა შუაგაკრეფილებს საკუთარი საპრეზიდენტო კანდიდატი არ ჰყავდათ, ახლა ხარატიშვილს ერთხმად უჭერენ მხარს, თუმცა საინტერესოა მოლაპარაკებების დეტალები, რას ჰპირდება ხარატიშვილი დასავლური კურსის მომხრე პარტიებს, რა არის ის პირობები, რამაც მოხიბლა ედპ და დავითაია. ედპ დიდი ხანია იბრძვის იმისათვის, რომ მისი მსგავსი იდეოლოგიის პარტიები გაერთიანდნენ და ერთი ცენტრი შექმნან არა მარტო საარჩევნო ბლოკის სახით, არამედ გრძელვადიან პერსპექტივაში პოლიტიკაში მოღვაწეობისთვის, ხარატიშვილის იდეა გაერთიანებაზე კი სწორედ რომ სულზე მისწრება იყო, თუმცა თუ დადასტურდება ეჭვი მერაბიშვილის ფაქტორის შესახებ, გაგრძელდება თუ არა ეს თანამშრომლობა მომავალშიც ეს მართლა საინტერესო თემაა. მერაბიშვილის პოლიტიკური მომავალი საზოგადოების დიდი ნაწილისთვის წარმოუდგენელია, მის ადგილს მხოლოდ ციხეში ხედავენ და არა რომელიმე პოლიტიკურ ცენტრში. ის ყოველთვის ნაცმოძრაობასთან იქნება გაიგივებული და ერთი კი არა მრავალი ცენტრიც რომ შექმნას და საკუთარი პოლიტიკური რეაბილიტაციისთვის თამამი ნაბიჯები გადადგას, მაინც მას წარსულს გაახსენებენ, სავარაუდოდ იმ პოლიტიკოსებსაც, ვინც მის გვერდით აღმოჩნდება. დამოუკიდებლად ხარატიშვილს კი ქარიზმა არა აქვსო, ასე აფასებენ მას პოლიტიკოსები.

# რატომ ყოვნდება აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარება რუსეთის მხრიდან?

შორენა გონგლაძე

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი აფხაზეთს საქმიანი ვიზიტით ეწვია. აღნიშნულ ინფორმაციას რუსული მედია ავრცელებს, რომლის თანახმადაც, რუსეთის პრეზიდენტმა აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტ ალექსანდრე ანქვაბთან შეხვედრა აფხაზეთის საკურორტო ქალაქ ბიჭვინთაში გამართა. როგორც რუსეთის პრეზიდენტის პრესსამსახური იუწყება, „საუბრის დროს ორი ქვეყნის ლიდერმა ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები განიხილეს.

– როგორც კრემლის პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ პრესრელიზშია ნათქვამი, რომელსაც სააგენტო „ცივილ.გე“ ავრცელებს, შეხვედრა შედგა მას შემდეგ, რაც ათი დღით ადრე პუტინმა და ანქვაბმა სოჭში გამართეს მოლაპარაკებები და ის ასევე ერთი დღით უსწრებდა წინ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთის მიერ სეპარატისტული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების ხუთი წლისთავს. 26 აგვისტოს ამ თარიღთან დაკავშირებით პუტინმა სეპარატისტ ლიდერებს მისალოცი წერილები გაუგზავნა. წერილებში რუსეთის სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა, რომ 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის მიერ მიღებული არცთუ მარტივი, მაგრამ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების თაობაზე საბედისწერო გამოდგა ამ ახალგაზრდა სახელმწიფოებისთვის, რომელმაც მისცა მათ საშუალება დამოუკიდებლად აირჩიონ თავიანთი მომავალი, – ნათქვამია კრემლის ინფორმაციაში.

კრემლი ასევე აცხადებს, რომ პუტინმა ცხინვალსა და სოხუმს „ყოველმხრივი დახმარებისა და მხარდაჭერის“ გაგრძელება აღუთქვა, მაღალი შეფასება მისცა რა „გასულ წლებში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის წარმატებას სახელმწიფოებრივ მშენებლობასა და დემოკრატიული ინსტიტუტების გამყარების, სოციალურ-ეკონომიკური ინფრასტრუქტურის აღდგენის კუთხით“.



„ასევე აღნიშნა წინაპირობები, რომელიც იქმნება ამ ქვეყნების გრძელვადიანი განვითარებისთვის და მათი მოქალაქეების ცხოვრების დონის ამაღლებისთვის“, – ნათქვამია პუტინის გზავნილების შესახებ კრემლის პრესრელიზში.

რუსეთმა საქართველოს სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობა 2008 წლის 26 აგვისტოს საქართველოსთან ხუთდღიანი ომის შემდეგ აღიარა. მის მაგალითს ნიკარაგუამ, ვენესუელამ, ნაურუმ და ტუვალუმ მიბაძა.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა რეინტეგრაციის საკითხებში პაატა ზაქარეიშვილმა განაცხადა, რომ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის აღიარებამ კიდევ უფრო გაზარდა ამ ორი სეპარატისტული რეგიონის მოსკოვზე დამოკიდებულება. „რეალურად, ისინი იზოლაციაში აღმოჩნდნენ. უცხო ქვეყნის სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური დომინირება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არასოდეს ყოფილა ისეთი ძლიერი, როგორც უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში“, – ნათქვამია განცხადებაში, რომელიც სახელმწიფო მინისტრის სახელით გავრცელდა, „ამდენად, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საზოგადოებებმა არა მხოლოდ ვერ მიაღწიეს საერთაშორისო აღიარებას, არამედ დიდი სახელმწიფოს მიერ მათი შთანთქმის საშიშროების წინაშე აღმოჩნდნენ“.

„აფსნიპრესთან“ ინტერვიუში სეპარატისტული აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვიაჩესლავ ჩირიკბამ საქართველოს დასავლელ პარტნიორებს საერთაშორისო აღიარების წინააღმდეგ მიმართულ ზომებში დასდო ბრალი.

„რატომ ყოვნდება აღიარება? საქმე აქ იმ წარმოუდგენელ პრესინგშია, რომელსაც აშშ და ევროკავშირი აწარმოებს ნებისმიერი ქვეყნის ხელმძღვანელობაზე, რომელიც გამოხატავს სიმპათიას აფხაზეთის დამოუკიდებლობის იდეის მიმართ. ადგილი აქვს შანტაჟს, ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის მუქარებს ყველაზე მაღალ დონეზე“, – განაცხადა ჩირიკბამ, „ეს, სხვათა შორის, კეთდება არა განსაკუთრებული სიყვარულის გამო საქართველოსადმი, მთავარ მოტივაციას წარმოადგენს ცივი ომის დროინდელი ინსტინქტები, რომლებიც არსად არ გამქრალა. რუსეთი თავისი გიგანტური ბირთვული პოტენციალით ჯერ კიდევ აღიქმება დასავლეთში, განსაკუთრებით კი აშშ-ის კონსერვატიულ წრეებში, მსოფლიოში მისი ჰეგემონიის წინააღმდეგ მიმართულ საფრთხედ. აფხაზებმა კი, მათი თვალსაზრისით, ბარიკადების სხვა მხარე აირჩიეს... თუმცა დასავლეთში უკვე ყველა მიხვდა, რომ აფხაზეთი საქართველოში არასოდეს არ დაბრუნდება“. თუმცა, ჩირიკბამ ასევე გაუსვა ხაზი დასავლეთთან კონტაქტების შენარჩუნების საჭიროებას სოხუმის ინტერესებიდან გამომდინარე და ამ კონტექსტში აღნიშნა ჟენევის მოლაპარაკებების მნიშვნელობა, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ დაწყებული ფორმატია.

საერთაშორისო აღიარების მიღების მცდელობაზე დასმულ კითხვაზე, სეპარატისტული სამხრეთ ოსეთის ლიდერმა ლეონიდ თიბილოვმა „რია ნოვოსტის“ განუცხადა: „ყველაზე მთავარია, რომ ჩვენი რესპუბლიკა რუსეთის ფედერაციის მიერ არის აღიარებული“.

მისი თქმით, მიმდინარეობს აღიარების გაფართოვების მცდელობა. „საკმარისი საფუძველი არსებობს იმის სათქმელად, რომ ეს მუშაობა მიმდინარეობს ნაყოფიერად და უახლოეს მომავალში იქნება გარკვეული მიღწევები ამ მიმართულებით“, – განაცხადა თიბილოვმა დეტალების დაზუსტების გარეშე.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა რეინტეგრაციის საკითხებში 26 აგვისტოს გამოქვეყნებულ განცხადებაში აღნიშნა: „ღრმად ვართ დარწმუნებული, ყველა მხარე მალე გააცნობიერებს ხუთი წლის წინ მიღებული გადაწყვეტილების უარყოფით შედეგებს, რამაც სამშვიდობო პროცესი ჩიხში შეიყვანა, ხოლო სასურველ მიზანს ყველა ააცილა. აღნიშნული სიტუაციიდან გამოსავლის ძიება ყოველთვის შეიძლება თითოეული დაინტერესებული მხარის სახის შენარჩუნებითა და მათი რეალური ინტერესების გათვალისწინებით“.

2013, 27 აგვისტო, №202

# ქართული მედიასივრცის ახალი რეალობა

ბოლო ერთი წლის განმავლობაში, ქვეყნის შიდაპოლიტიკაში მიმდინარე რყევების დიაპაზონი საკმაოდ გაიზარდა და ის ისეთ მგრძნობიარე და მნიშვნელოვან სფეროსაც კი გადასწვდა, როგორიც მედიაგარემოა.

მანამ, სანამ მე-9 არხის დახურვისა თუ გაყიდვის საკითხის პოზიტივებზე, ნეგატივებზე და ამის სავარაუდო შედეგებზე ვისაუბრებთ, ვფიქრობთ ღირს აღინიშნოს, რომ ქართული მედიაგარემოს წარმომადგენლობითობა ბოლო რამდენიმე წლის და განსაკუთრებით ბოლო ერთი წლის განმავლობაში, აშკარად არაადექვატურად იყო და არის გაზრდილი ქვეყნის სიდიდის და არსებული სარეკლამო ბაზრის გათვალისწინებით.

ეს კი, იმ ფაქტორით იყო და არის გამოწვეული, რომ საქართველოში, დასავლეთის განვითარებული ქვეყნებისგან განსხვავებით, მედიასაშუალებები და განსაკუთრებით ტელევიზიები, არა ჩვეულებრივი ბიზნესი, არამედ პოლიტიკური ბრძოლის იარაღია, ხოლო მას, ვინც ამ იარაღს მარჯვედ იყენებს, პოლიტიკური წარმატება პრაქტიკულად გარანტირებული აქვს.

ამის ნათელი დასტურია საქართველოს უახლესი ისტორია და 2001-2003 წლები, როდესაც, „მოქალაქეთა კავშირის“ ერთ-ერთმა ფრთამ ხელი შეუწყო ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის რეიტინგის ზრდას, გააძლიერა ის ფინანსურად და იდეოლოგიურად, რაც საბოლოო ჯამში, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში ხელისუფლების ცვლის მთავარი ფაქტორი გახდა.

სწორედ ეს იყო პირველი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი იმისა, რომ ტელევიზია საქართველოში, ნებისმიერი პოლიტიკურ ძალის ხელში, წარმატების გარანტიაა და სწორედ აქედან დაიწყო მედიაომი პოლიტიკურ ძალებს შორის, რაც როგორც ყველას კარგად მოეხსენება, მაშინდელი ახალი ხელისუფლებისა და მიხეილ სააკაშვილის გამარჯვებით დასრულდა.




მართალია ამ „გამარჯვებისთვის“ ნაციონალურ ხელისუფლებას არც ფული და არც სპეცრაზმის ძალა არ დაუშურებია, მაგრამ ფაქტი ერთი იყო, — მიხეილ სააკაშვილი თავისი ზეობის პერიოდში ქვეყანაში მედიის უდიდეს ნაწილს აკონტროლებდა, ხოლო თავისუფლება იმ (ძირითადად ბეჭდური) მედიასაშუალებებისთვის ჰქონდა მინიჭებული, რომელთა არსებობაც, თავისი მმართველობის დემოკრატიულობის ხაზგასასმელად უფრო სჭირდებოდა, თუმცა რა თქმა უნდა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მიხეილ სააკაშვილის დროს, იმ მედიასაშუალებებს, რომლებიც თავისუფლების ხარისხს ინარჩუნებდნენ, გზა ია-ვარდებით ჰქონდათ მოფენილი.

რა თქმა უნდა თითოეული მათგანი მუშაობას, უდიდესი წნეხისა და სტრესის ქვეშ ახერხებდა, რასაც პერიოდულად თან ჟურნალისტებზე განხორციელებული ფიზიკური ანგარიშსწორება, შანტაჟი, მუქარა და რედაქციების შენობებიდან გამოსახლება სდევდა.

ამ ყველაფრის პარალელურად, მიხეილ სააკაშვილი და მისი ხელისუფლება ზრდიდა იმ მედიასაშუალებების რაოდენობას, რომლებიც მათზე იმუშავებდა. ხშირ შემთხვევაში ეს ფაქტები ამაზრზენ სახესაც კი იღებდა და მას ნამდვილ ჟურნალისტიკასთან და ჟურნალისტურ სტანდარტებთან საერთო არაფერი ჰქონდა.

მიუხედავად იმისა, რომ „ნაციონალური მედიასაშუალებების“ საქმიანობა პროფესიონალური თვალსაზრისით ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა, მათმა მომრავლებამ, ქართულ მედიაბაზარზე ცვლილებები მაინც გამოიწვია, რასაც შედეგად, საქართველოს მასშტაბებთან შედარებით არაადექვატურად დიდი რაოდენობის მედიასაშუალებები, ჟურნალისტებზე გაზრდილი მოთხოვნილება და ასევე, საქართველოს ეკონომიკასთან შედარებით არაადექვატურად მაღალი ანაზღაურების სტანდარტი მოჰყვა.

აღნიშნული ტენდენცია, კიდევ უფრო მეტად გაამძაფრა 2011 წელს, საქართველოს დღევანდელი პრემიერ-მინისტრის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ პოლიტიკაში მოსვლასთან დაკავშირებით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოში დამკვიდრებული სტერეოტიპის თანახმად, პოლიტიკაში წარმატების მიღწევა, საკუთრებაში არსებულ მედიასაშუალებებს უკავშირდებოდა, მედიასაშუალებების შენახვა კი, ბოლო წლების განმავლობაში საკმაოდ ძვირი ფუფუნება გახდა, ხოლო მატერიალური რესურსის ნაკლებობას, პოლიტიკაში შემოსვლის მსურველი და მანამ ჩრდილში მყოფი ბიძინა ივანიშვილი, ნამდვილად არ უჩიოდა.

მის მიერ პოლიტიკაში მოსვლასთან დაკავშირებით განცხადების გაკეთებისთანავე, ქართულ მედიაბაზარზე რყევები დაიწყო, გაიზარდა სარეკლამო სივრცის ღირებულება და შესაბამისად, რადგან არსებობდა მოთხოვნა, კიდევ უფრო მეტად გაიზარდა მედიასაშუალებების რაოდენობა. ხოლო რაც შეეხება ახლანდელი პრემიერის მიერ საინფორმაციო სააგენტო „ინფო -9“-ის და „მე-9 არხის“ ჩამოყალიბების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას, ამან ქართული მედიაბაზარი მასშტაბების მხრივ, ადექვატურობის ჩარჩოებს კიდევ უფრო მეტად დააშორა და ისეთი სიტუაციაც კი შეიქმნა, რომ კადრებზე მოთხოვნამ, რეალურად არსებულს მნიშვნელოვნად გადააჭარბა. სწორედ ამაში უნდა ვეძებოთ ჟურნალისტიკის სფეროში იმ არაპროფესიონალების მომრავლება, რომლებიც დღეს განსჯის თემა გახდა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მედიასაშუალებების დაკომპლექტება მხოლოდ არაპროფესიონალებით მოხდა. პირიქით, სხვადასხვა კომპანიებიდან, ბიძინა ივანიშვილის მედიაკომპანიებში ძალიან ბევრი პროფესიონალი გადავიდა, რისი საფუძველიც რა თქმა უნდა მატერიალურ მხარეში უნდა ვეძებოთ და აგრეთვე იმაშიც, რომ ივანიშვილის გვარი, მისი ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, სტაბილურობასთან ასოცირდებოდა.

ახალმა და აგრეთვე ფინანსურად გაძლიერებულმა ძველმა, თავისუფალმა მედიასაშუალებებმა, ყოფილი ხელისუფლების დამარცხების საქმეში მართლაც რომ უდიდესი როლი ითამაშეს და ამის მაგალითად, თუნდაც დაახლოებით 1 წლის წინ გასაჯაროებული ე.წ. „ციხის კადრებიც“ საკმარისია.

მიუხედავად აღნიშნული როლისა, ცხადი იყო, რომ პრემიერ-მინისტრს მის მიერვე შექმნილი მედიასაშუალებები, რომელიც უშუალოდ მის სახელს უკავშირდებოდა, აღარ სჭირდებოდა, მისი შენახვა საკმაოდ ძვირი ჯდებოდა, ხოლო რაც შეეხება რენტაბელობას, საქართველოს სარეკლამო ბაზრის გათვალისწინებით, „ინფო 9“-ის და „მე-9 არხის“ რენტაბელობის მიღწევას, რომ აღარაფერი ვთქვათ რეიტინგზე, საკმაოდ დიდი ძალისხმევა და დრო დასჭირდებოდა, ხოლო ამ ძალისხმევის დახარჯვა პრემიერს, რა თქმა უნდა არაფერში ესაჭიროებოდა.

ამ ყველაფერს ემატება მოახლოებული არჩევნები. თუ წინა არჩევნების დროს, ბიძინა ივანიშვილი ერთი რიგითი პრედენდენტი იყო და მის საკუთრებაში მედიასაშუალების არსებობას რაღაც გამართლება მაინც ჰქონდა, დღეს, როდესაც ის ქვეყნის პრემიერ-მინისტრი და დე-ფაქტო პირველი პირია, არჩევნების წინა პერიოდში ტელეკომპანიის ფლობა, თუნდაც მისი ოჯახის წევრის მიერ, დამატებითი პრობლემა და უხერხულობა იქნებოდა.

აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ როგორც ტელეკომპანია, ასევე საინფორმაციო სააგენტოც, აბსოლუტურად მოულოდნელად დაიხურა, რაც სრულიად მედიასპექტრისთვისაც კი შოკისმომგვრელი აღმოჩნდა, — პრემიერის მხრიდან გადადგმულ ამ ნაბიჯში ლოგიკის დანახვა ძნელი ნამდვილად არაა. ცალკე საკითხია გამოჩნდება თუ არა ადამიანი, ვინც აღნიშნულ ტელეკომპანიას რეალურად იყიდის და მასში რეალურ ინვესტიციას განახორციელებს, ვინაიდან, როგორც აღვნიშნეთ, საქართველოში ტელევიზია, როგორც ბიზნესი, — არ არსებობს და ამ ნიშნულამდე მისაღწევად ქვეყანას სავარაუდოდ კიდევ რამდენიმე წელი დასჭირდება.

რეალობას მოკლებულია ვარაუდი იმის შესახებაც, რომ ამ ტელეკომპანიას ვინმე პოლიტიკური მიზნებისთვის იყიდის, რადგან ჯერ ერთი, ქვეყნის შიდაპოლიტიკურ დაფაზე უკვე ყველა მოთამაშეა წარმოდგენილი, რომლებსაც თავიანთი პოზიციები უკვე უჭირავთ და ნაკლებადსავარაუდოა, რომ ამ კუთხით ახლო მომავალში რამე შეიცვალოს.

მეორე მიზეზი კი ისაა, რომ აღნიშნულ არხს, არცთუ ისე მაღალი რეიტინგი და დაფარვის არეალი გააჩნდა.

აქედან გამომდინარე, მისი დაფარვის ზონის გაზრდა და შემდეგ არხისთვის რეიტინგის აკრება, უზარმაზარ შრომასთან, დროსთან და ფინანსებთანაა დაკავშირებული, რაც პრაგმატული მოსაზრებიდან გამომდინარე, არცერთ პოტენციურ ინვესტორს არ უნდა ულირდეს.

ამასთან, საკმაოდ ბევრი აღმოჩნდა მსურველი იმისა, რომ აღნიშნული კომპანიის ქონება ხელში სიმბოლურ ფასად ჩაიგდოს.

ეს რა თქმა უნდა მისასალმებელია და ერთი შეხედვით, შეიძლება არხის გადარჩენისა და იქ დასაქმებულთა სამსახურების გადარჩენის მცდელობადაც კი აღვიქვათ, მაგრამ ერთი წუთითაც რომ წარმოვიდგინოთ მოვლენების ამგვარი სცენარით განვითარება, საინტერესოა რას უზამს ესა თუ ის კონკრეტული პიროვნება თუ პიროვნებათა ჯგუფი არხის ინფრასტრუქტურას მისი ხელში ჩაგდების შემდეგ.

საქმეში ჩაუხედავი და არაპროფესიონალი პირისთვისაც კი ცხადია, რომ აღნიშნული ტელეკომპანიისა და საინფორმაციო სააგენტოს უზარმაზარი ინფრასტრუქტურისა და აპარატურის მხოლოდ მართვასაც კი, ასევე უზარმაზარი ფინანსური რესურსი სჭირდება.

მხოლოდ აღნიშნული აპარატურის დემონტაჟი და სხვა შენობაში გადატანა, კოლოსალურ სახსრებთანაა დაკავშირებული, რასაც ეთერში გაშვებული არხის ასევე კოლოსალური კომუნალური ხარჯები და თანამშრომელთა ხელფასები დაემატება.

იქნებ არხის ქონების ხელში ჩაგდების სურვილის გამოხატვასთან ერთად, ზოგიერთმა პირმა საზოგადოებას და უპირველეს ყოვლისა „მე-9 არხის“ თანამშრომლებს აუხსნას, თუ რა ფინანსური რესურსით აპირებს ის არხის მართვას, მისი სიმბოლურ ფასად მიღების შემთხვევაშიც კი.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, არხის დახურვის გადაწყვეტილების გახმაურების პარალელურად, პრემიერ-მინისტრმა სპეციალური განცხადებაც გაავრცელა, სადაც ის ამბობს, რომ არხის გაყიდვის შემთხვევაში, მისი ერთ-ერთი მთავარი პირობა იქნება, რომ იქ დასაქმებულ თანამშრომლებს სამუშაო ადგილები შეუნარჩუნდეთ.

პრემიერის მიერვე, ოდნავ მოგვიანებით გაკეთებული განცხადების თანახმად კი, მხოლოდ მე-9 არხის შენახვა, მას თვეში მილიონი ლარი უჯდებოდა.

არავითარი საფუძველი არ გვაქვს, რომ მისი სიტყვების სიმართლეში ეჭვი შევიტანოთ.

საინტერესოა, საიდან უნდა მოიტანონ თუნდაც აღნიშნული 1 მილიონი ლარი ყოველთვიურად იმ პირებმა თუ პირთა ჯგუფმა, რომელიც პირობას იძლევა, რომ სიმბოლურ ფასად გადაცემის შემთხვევაში, არხს აამოქმედებს.

რა თქმა უნდა ასეთი ადამიანის პოვნა საქართველოში საკმაოდ ძნელია და იქმნება შთაბეჭდილება, რომ ზოგიერთს, არხის ინფრასტრუქტურის ხელში ჩაგდება, მხოლოდ პირადი სარგებლობის მიზნით უნდა, რაც რა თქმა უნდა უსამართლობა იქნება თუნდაც იმ ხალხის მიმართ, ვინც 1 წლის განმავლობაში ამ არხზე მუშაობდა.

ასე, რომ მოლოდინი „მე-9 არხის“ გაყიდვისა და არხით რეალური ინვესტორის დაინტერესების შესახებ, მიუხედავად მართლაცდა ბევრი ადამიანის სურვილისა, ამ ეტაპზე რეალობას საკმაოდ მოკლებულია.

როგორც მოსალოდნელი იყო, არხის დახურვასთან დაკავშირებით ინფორმაციის გაჟღერებისთანავე, წარმოიშვა უამრავი ვარაუდი მისი სამომავლო ბედის შესახებ.

ამ ვარაუდებს შორის ყველაზე საინტერესო, მაინც პოლიტიკური კუთხით გაკეთებული პროგნოზი იყო, რომლის თანახმადაც, ბიძინა ივანიშვილი არხს ნინო ბურჯანაძეს ჩუქნიდა. ამ ქმედების მიზნად კი, აღნიშნული ვერსიის ავტორები იმას ასახელებდნენ, რომ პრემიერი ნინო ბურჯანაძის გაპრეზიდენტებითაა დაინტერესებულიო.

ლოგიკის ჩარჩოებიდან გამომდინარე, ვფიქრობთ აღნიშნულ ვერსიას არსებობის არანაირი უფლება არ აქვს და უფრო მეტიც, ამ ვერსიის წარმომავლობამ, შეიძლება „ნაციონალური მოძრაობის“ პროპაგანდის მანქანამდეც კი მიგვიყვანოს.

მოგეხსენებათ, რომ წინა ხელისუფლებისთვის, მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე, ყველაზე მიუღებელი კანდიდატურა ნინო ბურჯანაძეა, რადგან მისი წინასაარჩევნო პროგრამის თანახმად, გაპრეზიდენტების შემთხვევაში, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს მშვიდი ძილის საშუალება აღარ ექნებათ.

ასე, რომ ტელევიზიის ბურჯანაძისადმი გადაცემი ვერსია, თუ ის ნამდვილად ნაციონალებისგანაა წამოსული, შეიძლება გარკვეული შიშის ფაქტორით და ამ კუთხით განხორციელებული არცთუ ეფექტური პრევენციით აიხსნას.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ პრემიერს არხის ნინო ბურჯანაძისთვის გადაცემის სურვილი ექნება, პირველ რიგში, მოსაძებნი იქნება ამ ქმედების ფორმა.

ასევე, ჩასატარებელი იქნება სრულფასოვანი აუდიტი, ასამოქმედებელი იქნება ტელევიზიის მთლიანი სტრუქტურა, რომელიც ამჟამად აშკარად დემორალიზებულია, გასაფართოებელი იქნება არხის მაუწყებლობის დიაპაზონი და ასამაღლებელი იქნება არხის რეიტინგი.

ამ კომპლექსური ღონისძიებების განხორციელება კი, საპრეზიდენტო არჩევნებამდე ნამდვილად წარმოუდგენელია.

ასე, რომ ვერსია იმის შესახებ, რომ ბიძინა ივანიშვილი არხს ნინო ბურჯანაძეს ან სხვა რომელიმე პოლიტიკურ ძალას გადასცემს, ძირშივე უსაფუძვლოა და შეიძლება ითქვას, რომ დაუშვებელიც კია, ვინაიდან ამით საფუძველი ჩაეყრება იმ ტრადიციის გაგრძელებას, რომლის თანახმადაც, ტელეკომპანიის ფლობა არა ბიზნესინტერესს, არამედ პოლიტიკური ბრძოლის იარაღის ფლობას უკავშირდება.

ეს ტრადიცია კი, რაც მალე მოისპობა საქართველოში, მით უკეთესია, რადგან აღნიშნული ფაქტორი მედიაბაზარზე სიტუაციის დასტაბილურებას შეუწყობს ხელს, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ მედიაბაზრის მასშტაბის სარეკლამო ბაზრის მასშტაბთან თანხვედრა, ჟურნალისტური საზოგადოებისთვის უმტკივნეულო იქნება.

მედიასივრცის მასშტაბის სარეკლამო ბაზრის მასშტაბთან პროპორციაში მოსვლა, აუცილებლად გამოიწვევს ძალიან ბევრი მედიასაშუალების, მათ შორის ტელევიზიების დახურვასაც.

ასე, რომ ვფიქრობთ საკმაოდ უსამართლო იყო ის აგრესია, რომელიც ამ დღეებში პრემიერის მრჩეველ გია ხუხაშვილისკენ მიიმართა, როდესაც მან განაცხადა, რომ საქართველოს სარეკლამო ბაზრის გათვალისწინებით, საკმაოდ ბევრი ტელევიზია დაიხურებაო.

უფრო მეტიც, პრემიერის მრჩეველი საკმაოდ ფრთხილი და მოზომილი იყო თავის პროგნოზში, როდესაც განაცხადა, რომ საქართველოსხელა ეკონომიკის ქვეყნისთვის 3 ან 4 ტელევიზიის მეტის შენახვა პრობლემა იქნებაო. დღეს არსებული მდგომარეობით და იმის გათვალისწინებით, თუ რამხელა ფინანსებთანაა დაკავშირებული მედიასაშუალების შენახვა, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ რეკლამით, საქართველოს ბაზრის სიდიდის გათვალისწინებით, მაქსიმუმ ორი ტელეკომპანია თუ შეძლებდა ნორმალურად ფუნქციონირებას და თავისი თავის შენახვას.

ამ რიცხვს აუცილებლად უნდა დავუმატოთ საზოგადოებრივი მაუწყებელიც, რომლის შენახვაც თავზე საზოგადოებამ აიღო, თუმცა ის მახინჯი ტრადიცია, რასაც საფუძველი მიხეილ სააკაშვილმა ჩაუყარა, სამწუხაროდ დღესაც გრძელდება.

კონკრეტულად კი, თუ მიხეილ სააკაშვილის დროს საზოგადოებრივი მაუწყებელი მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობის“ აზრს გამოხატავდა და საზოგადოების განწყობა ნაკლებად აინტერესებდა, დღეს, შეიძლება ითქვას, რომ არხს, რომელიც გადასახადის გადამხდელების ჯიბიდან 50 მილიონი ლარით ფინანსდება, არანაირი მიმართულება აღარ გააჩნია, რომ აღარაფერი ვთქვათ საზოგადოების ინტერესის გატარებაზე.

ამასთან, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს არხის რეიტინგი და ყურებადობა. მათ შორის აღსანიშნავია საინფორმაციო გამოშვებაც.

იყო დრო, როდესაც საზოგადოებრივ მაუწყებელს იმის მეათედი ფინანსური რესურსიც კი არ ჰქონდა რაც დღეს აქვს, მაგრამ არხი გაცილებით უფრო საინტერესო და კონკურენტუნარიან პროდუქციას ამზადებდა და მისი ყურებადობის მაჩვენებელიც საკმაოდ მაღალი იყო.

დღეს კი, ვერცერთი გამვლელი ქუჩაში, ვერ დაგისახელებთ სამი გადაცემის სახელწოდებასაც კი, რომელსაც ის ან მისი ოჯახის წევრები საზოგადოებრივ მაუწყებელზე უყურებენ.

მაშინ როცა ქართულ მედიაბაზარზე, სულ მალე საბაზრო ეკონომიკის დაუნდობელი კანონები მთელი სიმძლავრით ამოქმედდება, საზოგადოებრივი მაუწყებლის ასერიგად დაბალ დონეზე ყოფნა გაუმართლებელია, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ გადასახადებზე, რომელსაც თითოეული ჩვენგანი ვიხდით, რათა არხის ფინანსური მდგომარეობის მდგრადობა შენარჩუნდეს.

დღეს კი ქართულ სატელევიზიო ბაზარზე, შეიძლება ითქვას, რომ დომინანტად კვლავ „რუსთავი 2“ რჩება და საზოგადოებრივ აზრზე მანიპულირებასაც საკმაოდ კარგად ახერხებს.

მიუხედავად იმისა, რომ ამ არხის პოლიტიკური მიმართულების შესახებ ყველასთვისაა ცნობილი, ის, თავისი გადაცემების ბადისა და ზოგადად, შეფუთვის ხელოვნების უმაღლეს დონეზე ფლობის ხარჯზე, ახერხებს იყოს ყველაზე ყურებადი არხი საქართველოში, რასაც ვერ ვიტყვით ტელეკომპანია „იმედზე“ რომელიც, მფლობელებისთვის დაბრუნების შემდეგ, კიდევ უფრო ულიმლამოდ გამოიყურება და სწორი მენეჯმენტის შემთხვევაშიც კი, რეიტინგის ასაკრებად მას მინიმუმ 6 თვიდან 1 წლამდე დასჭირდება.

თუ მედიაგადანაწილების ახალი რეალობის სურათს პოლიტიკურ ჭრილში გადავიყვანთ, გამოდის, რომ დღესდღეობით, ყველაზე ყურებად და ეფექტურ მედიასაშუალებას, კვლავ ყოფილი ხელისუფლება ფლობს.

ეს განაპირობებს ასევე სარეკლამო შემოსავლების ერთი მიმართულებით აკუმულირებას და ამ კონკრეტული მაუწყებლის გაძლიერებას. ხოლო თუ რა მოჰყვა ამ არხის გაძლიერებას 2003 წელს და რა შედეგი მოიტანა მისმა პოლიტიკურმა ტენდენციურობამ, ამის სურათი დღესაც სახეზეა.

კიდევ ერთი ფაქტორი, რაც მედიასივრცეს უკავშირდება, ეს პოლიტიკოსთა არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა ჟურნალისტების მიმართ.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

# ბარაბაძეები 150 დღეა მთავრობისგან შველას ითხოვენ

მერი ნამორაძე

იარსებებს თუ არა თბილისში ერთი თავშესაფარი მაინც მიუსაფარი ადამიანებისთვის? საქმე საქმეზე რომ მიდგეს, იმდენი უსახლკარო და მიუსაფარი გამოჩნდება, რომ ერთი შენობა თავშესაფრისთვის არასაკმარისი იქნება. საეჭვოა მერიამ თუ საკრებულომ უახლოეს მომავალში ფინანსების გამოძებნა მოახერხოს თავშესაფრის ასაშენებლად. ერთადერთი თავშესაფრის ფუნქციას ამჟამად დედაქალაქში სათნოების სახლი „კათარზისი“ ასრულებს, ისიც ერთდღიანი თავშესაფრის და მიუსაფარ და გზააბნეულ ადამიანებს შემდეგ იქით ისტუმრებენ, საიდანაც მოვიდნენ. სხვა გამოსავალი სათნოების სახლს არ აქვს.

ერთი თავშესაფარი მაინც რომ არსებობდეს დედაქალაქში, კანცელარიის წინ ბარაბაძეების ოჯახს კარვის „დაცემა“ აღარ მოუწევდათ. გუშინ საკრებულოს წევრმა და „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერმა კახა კუკავამ მთავრობის კანცელარიის წინ კარავში მცხოვრები ბარაბაძეების ოჯახი მოინახულა. კუკავა ბარაბაძეებს დაჰპირდა, რომ შესაბამის სტრუქტურებთან უშუამდგომლებს, რათა სოციალური აგენტი ოჯახის ამჟამინდელ სამყოფელში მივიდეს და უსახლკაროდ დარჩენილი ცოლ-ქმარი სოციალურად დაუცველთა დახმარების პროგრამაში ჩასვან. კახა კუკავა მომავალ პარასკევს საკრებულოს სხდომაზე უსახლკაროთათვის საბინაო ფონდის შექმნის საკითხს გაიტანს.

ცოლ-ქმარი ბარაბაძეები უკვე თვეზე მეტია პროტესტის უკიდურეს ფორმას — შიმშილობას მიმართავენ და კანცელარიის წინ კარავში ცხოვრობენ. პროტესტის მიზეზი მერიის და გამგეობის გადაწყვეტილება გახდა, რომლის მიხედვითაც მათ სოციალურად დაუცველის სტატუსის მინიჭებაზე უარი ეთქვათ, რადგან, ფორმალობის მიხედვით, სოციალურმა აგენტმა დოკუმენტაცია სტატუსის მსურველის სახლში უნდა შეავსოს, ხოლო ბარაბაძეებს საცხოვრებელი სახლი საერთოდ არ აქვთ.

მარინე ბარაბაძე სოციალური პრობლემების გამო, 150 დღეა მთავრობისგან შველას ითხოვს. როგორც კუკავამ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა: „მარინა ბარაბაძე თავის გამოუვალ სიტუაციას აპროტესტებს, თუმცა არც ადგილობრივი და არც მთავრობის სხვა წარმომადგენლები მასთან არ მისულან, მიუხედავად იმისა, რომ იგი 40 დღეა შიმშილობს“.

კუკავამ აღნიშნა, პარასკევს საკრებულოში ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში მსგავსი სიტუაციების მართვის შესახებ იმსჯელებენ.

— დღეისათვის მსგავსი პრობლემების მოგვარების ბერკეტები საქართველოს მთავრობას არ გააჩნია, სხდომაზე საუბარი იქნება იმის შესახებ, რომ ასეთი ადამიანების მიმართ სოციალური პასუხისმგებლობა ქალაქის მერიამ იტვირთოს, — განაცხადა კუკავამ. როგორც მარინა ბარაბაძე აცხადებს, ჯანდაცვის სამინისტრო მას სოციალურად დაუცველის სტატუსის მინიჭებაში გარკვეული მიზეზების გამო, ვერ დაეხმარა. მისივე თქმით, მას პროკურატურაში განცხადება შეტანილი აქვს და ახლო მომავალში გამოხმაურებას ელოდება.

# წყალმომარაგება სოფლების ყველაზე დიდ პრობლემად რჩება

მერი ნამორაძე

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო სამი ახალი ინიციატივით გამოდის. კერძოდ, სტიქიური მოვლენების პრევენცია, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და სოფლებში წყალმომარაგების გაუმჯობესება. სამინისტროს პრიორიტეტები გუშინ მინისტრმა დავით ნარმანიამ საგანგებო პრესკონფერენციაზე გააჟღერა. სამინისტროს მიერ ჩატარებულმა მონიტორინგმა სწორედ ის პრობლემები გამოავლინა, რაც ყველაზე დიდ ეკონომიკურ ზარალს აყენებს რეგიონების მოსახლეობას თუ ქვეყნის ბიუჯეტს:

— ჩვენმა საქმიანობამ და რეგიონებში ჩატარებულმა მონიტორინგმა დაგვანახა, რომ საქალაქო ტიპის დასახლებებში ერთ-ერთი მთავარი პრობლემა სანიაღვრე არხების მოუწესრიგებლობით გამოწვეული წყალმოვარდნები და მეწყრებია. სახელმწიფო ბიუჯეტს მილიონობით ლარი უჯდება სტიქიით მიყენებული ზარალის ანაზღაურება, შესაბამისად, სახელმწიფოს პრიორიტეტი ასეთი მოვლენების პრევენცია უნდა იყოს. ჩვენ მივმართავთ ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს, მომავალი წლის სამუშაოებში გასათვალისწინებლად, წარმოგვიდგინონ სანიაღვრე არხებისა და მეწყერსაშიში ადგილების გამაგრების წინადადებები, რათა საჭირო სამუშაოები დროულად ჩატარდეს, — განაცხადა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა.

მინისტრის განცხადებით, საჯარო ინფრასტრუქტურას, ტურისტული და კულტურული ადგილების მიმდებარედ, სამინისტრო წელსაც აწესრიგებს, მაგრამ ამ მიმართულების მეტი ხელშეწყობისთვის, თითოეულმა მუნიციპალიტეტმა თავად უნდა გამოყოს მის ტერიტორიაზე არსებული ყველაზე მნიშვნელოვანი ტურისტული თუ კულტურული ადგილის მიმდებარე საჯარო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების საჭიროებები. ეს ითვალისწინებს წყალმომარაგების სისტემის, მისასვლელი გზების, პარკირებისა და საპირფარეშოების მოწყობას, რაც ტურისტებისთვის ერთ-ერთ მტკივნეულ პრობლემას წარმოადგენს.

სამინისტროს მიერ ჩატარებულმა მონიტორინგმა ცხადყო, რომ წყალმომარაგება სოფლებისთვის მთავარ საწუხრად რჩება. პრობლემის გადასაჭრელად სამინისტრო საკანონმდებლო ინიციატივას ამზადებს.

— სამინისტრო ამზადებს საკანონმდებლო ინიციატივას, რომლის შედეგადაც, შეივსება 2007 წელს მიღებული ცვლილებით შექმნილი ვაკუუმი და 1 იანვრიდან სოფლის წყალი მუნიციპალიტეტების საკუთრება გახდება. ეს იქნება ერთი დიდი ნაბიჯი დეცენტრალიზაციისკენ. ამასთან, იმისთვის, რომ ეს საქმე მუნიციპალიტეტებს მძიმე ტვირთად არ დააწვეს, პირველ ეტაპზე სამინისტრო მათ მაქსიმალურად დაეხმარება, — განაცხადა ნარმანიამ.

შესაბამისი წერილობითი მოთხოვნები მუნიციპალიტეტებს უახლოეს დღეებში დაეგზავნება. დამტკიცებული სამუშაოები მომავალი წლიდან რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსდება. რაც შეეხება ბიუჯეტს, როგორც მინისტრმა განაცხადა, მომავალ წელს ის 410 მილიონი ლარით განისაზღვრება.

# ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია საკრებულოში იმუშავებს

მერი ნამორაძე

**პირველი სექტემბრიდან მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია ნაცვლად თბილისის მერიისა, თბილისის საკრებულოში გააგრძელებს მუშაობას. როგორც თბილისის მერიაში აცხადებენ, შეიცვლება კომისიის შემადგენლობა და მას საკრებულოს უმრავლესობიდან დანიშნული საკრებულოს წევრი უხელმძღვანელებს.**

როგორც საზოგადოებისათვის ცნობილია, 2007 წლიდან ამოქმედდა კანონი, რომლითაც შესაძლებელი გახდა მრავალი წლის განმავლობაში პირების ფაქტობრივ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები მათ საკუთრებად იურიდიულად გაფორმებულიყო. ამით მოქალაქეებს საშუალება მიეცათ ეს ქონება სრულად გამოეყენებინათ ეკონომიკური საქმიანობისთვის, რაც საჯარო რეესტრში გაუფორმებლობის გამო მანამდე შეუძლებელი გახლდათ.

კანონის ამოქმედებიდან დღემდე ეს კომისია ფუნქციონირებდა თბილისის მერიაში. 2007-2013 წლებში კომისიის მიერ დაკმაყოფილდა 8.000-მდე განცხადება, დაკანონდა თითქმის 5 მილიონი კვ.მ მიწის ნაკვეთი. საქმიანობის მანძილზე კომისია მოქალაქეებისათვის მიწის ნაკვეთები საკუთრებაში გადაცემის პროცესის გაიოლების მიზნით არაერთი საკანონმდებლო ინიციატივის ავტორი იყო, მათ შორის 2010 წელს კანონში შეტანილი ცვლილების შედეგად სოციალურად დაუცველი მოქალაქეები გათავისუფლდნენ შესაბამისი საფასურის გადახდის ვალდებულებისგან, რითაც ამ პერიოდში უკვე ისარგებლა 716 მოქალაქემ. მათ უსასყიდლოდ გადაეცათ საკუთრებაში მიწის ნაკვეთები. როგორც მერიაში ამბობენ, მუდმივად უმჯობესდებოდა მოქალაქეთა მომსახურების ხარისხი. მთელი სამუშაო დღის განმავლობაში მოქალაქეებს შეეძლოთ ესარგებლათ კვალიფიციური საკონსულტაციო მომსახურებით, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაიზარდა დაკმაყოფილებული განცხადებების რაოდენობა, თუ 2008-2009 წლებში დადებითად წყდებოდა განცხადებების 40 %-ზე ნაკლები, 2013 წელს დაკმაყოფილდა განცხადებების 60%-ზე მეტი.

მერიაში იმედს გამოთქვამენ, რომ მოქალაქეებისათვის ამ ძალიან მნიშვნელოვანი პროგრამის განხორციელების პროცესი ეფექტურად გაგრძელდება და კიდევ უფრო გაუმჯობესდება კომისიის ძველი შემადგენლობის მიერ დანერგილი სიახლეები.

# ქართული მედიასივრცის ახალი რეალობა

დასაწყისი მე-6 გვერდზე



მაგალითად, მიხეილ სააკაშვილი, ხელისუფლებაში მოსვლამდე ნებისმიერი მედიასაშუალების ჟურნალისტს, მიუხედავად მისი რეიტინგისა, ლამის აღმერთებდა და ყველანაირად ცდილობდა მათი კეთილგანწყობის მოპოვებას. მართალია, მან ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ თავისი ფავორიტი არხები და ჟურნალისტები გაიჩინა, ხოლო მისდამი კრიტიკულად განწყობილ მედიასაშუალებებს დაბალი დონის გამოცემებად აცხადებდა, დღეს ის, ხელისუფლებიდან ჩამოშორების შემდეგ, კვლავ ცდილობს ჟურნალისტების კეთილგანწყობა მოიპოვოს და ამ კუთხით გაკეთებული განცხადებების დროს, ის ან ძალიან მოზომილია, ან ჟურნალისტების მხარეს მკაფიოდ იჭერს.

ჟურნალისტებთან ურთიერთობის პრემიერ-მინისტრისეულ მიდგომას კი, სამწუხაროდ იდეალურს ნამდვილად ვერ დავარქმევთ. მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტიც ჩვეულებრივი მოქალაქეა და მისი სამსახურიც შეიძლება ისევე განვიხილოთ, როგორც ნებისმიერი სხვა დასაქმებულის სამსახური, მსოფლიოში გავრცელებული პრაქტიკის თანახმად, ჟურნალისტების მიმართ დამოკიდებულება მაინც განსხვავებულია, ვინაიდან ისინი საზოგადოებრივ აზრზე მანიპულირების საკმაოდ ეფექტურ ბერკეტებს ფლობენ.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ნამდვილად არ შეიძლება გამართლება მოეძებნოს პრემიერ-მინისტრის ტონს იმ კომენტარის გაკეთებისას, როდესაც ის „მე-9 არხის“ დახურვასთან დაკავშირებით საუბრობდა.

როგორც მოგეხსენებათ, პრემიერმა არხის თანამშრომელთა ნაწილი არაპროფესიონალად მოიხსენია, რომლებმაც მუშაობა სწორედ „მე-9 არხზე“ ისწავლეს.

ეს შესაძლოა სიმართლის ელემენტებს ნამდვილად შეიცავდეს, მაგრამ იბადება კითხვა, თუ არ გჭირდებოდათ, რატომ აგყავდათ ეს არაპროფესიონალები სამსახურში, ხოლო თუ გჭირდებოდათ და ხელფასსაც უხდიდით, მაშინ მათ თავიანთი საწყისი არაპროფესიონალიზმი აღარ უნდა წამოაყვედრო.

გარდა ამისა, „მე-9 არხზე“ მუშაობდა მთელი არმია ჟურნალისტებისა, რომლებმაც წლების განმავლობაში, ტოტალური რეჟიმის პირობებში, მოახერხეს და მართალი სიტყვა საზოგადოებამდე მიიტანეს. ზოგ შემთხვევაში, სიცოცხლის რისკის ფასადაც კი. მათ არაპროფესიონალებად მოხსენიებას არანაირი გამართლება არ აქვს, ვინაიდან ესენი არიან ჟურნალისტები, რომლებიც საზოგადოებამ დღევანდელი პრემიერის პოლიტიკაში მოსვლამდე გაიცნო და შეიყვარა.

გარდა ამისა, „მე-9 არხის“ ეკრანსმიღმა, მუშაობდა საპროდიუსერო და სარედაქციო ჯგუფი, რომელთა პროფესიონალიზმში ეჭვის შეტანაც, ასევე გაუმართლებელი იქნებოდა.

რაც არ უნდა მართალი ყოფილიყო ბიძინა ივანიშვილი თავის ზემოაღნიშნულ განცხადებაში, ის ტონი, რითაც მან ჟურნალისტების მისამართით ისაუბრა, მის აქტივში ნამდვილად ვერ ჩაიწერება.

ასეა თუ ისე, ქართული მედიასივრცე ახალი რეალობის წინაშე ძალიან მალე დადგება, შეიძლება აღნიშნული სივრციდან ბევრი მოთამაშე გავიდეს, შეიძლება ზოგიერთი მათგანი გაერთიანდეს და ასე შემდეგ, მაგრამ, თუ პრემიერ-მინისტრი თავისი დაახლოებით ერთი წლის წინანდელი განცხადების ასრულებას შეძლებს, როდესაც მან თქვა, რომ მედიასაშუალებების ფლობა პოლიტიკოსებისთვის მომხიბვლელობას დაკარგავსო, — ეს ნამდვილად კარგი იქნება როგორც მედიასივრცის გაჯანსაღების, ასევე რიგი მანკიერი პოლიტიკური ტრადიციების აღმოფხვრის კუთხითაც.

მანამ კი გარკვეული დრო და ეტაპებია გასავლელი. საპრეზიდენტო არჩევნები კი პრაქტიკულად უკვე კარსაა მომდგარი და სავარაუდოდ, წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქება თანაბარ პირობებში, ამ არჩევნებზე ნამდვილად არ მოესწრება, თუმცა ვერც იმას ვიტყვით, რომ ამ ეტაპზე რომელიმე კანდიდატი პრესის მხრიდან განსაკუთრებით იყოს განებივრებული ან პირიქით.

ჯერჯერობით, პრესაში მოხსენიების სიხშირის კუთხით, საპრეზიდენტო მარათონის სამი ლიდერი — გიორგი მარგველაშვილი, ნინო ბურჯანაძე და დავით ბაქრაძე იკვეთებიან.

აქედან ყველაზე დაბალი მოხსენიება დავით ბაქრაძეს აქვს და არც მისი საარჩევნო სტრატეგიის შესახებ შეიძლება ჯერ რაიმე დასკვნის გაკეთება.

რაც შეეხება გიორგი მარგველაშვილს და მის წინასაარჩევნო კამპანიას, უნდა აღინიშნოს, რომ ის საკმაოდ უფერულად გამოიყურება და ხშირ შემთხვევაში, კონტრპროდუქტიულიც კია.

ამის მაგალითად, მარგველაშვილის მიერ გაჟღერებული ერთი წინასაარჩევნო მესიჯიც საკმარისია, როდესაც მან განაცხადა, რომ 27 ოქტომბრის შემდეგ კოაბიტაცია დასრულდება.

ამ მესიჯმა თუ დაპირებამ, საზოგადოებაში უკურეაქცია გამოიწვია, ვინაიდან კოაბიტაციის პროცესის დასრულებას საზოგადოება 1 წელია ამაოდ ელის და აქვს საფუძველი ეჭვი ჰქონდეს, რომ ეს პროცესი არც საპრეზიდენტო არჩევნებში გიორგი მარგველაშვილის გამარჯვების შემთხვევაში დასრულდება.

ამ ფონზე კი, ყველაზე აგრესიულობით და აქტიურობით, პრეზიდენტობის კანდიდატის ნინო ბურჯანაძის წინასაარჩევნო კამპანია გამოირჩევა.

ნინო ბურჯანაძე თითქმის ყოველდღიურ რეჟიმში ხვდება მოსახლეობას, ხოლო მისი უმთავრესი გზავნილი ამომრჩევლის მისამართით, ეს სამართლიანობის რეალური აღდგენა და წინა ხელისუფლების დროინდელი დამნაშავეების დასჯაა, რაც, კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, საზოგადოების დაკვეთას აბსოლუტურად პასუხობს.

მმართველმა კოალიციამ, იქედან გამომდინარე, რომ წინასაარჩევნო პერიოდში მის კანდიდატს არცთუ სახარბიელო შანსები აქვს, შესაძლოა ერთი ბარტყის გადაგდების პრინციპი გამოიყენოს და თავისი გუნდის რომელიმე სერიოზული მოთამაშე გაწიროს.

ამისთვის კი, ყველაზე შესაფერისი კანდიდატურა, მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილია, რომელსაც კოაბიტაციის პროცესის გაწელვა და სამართლიანობის აღდგენის ჩავარდნა დაბრალდება. თუმცა საკითხავია, რამდენად საკმარისი იქნება საზოგადოებისთვის მისი გაწირვა, რომ მათ, სამართლიანობის აღდგენის რეალობა მმართველი კოალიციის პირობებში, ისევ ირწმუნონ.

ვარაუდს, არჩილ კბილაშვილის შესაძლო გადადგომასთან დაკავშირებით, ამყარებს მისი შვებულებაში მოულოდნელი წასვლაც, ვინაიდან, ყველა სხვა ფაქტორს რომ თავი დავანებოთ, ამ პოლიტიკურ თუ სამართლებრივ რეალობაში, მის თავს რომ ყველაფერი რიგზე იყოს, მთავარი პროკურორი თავს უფლებას არ უნდა აძლევდეს და შვებულებაში არ უნდა მიდიოდეს.

სავარაუდოდ, საქმე აბსოლუტურად სხვა მოვლენასთან გვაქვს, რომლის შედეგებიც რეალურად, დაახლოებით რამდენიმე კვირაში გახდება ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი.

კვლავ აქტუალურია ირაკლი ალასანიას ფაქტორიც. თუ ბოლო დროს მის მიერ მიხეილ სააკაშვილის მოღვაწეობის მიმართ გაკეთებულ თბილ და პოზიტიურ შეფასებებს გავითვალისწინებთ და თუ გავითვალისწინებთ სააკაშვილის ანალოგიური შინაარსის განცხადებებს ალასანიას მიმართ, აგრეთვე მოქმედი თავდაცვის მინისტრის საკმაოდ ხანგრძლივ ვოიაჟს ამერიკის შეერთებულ შტატებში, გამორიცხული არ არის, რომ ირაკლი ალასანია საქართველოს, საპრეზიდენტო კანდიდატად დაუბრუნდეს.

ასეთ შემთხვევაში კი, ძალიან ბევრი რამე შეიცვლება, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება და უბრალოდ, აირევა.

ძალიან რთულია წინასწარ განჭვრიტო ალასანიას ნაბიჯები საპრეზიდენტო ამბიციების დაკმაყოფილების გზაზე, მაგრამ მოვლენათა განვითარება, ამის შესაძლებლობას არ გამორიცხავს, პირიქით, ამის ალბათობა უფრო და უფრო იზრდება.

ასე, რომ წინ ძალიან საინტერესო ორი თვე გველის, თუ რა თქმა უნდა, მოვლენები პოლიტიკურ ჩარჩოებს არ გასცდა, რაც დაუშვებელია და რაც უპატიებელი შეცდომა იქნება ახალი ხელისუფლების მხრიდან.

საარჩევნო ურნებთან საკმაოდ საინტერესო რეზულტატი ექნება, მიხეილ სააკაშვილის ინიციატივას, პირობითი მსჯავრისა და ნასამართლეობის მოხსნის შესახებაც.

სამწუხაროდ, ერის მენტალიტეტიდან გამომდინარე, არავინ არ იფიქრებს იმაზე, თუ ვინ ან რისთვის დააპატიმრა ის და რისთვის გახადეს ნასამართლეობის სტატუსის მატარებელი. სამაგიეროდ ნასამართლეობისა და პირობითი მსჯავრის მოხსნის შესახებ, მადლიერების გრძნობა აბსოლუტურ უმრავლესობას, სწორედ მიხეილ სააკაშვილის მიმართ დარჩება რაც, როგორც ვთქვით, აუცილებლად აისახება საარჩევნო ურნებთან.

ის, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის კუთხით ყოფილი ხელისუფლება ახალს, პრაქტიკულად ნულზე უგებს, უკვე ახალი აღარაა, საინტერესო ის უფროა, ექნება თუ არა ამ უპირატესობას ისეთივე რეზულტატი, როგორიც ამ 10-იოდე წლის წინ ჰქონდა.

**ალექსანდრე კაპანაძე**
**ნიუსპრესი**

# როგორი დამოკიდებულებაა არაქართულენოვან სკოლებთან?

ეკა ირემაშვილი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

როგორია სახელმწიფოს დამოკიდებულება არაქართულენოვან სკოლებთან მიმართებაში? ამ კითხვაზე პასუხის მოძიება „საქართველოს სომეხთა სათავისტომო"-ს საინფორმაციო ცენტრ „მიუთიუნ"-ის კითხვებზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პროგრამა „ქართული ენა მომავალი წარმატებისათვის" კოორდინატორმა ნინო რევიშვილმა უპასუხა. ნინო რევიშვილი ამ თანამდებობაზე 2013 წლის ივლისიდან მუშაობს, ხოლო მანამდე, 2012-13 წლებში ის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების განვითარების სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე მუშაობდა.

– რა სახელმწიფო პროგრამები ხორციელდება დღეს ქვეყნის სომხურენოვან სკოლებში და ზოგადად, როგორია სამინისტროს პოლიტიკა სომხურენოვანი სკოლების მიმართ, რა ამოცანებია გადასაწყვეტი ამ სკოლებში?

– მოგეხსენებათ, რომ სამინისტროს და შესაბამისად მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პოლიტიკაც, არაქართულენოვან სკოლებთან მიმართებაში ერთგვარია. ჩვენ ვმუშაობთ როგორც სომხურენოვან ასევე აზერბაიჯანულენოვან და რუსულენოვან სკოლებში. ჩვენი ცენტრი ამ მიმართულებით ორ დიდ პროგრამას ახორციელებს, ეს გახლავთ „ქართული ენა მომავალი წარმატებისათვის" და „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა". პრინციპში, ორივე პროგრამის ძირითადი, მთავარი მიზანი არის არაქართულენოვანი მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის სასწავლო პროცესის გაადვილება, ხელშეწყობა, მასწავლებლების დახმარება და მოსწავლეებისთვის სწავლის ახალი მეთოდების შეთავაზება.

პირველი პროგრამის ფარგლებში – „ქართული ენა მომავალი წარმატებისათვის" ჩვენ ვმუშაობთ ყველა არაქართულენოვან სკოლაში, მათ შორის არის 117 სომხურენოვანი სკოლა. აქ მუშაობს მინიმუმ ერთი მასწავლებელი, ქართულენოვანი მასწავლებელი. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ახალგაზრდა პედაგოგების, ასისტენტ-პედაგოგების აყვანა, შესაბამისი მომზადება, ისინი გადიან საკმაოდ გრძელვადიან ტრეინინგს სამი მოდულის მიმართულებით. ეს არის პროფესიული უნარები, კლასის მართვა, კომუნიკაცია; მეორე არის ქართული როგორც მეორე ენის სპეციფიკა; მესამე – ტოლერანტობა და კულტურული მრავალფეროვნება. ამ ცოდნით აღჭურვილები ისინი მიდიან. გარდა ამისა, ახლა პროცედურულად არ ვისაუბრებ, მაგრამ საკმოდ ხანგრძლივი პროცესია ადამიანების იდენტიფიცირების და შერჩევის, ასე რომ, მათ გარკვეული, საფუძვლიანი ცოდნა აქვთ. თეორიულ და პრაქტიკულ უნარებს ჩვენ ვუღვივებთ და ისე ვაგზავნით სკოლებში. ეს მასწავლებლები მუშაობენ ადგილობრივ მასწავლებლებთან ერთად. მნიშვნელოვანია, რომ ისინი მარტო არ მუშაობენ ბავშვებთან – ეხმარებიან ადგილობრივ მასწავლებლებს, რომ ასწავლონ ქართული. ეს ზოგადად ნიშნავს არა მარტო იმას, რომ ქართული ასწავლონ, არამედ გარკვეული ახალი მეთოდები გაუზიარონ, ასწავლონ ის, რაც ახალი და აქტუალურია განათლებაში. მათ მოვალეობაში ასევე შედის არაფორმალური აქტივობების ჩატარება, მოგახსენებთ, ძირითადი მასა ამ მასწავლებლებისა ახალგაზრდები არიან, შესაბამისად, მათ უფრო მეტი დრო, სურვილი, მოტივაციაც და უნარიც აქვთ, რომ უფრო მეტი არაფორმალური ღონისძიება განახორციელონ სკოლაში, იქნება ეს ექსკურსია თუ სასწავლო პროექტები ან ნებისმიერი სხვა ტიპის კლუბური შეხვედრები. ისინი ასევე მუშაობენ მასწავლებლებთანაც, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ მასწავლებლების მზაობა და სურვილი პროფესიული ზრდის, ჯერ არ არის ძალიან მაღალი, ძირითადად, ამ პროგრამის ფარგლებში, ასისტენტ-მასწავლებლებს უწევთ მუშაობა მოსწავლეებთან. ხოლო მასწავლებლებთან – უშუალოდ საგაკვეთილო პროცესში.

რაც შეეხება მეორე პროგრამას, მის ფარგლებში ჩვენ აგვყავს სერტიფიცირებული, კვალიფიციური მასწავლებლები, რომელთაც აქვთ ქართულ ენასა და ლიტერატურაში მოპოვებული სერტიფიკატი და აქვთ ქართული ენის სწავლების მინიმუმ ორწლიანი სტაჟი. ჩვენ გვყავს დაახლოებით 85-მდე ასეთი მასწავლებელი და ისინი მუშაობენ ასევე არაქართულენოვან სკოლებში. მაგრამ მათ აქვთ არა მარტო მასწავლებლის, არამედ მასწავლებელ-ექსპერტის სტატუსი. ისინი მუშაობენ ადგილობრივ თემში. ატარებენ არა მხოლოდ გაკვეთილებს, არამედ ტრენინგებს და პროფესიულ კურსებს ადგილობრივი მასწავლებლებისათვის. მათ ვალდებულებებში შედის არაფორმალური ღონისძიებების ჩატარება, მაგრამ არა მარტო სკოლის მოსწავლეებისათვის და მასწავლებლებისთვის, არამედ თემის ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, ვისაც უნდა ქართული ენის სწავლა. ეს ადამიანი არის იქ იმისთვის, რომ სრულიად უსასყიდლოდ იმუშაოს მათთან და ასწავლოს ქართული.

ორივე პროგრამის მასწავლებლები ძალიან აქტიურად მონაწილეობენ „ქართულის სახლების" მუშაობაში, მოგეხსენებათ, რომ ცხრა არის ასეთი არაქართულენოვან რეგიონებში. ზურაბ ჟვანიას სახელობის სკოლის დაქვემდებარებაშია, მაგრამ სწორედ ჩვენი მასწავლებლები არიან იქ ძირითადი „გამწევი" ძალა. ასევე, ამ მეორე პროგრამის ფარგლებში ჩვენ ვახორციელებთ სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებს – „საზაფხულო სკოლები", რაც ძალიან მნიშვნელოვანია ამ კულტურული მრავალფეროვნების გაზიარებისთვის. მე მგონია უპრეცენდენტო, საკმაოდ მასშტაბური პროგრამაა, სადაც ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ბავშვები ერთად, ერთ ბანაკში არიან. სწავლობენ, საუბრობენ ქართულად და აქვთ არა მხოლოდ ენის განაფვის შესაძლებლობა, არამედ სწორედ ამ ტოლერანტობისა და ღიაობის უნარების გამომუშავების შესაძლებლობა. კიდევ ერთიც – ჩვენი ცენტრის ფარგლებში ვმუშაობთ სახელმძღვანელოებზე. 2010 წლიდან დაიწყო მუშაობა ამ სახელმძღვანელოებზე. პირველად მცდელობა იყო 2000 წელს – თავთავის სახით ქართული ენის სწავლების წიგნის შემუშავება, თუმცა „თავთავის" პილოტირებისას, რასაც გარკვეული ნაკლოვანებები აღმოაჩნდა, ეს ექსპერტებმა გაითვალისწინეს და შემუშავდა ახალი, ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, 12 კლასზე გათვლილი ქართული ენის სასწავლო სახელმძღვანელო. ეს არ არის მხოლოდ სახელმძღვანელო. ეს არის კომუნიკაციის მეთოდებზე აგებული სახელმძღვანელო, სადაც არის მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული პრაქტიკული დავალებებისათვის, აქვე არის მასწავლებლის წიგნი და უმნიშვნელოვანესია, რომ არის აუდიო ნაწილი. იმიტომ, რომ ძირითადად, როგორც კვლევამ აჩვენა, არაქართულენოვან მოსწავლეებს კომუნიკაციის ენის განსავითარებლად, სწორედ მოსმენის და მეტყველების კულტურის გამომუშავება სჭირდებათ. ამ სახელმძღვანელოსთან ერთად, ჩვენ გვაქვს შემუშავებული კომპიუტერული თამაშები. ეს თამაშები ჩატვირთულია ბუკი.ჯი-ზე. ღიაა ყველა სკოლისათვის და ბავშვებს მიღებული ცოდნის მიხედვით შეუძლიათ ითამაშონ იმისათვის, რომ უფრო სახალისო იყოს ბავშვებისთვის ეს პროცესი და არ იყოს თავსმოხვეული, რაღაც უცხო, სრულიად მათთვის არა საჭირო ენის სწავლების პროცესი.

ეს არის ძალიან მოკლედ იმ დიდი პროგრამების შესახებ, რასაც ვახორციელებთ ქართული ენის სწავლების მიმართულებით და ზოგადად არაქართულენოვან სკოლებთან მუშაობის მიმართულებით. ორივე პროგრამის ჯამური ბიუჯეტი 2013 წელს 4.143.703 ლარს შეადგენს – „ქართული ენა მომავალი წარმატებისათვის" 2.707.900 ლარს, „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა" – 1.435.803 ლარს. (აგვისტოს მდგომარეობით – რედ).

ერთიც გამომრჩა! ძირითადად რაზეც ვისაუბრეთ, ეს იყო სახელმწიფო ენის სწავლების ხელშეწყობის მიმართულებით. გარდა ამისა, უმნიშვნელოვანესია ზუსტად ეთნიკური უმცირესობების კულტურული იდენტობის შენარჩუნება. საერთაშორისო კვლევისთვის ცნობილია, რომ ის ცოდნა, რასაც მოსწავლე იღებს მშობლიურ ენაზე, გაცილებით უფრო ეფექტურად ითვისებს ვიდრე ნებისმიერ სხვა, უცხო ენაზე მიღებული ცოდნა. ამიტომ მნიშვნელოვანია მშობლიური ენის უნარების დახვეწა და განვითარება. შემდგომში მაქსიმალურად კარგად გამოყენება სასწავლო პროცესისათვის. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, 2010 წლიდან ეუთოს უმცირესობათა საკითხებში კომისიის ოფისთან თანამშრომლობით ხორციელდება ბილინგვური განათლების პროგრამა. აქამდე იყო პილოტირების რეჟიმში და მხოლოდ 40 სკოლაში ხორციელდებოდა, მაგრამ მიმდინარე სასწავლო წლიდან უკვე დაიწყება 1-8 დონეზე ბილინგვური წიგნების დანერგვა ყველა არაქართულენოვან სკოლაში. ეუთოს ექსპერტებთან კონტაქტით და პარტნიორობით ვგეგმავთ ახალი მოდულების შემუშავებას. რა თქმა უნდა, აქ ძალიან რთული იქნება იმის თქმა, რომ პირველივე ჯერზე მარტივად დაინერგება ის, იმიტომ, რომ გარკვეული პრობლემები არსებობს, როგორც რესურსებთან, ასევე მასწავლებელთა კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, მაგრამ ეტაპობრივი დანერგვით შესაძლებელი იქნება ნაკლოვანებების ზუსტი იდენტიფიცირება, რომ შემდეგ ზუსტად მოხდეს შესაბამისი პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება.

– თქვენ ისაუბრეთ, რომ ხშირად მასწავლებლებს არ აქვთ საკუთარი პროფესიული უნარების ამაღლების სურვილი. რას უკავშირებთ ამას? ასევე ისაუბრეთ, რომ ის მასწავლებები, რომლებიც რეგიონებში მუშაობენ, გარდა სასკოლო პროგრამით გათვალისწინებული ქართული ენის სწავლებისა, ასევე სხვა სამუშაოებსაც ატარებენ. ამ მასწავლებლების შერჩევის დროს თუ ითვალისწინებთ კონკრეტული ლინგვისტური უმცირესობის ენის მათი ფლობის დონეს?

– რაც შეეხება მასწავლებელთა მოტივაციას, სრულიად ბუნებრივია და ნებისმიერ პროფესიაში გვხვდება, რომ თუ არ მაქვს მოტივატორი, არ ვცდილობ რაღაც დამატებითი ინვესტიცია ჩავდო რაღაც კონკრეტული ცოდნის ამაღლებაში. ეს არის სრულიად ბუნებრივი. სახელმწიფომ აქამდე ძალიან დიდი შრომა გაწია, ბევრი პროგრამა დაგეგმა მასწავლებელთა სერტიფიცირებით გარკვეული მოტივატორების შესაქმნელად, იმისათვის რომ მასწავლებლები ზოგადად გაიზარდონ, დაიხვეწონ და ეს გამოიყენონ სწავლების პროცესში. გამომდინარე იქიდან, რომ საკმაოდ მასშტაბური იყო სერტიფიცირების პროგრამა, იგივე ჩვენი ცენტრიც ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებდა მრავალ ტრენინგს მასწავლებლებისათვის, მათ შორის იმისათვის, რომ დახმარებოდა სერტიფიცირებაში. შესაბამისად, აქამდე შესაძლებელი არ იყო არაქართულენოვანი სკოლებისათვის ანალოგიური დახმარების გაწევა. ეს პროცესი (მოტივირების ამაღლება – რედ.) ეტაპობრივად ხორციელდება. როგორც ვიცი, 2014 წლიდან იგეგმება ქართუ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო–აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**
**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის" დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● ოსტეოქონდროზის, დაქვეითებული სმენის – ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, რადიკულიტის, ჭრილობების და სხვა დაავადებების გარანტირებული განკურნება წამლების, აპარატურისა და ქირურგიული ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად. მისამართის შესახებ დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 599-97-85-46 ბ-ნი ლევანი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ. №166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უგრძნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბანლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა– ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

# ზვიად სიჭინავა: კმაყოფილი ვიქნები, თუ ახალგაზრდული ნაკრების ასაკობრივ შედეგს გაიმეორებს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

დონეზეა, როგორიც უეფას სტანდარტებს შეეფერება, ტრიბუნები ასაშენებელია, რომელიც 3.000 მაყურებელზე იქნება გათვლილი.

ეს მეორე სტადიონი მსგავსი ტურნირების გარდა საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატსაც უმასპინძლებს. ბოლნისის „სიონი", ცხინვალის „სპარტაკი" და „გაგრა" სწორედ აქ ჩაატარებენ საშინაო მატჩებს. როგორც იცით, გავამკაცრეთ სტადიონის ლიცენზირების საკითხი და ზემოთ ნახსენები 3 გუნდის გარდა საკუთარ სტადიონზე ვერ ითამაშებენ მარტვილის „მერანი", ლანჩხუთის „გურია" და საჩხერის „ჩიხურა".

აქ მარტო მინდვრის საფარზე არ არის საუბარი – ის შესაძლოა, იდეალური იყოს, მაგრამ ვერ იცავდეს უსაფრთხოების წესებს, რომელზეც აგერ 2 ტურში ბევრი პრეტენზიაა შემოსული. ლანჩხუთს გასახდელები მოედნიდან 100 მეტრის დაშორებით აქვს. ეს წარმოუდგენელია და იქ თამაშის უფლებას ვერ მივცემთ. თუმცა, გვითხრეს რომ ლანჩხუთში ყველაფერი გაკეთდა და სურვილი აქვთ 1 სექტემბერს თბილისის „დინამოს" საკუთარ მოედანზე უმასპინძლონ. მათ უკვე გამოგვიგზავნეს წერილი და გვთხოვენ ჩავიდეთ, რათა ადგილზე ვნახოთ ყველაფერი. ასევე მალე დაასრულებენ საკუთარ სტადიონებს სრულ წესრიგში მოსაყვანად საჩხერეში, მარტვილში და ბოლნისში. უეფას სტანდარტებში უნდა ჩაჯდეს რუსთავის „ფოლადიც". როგორც ვიცი, იქ 43 ტონა „კაუჩუკია შესატანი. ამის გარდა, კიდევ არის გასაკეთებელი ბევრი რამ.

სექტემბრის ბოლოსთვის მზად უნდა იყოს ლაგოდეხის ბაზაც. როცა ყველაფერი დასრულდება, იქ ჟურნალისტებსაც ჩავიყვანთ და მედია-ტურნირს მოვაწყობთ.

პრეტენზიები მარტო უსაფრთხოებაზე არ არის – მსგავსი საკითხია მსაჯობაზეც. საქართველოს 3 ფიფას არბიტრი ჰყავს, რაც ძალიან ცოტაა. აქედან ერთის, თორნიკე გვანცელაძის საკითხს სამსაჯო კომიტეტი განიხილავს და, სავარაუდოდ, სასჯელს გამოუტანს. საუბარი ეხება მის მიერ ნამსაჯებ მატჩს „დილასა" და „დინამოს" შორის. სიმართლე გითხრათ, ვეძებთ ცნობილ მსაჯს, რომელიც სათავეში ჩაუდგება ამ საქმეს და მაღალ დონეზე აიყვანს. ვაპირებთ გაცვლით პროგრამას ლატვიელებთან. გვინდა გავაგზავნოთ ერთი ბრიგადა და საპასუხოდ ისინი ვამსაჯოდ ჩვენთან. თუმცა, ეს გარკვეულ ხარჯებთან არის დაკავშირებული და რამდენად გრძელვადიანი პროექტი იქნება, ვერ გეტყვით.

ასევე უნდა აღვნიშნო, რომ სანამ ჩვენს სტადიონებზე საფეხბურთო მატჩების გადაღება არ მოხერხდება 12 კამერით, მანამდე მსაჯის შეცდომებზე ზუსტი პასუხის გაცემა შეუძლებელი იქნება. ესეც ჩვენი კიდევ ერთი პრობლემაა.

არანაკლები პრობლემაა ის, რომ გუნდებს არ აქვთ საწევროს შესატანი თანხა. ეს მარტო პრობლემა კი არ არის, არამედ საინტერესოცაა. სახელმწიფომ ფეხბურთისთვის გაიღო 50 მილიონი ლარი. აქედან 20 ჩვენ მოგვცა, საიდანაც 6 უკან დავუბრუნეთ. დანარჩენი 30 მილიონი სად წავიდა? ამ კითხვას ვუსვავ მუნიციპალიტეტებს. შარშან, პირველი ლიგის გუნდებს ფორმები და ბურთები ჩვენ დავურიგეთ. ამათში თანხა ხომ უნდა გადაეხადათ? სად არის ეს ფული? საწევრო ვერ შემოიტანეს... 4.000 ლარი თუ არ გაქვს, რა გეფეხბურთება? თუმცა, აქ უფრო სხვა საკითხები უნდა იყოს და უნდა გაირკვეს, სად წავიდა სახელმწიფოდან გამოყოფილი 30 მილიონი ლარი.

უმაღლესი ლიგის გუნდებს ნახევარ მილიონამდე ლარი ჩვენ მივეცით, კიდევ 1 მილიონი საპრიზო ფონდია. მეტს ამ ეტაპზე ვერც მოვახერხებდით ჩვენი ვალების პატრონი. მე, ხვალ იქნება თუ ზეგ, წავალ ფედერაციიდან, მაგრამ ვინც მოვა, იმასთან პოლიტიკური შეხება არ უნდა იყოს, თორემ ქართული ფეხბურთი ვერ განვითარდება.

ახლა ყველაზე მეტად ახალგაზრდული ნაკრების მეიმედება. ალექსანდრე ჩივაძემ და თემურ ქეცბაიამ მიაღწიეს შეთანხმებას, თუ რომელი ნაკრები იქნება სადღეისოდ პრიორიტეტული და დათმობაზე ეროვნული გუნდი წავიდა. კმაყოფილი ვიქნები, თუ ახალგაზრდული ნაკრებიც ისეთივე შედეგს მიაღწევს ჩემი პრეზიდენტობისას, რასაც 17 და 19 წლამდე ნაკრებებმა მიაღწიეს.

ეროვნულ ნაკრებსაც 2 მატჩი აქვს – საფრანგეთთან და ფინეთთან. ფრანგებს „დინამო არენაზე" ვუმასპინძლებთ, ფინელებს – „მიხეილ მესხზე". ფრანგებთან მატჩზე აუდიტორიასაც მეტს ველით და სატელევიზიო მოთხოვნებიც არის, რასაც ჯერ „მიხეილ მესხი" ვერ აკმაყოფილებს, თორემ ჩვენთვის გაცილებით შეღავათიანი და ეკონომიურია ორივე თამაშის ჩვენივე სტადიონზე მასპინძლობა.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ერთნაირი ანგარიშების დღე

**სიონი (ბოლნისი) – გურია (ლანჩხუთი) 2:0**

**თბილისი.** მიხელ მესხი

1:0 უგულავა (45), 2:0 კახელიშვილი (62)

**სიონი:** მერლანი, ტვილდიანი, თოთაძე, განუგრავა, სვანიძე, ქემოკლიძე, პარუნაშვილი, კახელიშვილი, ლობჟანიძე (ბიბილეიშვილი 58), მიკუჩაძე (აფციაური 71), უგულავა (გოგობერიშვილი 90)

**გურია:** ბობღიაშვილი, ჩუენსუ, იობაშვილი, ჩიკვილაძე, ჯიშკარიანი, კილაძე, დარჩიძე (გაჩეჩილაძე 63), კუკულაძე (შალამბერიძე 46), კოშკაძე, შარაშენიძე, ტორონჯაძე (შენგელია 68)

შარშანდელი შემადგენლობებით რომ ყოფილიყვნენ გუნდები, ბოლნისელები უდავო ფავორიტებად ვერ ჩაითვლებოდნენ, თუმცა წელს სიტუაცია შეიცვალა და მასპინძლებს საკმაოდ იოლ გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ პირველ ტაიმში „სიონს" გაუჭირდა. მეტიც, გურულებს მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინათ, ეგებ შინ უქულოდ არ დაბრუნებულიყვნენ...

ლანჩხუთელები თავიდანვე დაეუფლნენ უპირატესობას. მე-6 წუთზე, მეტოქის საჯარიმოში ეულად მყოფმა ტარიელ კუკულაძემ ზუსტად ვერ დაარტყა. მალევე მამუკა ტორონჯაძე მასპინძელთა მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ მირზა მერლანს ვერ აჯობა.

მე-16 წუთზე თეიმურაზ შარაშენიძე ცდილობდა საჯარიმო დარტყმით გაეხსნა ანგარიში – მერლანი აქაც კარგად გაისარჯა.

ლანჩხუთელები კიდევ უტევდნენ და რამდენიმე მცდელობა ჰქონდათ, ბოლნისელთა შეტევებიდან კი დასამახსოვრებელი არაფერი შექმნილა. 43-ე წუთზე კი, მსაჯმა მასპინძლები დაინდო. საჰაერო ორთაბრძოლისას, ჩუენსუ გიორგი კახელიშვილის წინააღმდეგ დაჯარიმდა. მსაჯის სასტვენის შემდეგ, ფეხბურთელებმა ურთიერთობის გარკვევა გააგრძელეს და კახელიშვილმა მეტოქეს ფეხი ფეხში მიარტყა, რასაც აფრიკელის დაცემა მოჰყვა. წესით, მსაჯს ბოლნისელი უნდა გაეძევებინა, მაგრამ ყვითელი ბარათი ზედმეტად აქტიურობისთვის ლანჩხუთელთა მეკარეს უჩვენა.

ტაიმის ბოლო წუთზე „სიონმაც" შეუტია და ლაშა პარუნაშვილმა გამოზომილი პასი ჯაბა უგულავას გაუკეთა, რომელმაც თავური დარტყმით მასპინძლები დააწინაურა – 1:0. პირველი ტაიმის შემდეგ შედეგი ალოგიკური ჩანდა.

მეორე ტაიმის დასაწყისში კობა შალამბერიძემ და კახელიშვილმა სახიფათო დარტყმები გაცვალეს. კახელიშვილს ერთხელაც მიეცა გოლის გატანის შანსი, მაგრამ მეკარის შეცდომა ვერ გამოიყენა და ხელსაყრელი პოზიციიდან კარს ააცილა.

64-ე წუთზე, მარცხნიდან გიორგი ბიბილეიშვილის ჩამოწოდების შემდეგ, ბობღიაშვილი გამოსვლაზე შეცდა და კახელიშვილმა თავურით ანგარიშში სხვაობა ორამდე გაზარდა.

თითქოს ყველაფერი აქ დამთავრდა. არადა, მატჩის დასრულებამდე 25 წუთზე მეტი იყო დარჩენილი. ამის შემდეგ, მოედანზე საინტერესო არაფერი მომხდარა და „სიონმა" ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა.



**ვიტ ჯორჯია (თბილისი) – ჩიხურა (საჩხერე) 0:2**

**მცხეთა.** მცხეთა პარკი

0:1 დათუნაიშვილი (43), 0:2 ტატანაშვილი (69)

90-ე წუთზე ოდიკაძემ ვერ გამოიყენა პენალტი (მეკარე)

**ვიტ ჯორჯია:** დაუშვილი, მჭედლიშვილი, ადამაძე, კასრაძე, ჯავაშვილი, სიჭინავა (პავლიაშვილი 55), წყაროზია (ღიბრაძე 46), კორიფაძე, დავლაშელიძე, ჯანელიძე, ლობჯანიძე.

**ჩიხურა:** თევდორაძე, ოდიკაძე, ლაშა ჭელიძე, რეხვიაშვილი, კაშია (ჩიკვაიძე 46), ქიმაძე, ბეჭვაია, დათუნაიშვილი (ლომაშვილი 73), დეკანოიძე, გაბედავა, ტატანაშვილი (წინამძღვრიშვილი 84)

„ვიტ ჯორჯია" აქამდე ქულადაუკარგავად და გოლ გაუშვებლად ლიდერობდა ჩემპიონატს, მაგრამ საჩხერლებთან გოლებიც გაუშვეს და პირველი მარცხიც განიცადეს.

სტუმრებმა მეტოქეს გამოცდილების ხარჯზე აჯობეს. ახალგაზრდა ვიტელებმა ვერაფერი დაუპირისპირეს მეტოქის გამოცდილებას და 0:2 წააგეს. გოლები გიორგი დათუნაიშვილმა და დიმიტრი ტატანაშვილმა გაიტანეს. ზემო იმერლებს კიდევ მართებდათ გატანა, მაგრამ დავით ოდიკაძემ მეკარეს ვერ აჯობა.

**მერანი (მარტვილი) – ზუგდიდი 2:0 (1:0)**

**სამტრედია.** ეროსი მანჯგალაძე

1:0 ბაბუნაშვილი (42), 2:0 კუჭუხიძე (90)

86-ე წუთზე კუჭუხიძემ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)

**მერანი:** შეროზია, მელიავა, ქარქუზაშვილი, ფარულავა, ხუბუა, კერძევაძე, მელქაძე, ბაბუნაშვილი (კუჭუხიძე 70), შულაია (ლობჟანიძე 86), ფონიავა, კვანტალიანი (ბანეგა 90)

**ზუგდიდი:** მამალაძე, რიგვავა, აქუბარდია, აფაქიძე, ონიანი (ქვარცხავა 60), მირცხულავა, ხუბუა, გუგუჩია, ლომია, წურწუმია (ფარჯიკია 69), ეხვაია (ჭრელაშვილი 54)

მეგრული დერბი მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით დასრულდა.

პირველი გოლი შოთა ბაბუნაშვილმა საჯარიმო დარტყმით გაიტანა, შემდეგ კუჭუხიძეს მართებდა პენალტის გატანა, მაგრამ მეკარემ აუღო, მაგრამ მარტვილელთა შემტევმა შეცდომა ბოლო წუთზე გამოასწორა და თავისი გოლი მაინც გაახერხა.

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩიხურა | 3 | 2 | 0 | 1 | 7:4 | 6 |
| 2.სიონი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:2 | 6 |
| 3.მერანი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| 4.მეტალურგი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| 5.ტორპედო | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| 6.ვიტ ჯორჯია | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 |
| 7.დინამო | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| 8.დილა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| 9.გურია | 3 | 1 | 0 | 2 | 1:5 | 3 |
| 10.ზუგდიდი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |
| 11.ზესტაფონი | 2 | 0 | 0 | 2 | 3:5 | 0 |
| 12.სპარტაკი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |

ბომბარდირები: გრიგოლ დოლიძე (დილა), დიმიტრი ტატანაშვილი (ჩიხურა) – 3-3 ბურთი; ლაშა თოთაძე (სიონი), ელგუჯა ლობჯანიძე (ვიტ ჯორჯია), ნიკა საბანაძე, თორნიკე კაპანაძე – 2-2.

# შედეგები

## ფეხბურთი

| | |
|---|---|
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | |
| კარდიფი-სიტი | 3:2 |
| ტოტენჰემი-სუონსი | 1:0 |
| **ინგლისი. ჩემპიონლიგა** | |
| უოტფორდი-ნოტინგემი | 1:1 |
| უიგანი-მიდლსბრო | 2:2 |
| **ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი** | |
| ატლეტიკო-რაიო | 5:0 |
| ლევანტე-სევილია | 0:0 |
| მალაგა-ბარსელონა | 0:1 |
| ბეტისი-სელტა | 1:2 |
| **ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი** | |
| პონფერადინა-საბადელი | 2:0 |
| უელვა-ხიხონი | 1:1 |
| ტენერიფე-ერკულესი | 0:0 |
| მალიორკა-მურსია | 2:4 |
| ნუმანსია-ჰაენი | 4:2 |
| **იტალია. სერია ა** | |
| ინტერი-ჯენოა | 2:0 |
| კალიარი-ატალანტა | 2:1 |
| ნაპოლი-ბოლონია | 3:0 |
| ლივორნო-რომა | 0:2 |
| ლაციო-უდინეზე | 2:1 |
| პარმა-კიევო | 0:0 |
| ტორინო-სასუოლო | 2:0 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | |
| ბრაუნშვაიგი-აინტრახტი | 0:2 |
| აუგსბურგი-შტუტგარტი | 2:1 |
| **გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა** | |
| პადერბორნი-მიუნხენ 1860 | 1:0 |
| ფრანკფურტი-უნიონი | 1:1 |
| ფორტუნა-ბოხუმი | 1:0 |
| **საფრანგეთი. 1 ლიგა** | |
| ლილი-სენტ ეტიენი | 1:0 |
| აიაჩო-ნიცა | 0:0 |
| ნანტი-პსჟ | 1:2 |
| **ჰოლანდია. ეიდივიზიონი** | |
| იგლზი-გრონინგენი | 3:3 |
| ვიტესი-ტვენტე | 1:0 |
| ფეიენოორდი-ბრედა | 3:1 |
| უტრეხტი-ალკმაარი | 2:0 |
| **პორტუგალია. ა ლიგა** | |
| რიუ ავე-სეტუბალი | 2:0 |
| ნასიონალი-გიმარაეში | 1:1 |
| ბენფიკა-ჟილ ვისენტე | 2:1 |
| აროიკა-ეშტორილი | 1:2 |
| პორტუ-მარიტიმი | 3:0 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | |
| რუბინი-კრ.სოვეტოვი | 1:1 |
| ყუბანი-ურალი | 3:2 |
| **შვეიცარია. სუპერლიგა** | |
| სიონი-თუნი | 0:0 |
| იანგ ბოიზი-გრასჰოპერსი | 1:2 |
| ციურიხი-სტ.გალენი | 0:0 |
| **ავსტრია. ბუნდესლიგა** | |
| რაპიდი-გროდიგი | 0:1 |
| ზალცბურგი-ადმირა | 1:0 |
| **ბელგია. პროლიგა** | |
| ბრიუგე-გენტი | 1:1 |
| ანდერლეხტი-შარლერუა | 5:2 |
| გენკი-სერკლი | 1:0 |
| ოსტენდე-ვარეგემი | 1:1 |
| მონსი-სტანდარდი | 0:2 |
| **თურქეთი. სუპერლიგა** | |
| ელაზიგი-ქარაბუქი | 2:2 |
| სივასი-ქონია | 2:0 |
| ბურსა-გალათასარაი | 1:1 |
| **საბერძნეთი. სუპერლიგა** | |
| არისი-კალონისი | 0:2 |
| ქსანთი-პანთრაკიკოსი | 1:0 |
| იანინა-აპოლონი | 2:0 |
| პლატანიასი-ასტერასი | 1:1 |
| ოლიმპიაკოსი-ატრომიტოსი | 2:1 |
| **ჩეხეთი. გამბრინუსლიგა** | |
| ტეპლიცე-იიჰლავა | 4:2 |
| სიგმა-იაბლონეცი | 0:1 |
| ლიბერეცი-ბოჰემიანსი 1905 | 1:0 |
| **პოლონეთი. ექსტრაკლასა** | |
| შლიონსკი-ლოძი | 3:1 |
| ვისლა-ლეხი | 2:0 |
| **უკრაინა. პრემიერლიგა** | |
| კარპატი-ჰოვერლა | 1:0 |
| მეტალურგი(ზ)-დინამო | 1:2 |
| დნიპრო-შახტარი | 3:1 |
| ტავრია-ჩერნომორეცი | 1:2 |
| **დანია. სუპერლიგა** | |
| ოდენსე-ნორდსიელანდი | 1:0 |
| ვიბორგი-ესბიერგი | 3:1 |
| კოპენჰაგენი-ვესტშელანი | 1:1 |
| ბრონდბიუ-რანდერსი | 0:0 |
| **შვედეთი. ალსვენსკა** | |
| გეფლე-ჰელსინბორგი | 1:2 |
| ჰალმშტადი-აიკი | 1:0 |
| ელფსბორგი-ესტერი | 2:4 |
| მალმიო-გიოტებორგი | 3:1 |
| **ნორვეგია. ტიპელიგა** | |
| ალესუნდი-სტარტი | 1:1 |
| სტრომგოდსეტი-მიოლდე | 5:2 |
| ვალერენგა-ლილესტრიომი | 1:1 |
| ჰონეფოსი-სარპსბორგი | 3:1 |
| ჰაუგესუნდი-ტრომსო | 1:0 |
| ულფი-რუსენბორგი | 2:3 |
| **ფინეთი. ვეიკაუსლიგა** | |
| კუუპიო-მარიეჰამნი | 3:2 |
| როვანიემი-ტპს | 1:1 |
| ჰიკი-მიუპა | 2:1 |
| ჰონკა-ვპს | 3:0 |
| ჯჯკ-ლახტი | 2:3 |
| **აშშ. მლს** | |
| ჩივასი-ნიუ იორკი | 3:2 |
| ნიუ ენგლანდი-ფილადელფია | 5:1 |
| სიეტლი-პორტლენდი | 1:0 |
| **ბრაზილია სერია ა** | |
| ატლეტიკო(მ)-პორტუგეზა | 2:1 |
| ბაია-ნაუტიკუ | 2:0 |
| ვასკუ-კორინთიანსი | 1:1 |
| სან პაულუ-ფლუმინენსე | 2:1 |
| ატლეტიკო-(პ)-ბოტაფოგო | 2:0 |
| ინტერნასიონალი-გოიასი | 3:3 |
| **არგენტინა. პრიმერა დივიზიონი** | |
| ოლიმპო-ოლ ბოიზი | 1:1 |
| რივერ პლეიტი-კოლონი | 1:2 |
| ესტუდიანტესი-ბოკა | 2:0 |

# პოლონეთმა და ხორვატიამ საკონტროლო მატჩები დაასრულეს

ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ეროვნული ნაკრების მეტოქე პოლონეთმა და ხორვატიამ მოსამზადებელი ეტაპი დაასრულეს. პოლონელებმა და ხორვატებმა გუშინ ბოლო საკონტროლო მატჩები გამართეს.

დირკ ბაუერმანის გაწვრთნილი პოლონეთი შინაურ არენაზე შვედეთს შეხვდა და უპრობლემოდ – 73:57 დაამარცხა. პოლონელთაგან საუკეთესო მაციე ლამპე იყო, რომელმაც ერთბაშად 17 ორქულიანი ესროლა და საბოლოოდ, ამდენივე ქულა დააგროვა. მის აქტივში 9 მოხსნაც გახლდათ, ამდენად, ესპანური „ბარსელონას" ახალწვეულს ორმაგ დუბლამდე 1 მოხსნა დააკლდა.

დამაჯერებლად ითამაშა პოლონელთა ლიდერმა მარცინ გორტატმა, რომელმაც 24:30 წუთში ექვსივე ორქულიანი ჩააგდო და გუნდს 12 ქულა შესძინა. პოლონელებმა შვედებს მოხსნებში 36:27 აჯობეს, პასებში – 16:9 და სტუმრებზე ცხრით მეტი საჯარიმო ესროლეს, თუმცა, 19 ტყორცნიდან მხოლოდ 10 გამოიყენეს.

ასე და ამგვარად, პოლონელებმა მოსამზადებელი ეტაპი დაასრულეს. მთლიანობაში სლავებმა 10 შეხვედრა ჩაატარეს, საიდანაც 6 მოიგეს და 4 წააგეს. გთავაზობთ აღნიშნული მატჩების შედეგებს: ისრაელი-პოლონეთი 81:65, პოლონეთი-საქართველო 87:75, იტალია-პოლონეთი 76:65, ესპანეთი-პოლონეთი 70:66, პოლონეთი-ისრაელი 75:72, ბელგია-პოლონეთი 52:66, პოლონეთი-იტალია 82:79, პოლონეთი-უკრაინა 83:84, პოლონეთი-დიდი ბრიტანეთი 85:66, პოლონეთი-შვედეთი 73:57.

რაც შეეხებათ ხორვატებს, მათ მოსამზადებელი პერიოდი შედარებით ცუდი შედეგებით დაასრულეს. როგორც პოლონელებმა, ხორვატებმაც 10 მატჩი გამართეს, საიდანაც მხოლოდ 4 შეხვედრა, ისიც შედარებით სუსტ გუნდებთან მოიგეს. მოსამზადებელი ეტაპის ბოლო შეხვედრა ხორვატებმა ბელგიასთან გამართეს და პირველი ტაიმის შემდეგ 5 ქულით აგებდნენ. მეორე ტაიმში ექსიუგოსლავიელებმა თამაში გამოასწორეს და საბოლოოდ 77:55 იმარჯვეს.

ეს კი ყველა იმ მატჩის შედეგია, რომელიც ხორვატიამ მოსამზადებელ პერიოდში გამართა: ხორვატია-მაკედონია 74:78, ხორვატია-მაკედონია 72:67, საბერძნეთი-ხორვატია 87:85, საფრანგეთი-ხორვატია 92:60, გერმანია-ხორვატია 73:63, ხორვატია-ჩერნოგორია 72:60, ხორვატია-ლატვია 81:66, სერბეთი-ხორვატია 88:71, თურქეთი-ხორვატია 81:52, ბელგია-ხორვატია 55:77.

ევროპის ჩემპიონატზე, ც ჯგუფში, საქართველოს პოლონელებს 4 სექტემბერს დაუპირისპირდებიან, ხოლო ხორვატიას 5 სექტემბერს.

# როგორი დამოკიდებულებაა არაქართულენოვან სკოლებთან?

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ლის, როგორც მეორე ენის მასწავლებლების სერტიფიცირება, პირველად, შესაბამისად, ეს ძალიან ბუნებრივი პროცესია, როდესაც ჩნდება რაღაც მოტივატორი, მაგალითად: აი, სერტიფიცირების გავლის შემდეგ მე რაღაც უკეთესი პირობები მექნება, ვგულისხმობ არა მარტო უკეთეს ხელფასს, არამედ სხვადასხვა ბონუსებს – მასწავლებელიც უფრო მეტად მოტივირებული იქნება, რომ ის შეზღუდული დრო, რაც მას აქვს, ვიცით, რომ არანორმალურად დიდი შრომის გაწევა უწევთ მათ, განსაკუთრებულად არაქართულენოვან სკოლებში, დაუთმონ საკუთარ პროფესიულ ზრდას და განვითარებას. მას შემდეგ, რაც დაიწყება სერტიფიცირების პროცესი – შემუშავდება შესაბამისი პროგრამები, რომელიც დაეხმარება მასწავლებლებს ამ პროცესს მომზადებულები შეხვდნენ. ამ ტიპის დახმარება გულისხმობს არა მარტო ცენტრალიზებულ ტრენინგებს, არამედ სწორედ იმ ტიპის ტრენინგებს, რაზეც ვისაუბრეთ – დამხმარე მასწავლებლების და ექსპერტი მასწავლებლების დახმარება ადგილზე.

როდესაც ხდება სერტიფიცირებული მასწავლებლების იდენტიფიცირება, მთავარი მოთხოვნა არის ის, რომ მასწავლებელი იყოს სერტიფიცირებული საგანში და მას ჰქონდეს ქართული ენის სწავლების გამოცდილება. რა თქმა უნდა, სასურველია, რომ კანდიდატი ფლობდეს სომხურ ან აზერბაიჯანულ ენას, თუმცა ძალიან ბევრი ასეთი კანდიდატი არ არის.

ზოგადად, ის ადამიანები, ვინც ამ პროგრამაში მონაწილეობის სურვილს გამოხატავენ, უკვე იცნობენ ამ რეგიონს. ძალიან ცოტაა ისეთი კანდიდატი, ვისაც საერთოდ არ უმუშავია სომხურ ან აზერბაიჯანულენოვან გარემოში. თითოეული კანდიდატი ძალიან კარგად აცნობიერებს, თუ სად მიდის და შესაბამისად ამ კულტურას და ელემენტარულ აზერბაიჯანულს ან სომხურ ენებს ისინი ფლობენ. უკვე შერჩეულ კანდიდატებს, პროფესიული უნარების გარკვეულ ტრენინგებთან ერთად ვთავაზობთ სომხური და აზერბაჯანული ენების კურსს. გარდა ამისა იცით, რომ ეს პროგრამა 2009 წლიდან ხორციელდება და მასში ჩართული მასწავლებლები უკვე თავისუფლად ფლობენ ენას იმ დონეზე, რომ არა მხოლოდ კომუნიკაცია შეძლონ ადგილობრივ მასწავლებლებთან, არამედ პროფესიული დახმარებაც კი გაუწიონ. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნო, რომ აქ ჩვენ გვაქვს საუბარი მაშინ, როდესაც ხდება ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის სწავლების ხელშეწყობა. უნდა განიმარტოს, რომ სავარაუდოდ ძალიან რთული იქნება სახელმწიფოსთვის, ქვეყნის მასშტაბით, იმდენი პროფესიონალის პოვნა, რომელიც, მაგალითად, სომხურ ენაზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში რომელიმე საგანს ჩაატარებს. აქ არ არის საუბარი ერთ, ორ და სამ პროფესიონალზე. საუბარი იმაზეა, რომ ადამიანი უნდა ფლობდეს არა მარტო ენას, არამედ საგანსაც. აქ ერთვება ის პარტნიორობის პროგრამები. მაგალითად, დანამდვილებით ვიცი, რომ საქართველოსა და სომხეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროებს შორის ხელმოწერილია სპეციალური მემორანდუმი, რომლის ფარგლებში გათვალისწინებულია, მათ შორის, პროფესიული ქსელის შექმნა და ტრენერების გაცვლითი ვიზიტები. შარშან ზაფხულშიც იყო ისეთი შემთხვევა, როდესაც ჩამოსული იყვნენ სომხურენოვანი ტრენერები შესაბამის საგნებში და ადგილობრივ მასწავლებლებს უტარებდნენ ტრენინგს სომხურ ენაზე. იმისათვის, რომ მოხდეს, ვთქვათ, სომხური ენის და ლიტერატურის სწავლება ადეკვატურად. ასეთ შემთხვევაში სრულიად ბუნებრივია, რომ საკმაოდ რთული იქნება მხოლოდ სახელმწიფოს რესურსებით, ქვეყნის მასშტაბით, მსგავსი ტრენინგების ჩატარება. ამ პრობლემას ავსებს, სწორედ, ასეთი ტიპის პარტნიორობა.

*– **საქართველოში არ არსებობს დაწესებულება, სადაც ხდება სომხურენოვანი სკოლების მასწავლებელთა მომზადება-გადამზადება. ამავე დროს სომხურენოვან სკოლებში მასწავლებელთა საშუალო ასაკი 45 წელს ბევრად არის გადაცილებული. ბევრ სომხურენოვან სკოლაში საგნების უმრავლესობა კადრების არარსებობის გამო, ქართულ ენაზე მიმდინარეობს. როგორ აპირებს სამინისტრო ამ პრობლემის გადაჭრას?***

– ზოგადად მასწავლებლის ასაკი და დეფიციტის საკითხი არა მხოლოდ არაქართულენოვან სკოლებში, არამედ ქართულენოვანი სკოლებისთვისაც ძალიან პრობლემურია. ერთ-ერთი საკითხი, რომელსაც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დაკვეთით იკვლევდა ერთ-ერთი დამოუკიდებელი ორგანიზაცია (სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი – რედ.) იყო სწორედ ის, რა საჭიროებებიც არსებობს საქართველოს მასშტაბით, მასწავლებლების რაოდენობის მხრივ. ამიტომ ეს არა მხოლოდ არაქართულენოვანი უმცირესობებისათვის არის პრობლემური, არამედ ურავლესობისთვისაც პრობლემური საკითხია. რაც შეეხება დაწესებულებებს, რომლებიც ამზადებს ამ მიმართულებით მასწავლებლებს, ისინი არსებობს. შესაძლებელია არ არსებობს სახელმწიფო დაწესებულება, მაგრამ თბილისის სახელმწიფო და ილიას სახელობის უნივერსიტეტებში არის ტემპუსის პროგრამით, თუ არ ვცდები, დაფინანსებული პროგრამა, რომლის ფარგლებში შემუშავებულია საბაკალავრო პროგრამა, რომელიც ამზადებს მულტილინგვური განათლების მასწავლებლებს. ეს გულისხმობს იმას, რომ მასწავლებელს ექნება უნარი კონკრეტული რაღაც საგანი ასწავლოს ორ ენაზე. ქართული, პლუს ერთ-ერთი სხვა ენა. შესაბამისად ასეთი პროგრამა უკვე შემუშავებულია და ინერგება, თუ არ ვცდები წლევანდელი წლიდან. გარდა ამისა, შემუშავების ფარგლებში არის სამაგისტრო პროგრამა, რომელიც ასევე მულტილინგვური მასწავლებლების მომავალ პროფესიულ ზრდაზე იქნება გათვლილი. შესაბამისად ეს უკვე ხორციელდება. ეს არ არის, რა თქმა უნდა, მასშტაბური პროგრამა, თუმცა იქიდან გამომდინარე, თუ იქნება დაინტერესება მასწავლებლების, ცხადია, მათ ექნებათ შესაძლებლობა, რომ წავიდნენ და ჩაერთონ ამ პროგრამაში. გარდა ამისა, სახელმწიფო მზად იქნება შესთავაზოს მასწავლებლებს სხვადასხვა ტიპის მოკლე თუ გრძელვადიანი ტრენინგ-პროგრამები მას შემდეგ, რაც შეიქმნება გარკვეული, უმცირესობათა მასწავლებლების პროფესიული განვითარების სქემა და გზა თუ როგორ და რისთვის უნდა განვითარდნენ. ამდენად, სახელმწიფოს ამ გარკვეული მიმართულებით უკვე აქვს გადადგმული ნაბიჯები.

მულტილინგვური განათლების მიზანი სწორედ ის არის, რომ ადამიანი, რომელმაც რაღაც ენაზე უკვე იცის, მაგალითად, ფიზიკა და დამატებით იცის ორი ენა, შეძლოს ფიზიკის მასწავლებლად ჩამოყალიბება, რომელიც არაქართულენოვან გარემოში, ორივე ენის დახმარებით შეძლებს ეს საგანი ასწავლოს.

*– **მაგრამ ეს სახელმწიფო პროგრამა არ არის?***

– ამას ახორციელებენ უნივერსიტეტები, თუმცა ეს იქნება სახელმწიფო პროგრამა, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ ცნობს ტერმინს – მულტილინგვური განათლების მასწავლებელი. შესაბამისად, რადგან კანონი ცნობს ამ ტერმინს, ის ამ ტიპის მასწავლებლებისათვისაც შეიმუშავებს სპეციალურ პროგრამებს მხარდაჭერისა და განვითარებისათვის. ისევ გავიმეორებ. ეს არის ერთ-ერთი ისეთი საკითხი, რომელიც სავარაუდოდ ერთ და ორ წელიწადში ვერ გადაწყდება, იმიტომ, რომ სხვა მასწავლებლების მსგავსად თუ განსხვავებით, არაქართულენოვან სკოლებში მასწავლებლებს განსაკუთრებული დახმარება სჭირდებათ როგორც საგნობრივი, ასევე ენის სწავლების მიმართულებით. იგივე უმცირესობების წარმომადგენლებს თუ ვენდობით, ჩვენს ცენტრში ნამდვილად ბევრი არ არის ამის შემფასებელი სპეციალისტი, მშობლიური ენის თვალსაზრისითაც მასწავლებლებს სჭირდებათ სერიოზული დახმარება, იმიტომ, რომ აქაც არ არის ის აკადემიური ენა, რა ენაზეც სასურველია, რომ ბავშვები მეტყველებდნენ. ეს არის ძალიან კომპლექსური საკითხი. ერთ ენაზე როდესაც ბავშვს საგანს ასწავლი, ეს ძალიან რთული პროცესია, ორ ენაზე ამის სწავლება ძალიან დიდ სიფრთხილეს და დიდ ოსტატობას მოითხოვს. შესაბამისად, ეს ნამდვილად არ არის პროგრამა, რომელიც ერთ და ორ წელიწადში აბსოლუტურად ყველა უმცირესობათა მასწავლებელს წელგამართულ პროფესიონალად აქცევს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში შემუშავებულია რაღაც გარკვეული ხედვა, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია, რომ ნელ-ნელა, ჯერ დაწყებით და შემდეგ უფრო მაღალ საფეხურებზე გარკვეული პროგრამები შემუშავდეს მასწავლებლებისთვის, როგორ შეძლონ მათ ამ ტიპის სწავლება.

საერთოდ რატომ არის საჭირო მულტილინგვური განათლება და რატომ არის საჭირო, რომ ამ ბავშვებმა სომხურთან ერთად ქართულადაც ისწავლონ, მაგალითად, იგივე ფიზიკა?! ეს ყველა ქვეყანაში ასეა, არა მარტო საქართველოში! ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები იმ შემთხვევაში, თუ არ ფლობენ სახელმწიფო ენას მაღალ დონეზე, ყოველთვის უფრო ცუდ მდგომარეობაში არიან, ანუ კონკურენციას ვერ უწევენ ეთნიკური უმრავლესობის წარმომადგენლებს. შესაბამისად, იმისათვის, რომ ეს განსხვავება მაქსიმალურად შემცირდეს, უნდა შემცირდეს არ მარტო იმ გზით, რომ ფიზიკა ვასწავლოთ კარგად, არამედ ისე, რომ ფიზიკა ვასწავლოთ ქართულად. ვთქვათ, თუ მოვამზადებთ სომხურენოვან მასწავლებელს სომხურ ენაზე ფიზიკაში, მას დასაქმების „არეალი“ ძალიან ვიწრო ექნება. ის შეძლებს იმუშაოს მხოლოდ და მხოლოდ სომხურენოვან სკოლაში. მოკლებული იქნება უფრო მეტ შესაძლებლობებს. სწორედ ამისათვის არის აუცილებელი ამ ტიპის ორენოვანი სწავლების დანერგვა.

*– **ბევრ სკოლაში საგნები, რომელიც სახელმწიფო სასწავლო პროგრამის თანახმად უნდა ისწავლებოდეს სომხურ ენაზე, ფაქტობრივად ისწავლება სხვა, ქართულ ან რუსულ ენებზე. თუ გაქვთ ინფორმაცია, ქვეყნის მასშტაბით სომხურენოვან სკოლებსა და სექტორებში რა საგნების მასწავლებლების „დეფიციტი“ აღინიშნება უკვე დღეს?***

– ჩატარებული კვლევის ფარგლებში („მასწავლებელთა არსებულ და საჭირო რაოდენობებს შორის ბალანსის კვლევა“ – სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი 2012 წელი – რედ.) ვიცი, რომ ის იკვლევდა მათ შორისაც მასწავლებელთა „დეფიციტს“ რეგიონების მიხედვით, მათ შორის იმ რეგიონების, სადაც არის არაქართულენოვანი სკოლებიც, თუმცა ახლა მართლა არ მახსოვს ასე ზუსტად, საგნების მიხედვით რა მიმართულებით არის დეფიციტი. ზუსტად ასე დეტალურად არ ჩამიხედავს ამ კვლევაში, არის ქართულენოვანი სკოლები თუ არაქართულენოვანი თუმცა, როდესაც კვლევაში მოცემულია მაგალითად, მარნეულის რეგიონი, იქ ცნობილია ძირითადან აზერბაიჯანულენოვანი სკოლებია. ასევე სამცხე-ჯავახეთშიც ძირითადად არაქართულენოვანი სკოლებია. შესაბამისად ამ კვლევის ფარგლებში შესაძლებელია მეტ-ნაკლები იდენტიფიცირება თუ სად რა სპეციალისტების ნაკლებობაა. ზოგადად მთელი ქვეყნის მასშტაბით მასწავლებელთა ნაკლებობა საგრძნობია და პრობლემას წარმოადგენს.

*– **ხომ არ იგეგმება პედაგოგიური ინსტიტუტის ან ფაკულტეტების აღდგენა, სადაც მსურველს შესაძლებლობა ექნება პედაგოგის ხარისხი მიიღოს ამა თუ იმ სპეციალობაში? ქართულენოვან მასწავლებლებსაც არ აქვთ სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა?***

– როგორ არა.! სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს, ილიას სახელობის უნივერსიტეტს, გორის უნივერსიტეტს, ბათუმის, ქუთაისს, ახალციხეს. ეს არის ექვსი უნივერსიტეტი, სადაც ნამდვილად ვიცი, რომ არის პედაგოგიური ფაკულტეტი.

*– **ქართულენოვანი?***

– ქართულენოვანი. პლიუს ის მულტილინგვური პროგრამები არის ორ უნივერსიტეტში და ახალციხეც გეგმავს, რომ ჩაერთოს ამ პროექტში. კანონის მიხედვით იმისათვის, რომ გახდე მასწავლებელი, საკმარისია გახვიდე სერტიფიცირებაზე და შემდეგ უკვე თავად იზრუნო ადამიანმა საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე. გარდა ამისა, უშუალოდ მარტო ჩვენი ცენტრი რასაც სთავაზობს, ანუ სახელმწიფო რასაც სთავაზობს მასწავლებლებს, არის ის, რომ ყველა საჯარო სკოლის მასწავლებელს აქვს შესაძლებლობა სრულიად უფასოდ გაიაროს ტრენინგები როგორც საგნობრივი, ასევე პროფესიული მიმართულებით. ეს თავისთავად შესაძლოა საკმარისი არ არის იმისთვის, რომ უმაღლეს დონეზე დაიხვეწოს უნარები, მაგრამ არის ძალიან კარგი მიმართულების მიმცემი და დამხმარე მასწავლებლებისათვის, რომ მიხვდნენ რა მიმართულებით სჭირდებათ მათ მუშაობა, როგორ უნდა იმუშაონ როგორც საკლასო ოთახში, ასევე საკუთარ თავზე, იმისათვის, რომ უკეთესი მასწავლებლები გახდნენ.

*– **2010 წელს 110 სომხურენოვანი სკოლა ოპტიმიზაციის შედეგად გარდაიქმნა 103 საჯარო სკოლის სომხურენოვან სექტორად. ცნობილია რომ 2011 წელს ამ სექტორიდან სამსახურიდან იყო დათხოვნილი სომხურენოვანი მასწავლებლების უმრავლესობა. სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით მათი დათხოვნის მიზეზი ის გახდათ, რომ თითქოს და აღინიშნული მასწავლებლები არ აკმაყოფილებდნენ სახელმწიფოს სტანდარტებს ამ სფეროში. შედეგად სექტორს დღეს არ ჰყავს სომხურენოვანი სპეციალისტი და შესაბამისად სწავლება იქ მიმდინარეობს სხვა, არასომხურ ენებზე. მიუხედავად ამისა, სექტორს სომხურენოვანი ეწოდება. რამდენად კონტროლირდება, თქვენი ცენტრის მიერ ვითარება სომხურენოვან სკოლებში, მათ შორის თბილისში არსებული ე.წ. სექტორებში?***

– ამ კონკრეტულ ფაქტს ვერანაირ კომენტარს ვერ გავუკეთებ, იმიტომ, რომ ცენტრის პრეროგატივა აბსოლუტურად არ არის მასწავლებლების საკადრო ცვლილებების კონტროლი და მონიტორინგი. ეს ცალსახად არის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრეროგატივა, კერძოდ, ამას მონიტორინგს უწევს ორი სამსახური. ეს არის ანალიზისა და მონიტორინგის სამსახური და სამინისტროს გენერალური ინსპექცია. თუმცა აქვე აღვნიშნავ, რომ კანონით სამინისტროც ნაკლებად ერევა დირექციების საქმიანობაში, რადგად სკოლები მუშაობენ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით, და შესაბამისად სანამ საჩივრამდე არ მივა საქმე, სამინისტრო ამ საკითხებში არ ერევა.

## ბათუმი ქუჩის ხელოვნების ფესტივალს მასპინძლობს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ლაში“. მათთან ერთად ჩვენი სტუმარია ცნობილი ფრანგი მხატვარი, რომელიც ბათუმში დაგეგმილ ფესტივალში მონაწილეობს.

*– **ფესტივალში მხოლოდ ფრანგი ხელოვანები არიან ჩართული?***

– არა. ფესტივალში ასევე მონაწილეობს 5 ქართველი მხატვარი. ჩვენ ბათუმში ფესტივალის დასკვნითი ეტაპი გვაქვს დარჩენილი. ეს არის შუშის სახლში დაგეგმილი ღონისძიება ანბანის კოშკის წინ, სადაც წარმოდგენილია სარეკლამო ბანერები, რომელიც მოიხატა ფესტივალში მონაწილეთა მიერ. ეს ნამუშევრები აქვე დარჩება 4 ნოემბრამდე და ვიტრინის სახით იქნება გამოფენილი დამთვალიერებლებისთვის.

*– **ფესტივალი მხოლოდ ბათუმში ტარდება?***

– 27 აგვისტოდან ჩვენ გადავდივართ არტ ვილა გარიყულაში, რომ ყველამ ერთად გავაგრძელოთ მუშაობა.

*– **თქვენი ფესტივალი თბილისს არ მოიცავს?***

– 28 აგვისტოს უკვე თბილისში ვიქნებით და ვაკის პარკში არსებულ კლუბში „33ა“ ვიმუშავებთ. 29 აგვისტოს კი უკვე ჩვენი ფრანგი სტუმრები მიფრინავენ და მათი გაცილება გვაქვს დაგეგმილი.

**ეკა ირემაშვილი**

## კროსვორდი ბ

შვეულად: 1. სამხედრო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ძველად საქართველოში; 2. დელფინის ერთ-ერთი სახეობა; 3. ეგრისის სამეფოს დედაქალაქი; 4. ტბა სომხეთში; 5. შავი, ტკბილი ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი; 8. მუსულმანთა რელიგიური სამართლის კანონთა კრებული; 9. ფუფუნებით განებივრებული ადამიანი; 12. უდაბნოში მზარდი მცენარე; 13. ისლანდიის პარლამენტი; 16. ისტორიული ციხე-ქალაქი მესხეთში; 17. ცნობილი საკონცერტო დარბაზი პარიზში; 19. საათის მექანიზმი; 20. იაპონიის ერთ-ერთი კუნძული.

თარაზულად: 6. ომების მოწინააღმდეგე ადამიანი;. 7. დაბალი რანგის დიპლომატიური წარმომადგენელი; 8. სახელმწიფო სკანდინავიაში; 10. საფრანგეთის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 11. საზღვაო ხელშეკრულება; 14. სპორტის სათამაშო სახეობა; 15. რაიმე სადავო საკითხის შემფასებელი, დასკვნის გამომტანი სპეციალისტი; 18. გარეული მტრედი; 21. მოსახლეობის რაოდენობით ყველაზე დიდი სახელმწიფო აფრიკაში; 22. გემების სადგომი ნავსადგურში; 23. ფარული დაცინვა; 24. ცნობილი ფინელი კომპოზიტორი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. მარშალი; 3. მარაბუ; 8. პარადი; 10. კომედია; 11. არმია; 12. კადრილი; 14. აგამია; 15. პრიმატი; 16. გოგრა; 19. რაკეტა; 20. კამელია; 21. მედალი.

**შვეულად:** 1. მანდრაგორა; 2. ლიმონი; 3. მუნდირი; 4. ბასმა; 5. კარტინგი; 6. კაენი; 7. ლიტავრა; 9. პრიზმა; 13. პაიკი; 17. გორა; 18. სია.

**სკანვორდის პასუხები:**

1. ლი; 2. რეა; 3. ლასო; 4. ტრიუმო; 5. პუშტუ; 6. ჩაი; 7. სტეპი; 8. ტიტა; 9. რაუტი; 10. რიო; 11. ტაუ; 12. ჯამბული; 13. ხორაგი; 14. ნისანი; 15. სერ; 16. სარაცენია; 17. კაა; 18. ცდა; 19. ნავიგაცია; 20. მისტრალი; 21. განი; 22. ანდანტე; 23. ბესინჯერი; 24. ნო; 25. ვანადიუმი; 26. არგონი; 27. კიი; 28. სინი; 29. აბრაამ; 30. როკ; 31. ბაზა; 32. მის; 33. მელ; 34. რამაიანა; 35. ტრამალი.

**სურათებზე:** გოლდი ჰოუნი; გარი ნევილი.

# ალიევის საპრეზიდენტო კანდიდატურა ოფიციალურად დარეგისტრირდა



აზერბაიჯანის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დღევანდელ სხდომაზე ილჰამ ალიევის საპრეზიდენტო კანდიდატურა ოფიციალურად დაარეგისტრირა. ცესკო-ს თავმჯდომარის მაზახირ პანახოვის განცხადებით, საექსპერტო ჯგუფებმა შეისწავლეს მხარდამჭერთა ხელმოწერების ნამდვილობა, რის საფუძველზე კომისიამ დღევანდელი გადაწყვეტილება მიიღო. მისივე თქმით, საექსპერტო ჯგუფების მუშაობის გამჭვირვალობა მაქსიმალურად იყო უზრუნველყოფილი.

ცესკო-ს სხდომაზე ხაზგასმით აღნიშნეს, რომ 45 ათასი ხელმოწერიდან ყალბი მხოლოდ 206 აღმოჩნდა.

საპრეზიდენტო არჩევნები აზერბაიჯანში 9 ოქტომბერს გაიმართება.

ჰეიდარ ალიევის შვილი პრეზიდენტი 2003 წელს მას შემდეგ გახდა, რაც მამამისმა არჩევნებიდან კანდიდატურა მოხსნა და ხალხს მისი შვილის მხარდაჭერისკენ მოუწოდა. ილჰამ ალიევი დაიბადა 1961 წელს ბაქოში, ბაქოს კგბ-ს განყოფილების უფროსის ოჯახში, რომელიც შემდგომში აზერბაიჯანის კომპარტიის მდივანი გახდა. 1977 წელს ქალაქ ბაქოს საბაილის რაიონის მეექვსე საშუალო სკოლა დაამთავრა.

საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ, ილჰამი საერთაშორისო ურთიერთობების მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში (მგიმო) შევიდა. 1982 წელს იგი ამავე უნივერსიტეტის ასპირანტურაში შევიდა. ამავე წელს, ანდროპოვის დაპატიჟებით ოჯახი მოსკოვში გადავიდა. ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის წოდებაზე დისერტაციის დაცვის შემდეგ, იგი ამავე უნივერსიტეტის პედაგოგი ხდება.

მამამისის სკკპ ცკ-ს პოლიტბიუროდან გასვლის შემდეგ, ილჰამმა საკუთარი ბიზნესი დაიწყო. 1991 წლიდან 1994 წლამდე ცხოვრობდა სტამბოლში და აზერბაიჯანში მამამისის გაპრეზიდენტების შემდეგ დაბრუნდა.

1994 წლიდან 2003 წლამდე იგი იკავებს აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობკომპანიის მეორე ვიცე-პრეზიდენტის, ხოლო შემდეგ პირველი ვიცე პრეზიდენტის პოსტს. იგი ორჯერ, 1995 და 2000 წელს იყო არჩეული აზერბაიჯანის მელი მეჯილისში (პარლამენტში).

2003 წელს მოიხსნა დეპუტატის მანდატი, პრემიერ-მინისტრად დანიშვნის გამო.

# ერაყში აფეთქებებს 46 ადამიანი ემსხვერპლა



პოლიციის ცნობით, ერაყის ქალაქებში ბაღდადსა და ბაქუბაში ცოტა ხნის წინ მომხდარ აფეთქებებს, 46 ადამიანი ემსხვერპლა.

ასაფეთქებელი მოწყობილობები ხალხმრავალ ადგილებში მდგარ ავტომობილებში იყო დამონტაჟებული.

აფეთქებებზე პასუხისმგებლობა ჯერჯერობით არცერთ დაჯგუფებას არ აუღია.

ბოლო პერიოდში ქვეყანაში მნიშვნელოვნად გამწვავდა დაპირისპირება სუნიტებსა და შიიტებს შორის. სუნიტები ქვეყნის შიიტ მთავრობას, რომელსაც პრემიერი ნური მალიკი ხელმძღვანელობს, მათი უფლებების უგელებელყოფაში ადანაშაულებენ. მხოლოდ ამ წელს რელიგიურ ნიადაგზე არსებულ დაპირისპირებას, ქვეყნის მასშტაბით, 4000 ადამიანი ემსხვერპლა.

# სამგლოვიარო განცხადებები

## ცეზარ შურღაიას ხსოვნას

როგორ უეცრად გაქრი. წახვედი, დიდი გულის ადამიანო და დაგვიტოვე დიდი ნაღველი. შენ არ მომკვდარხარ, გარდაიცვალე, ფერი იცვალე და გაგვიფრინდი. დაგვტოვე გულდათუთქულები. შენს საყვარელ სამსახურში სიცარიელე და სევდა სუფევს. ძალიან ძნელია შეეგუო ნამდვილი პროფესიონალის, ყოველმხრივ შემკობილი, ნიჭიერი და განათლებული, მოსიყვარულე, თბილი, ერთგული მეგობრის დაკარგვას. ქართული სუფრის მშვენება იყავი, შენი სიმღერა და ლექსები ყველას აჯადოებდა.

ალბათ, ბევრი წელი დაგვჭირდება, რომ როგორმე შევეჩვიოთ შენს არყოფნას, შენი ტკბილი ხმის არგაგონებას, შენი გემრიელი ღიმილის არდანახვას.

ჩვენში არსებული ყველა სათნო და ფაქიზი გრძნობა შენ გევლება თავს, გეფერება, გეხვევა და გეალერსება.

გავიდა ორმოცი დღე. ახლა კი შენი სულისთვის იწყება მართალი, ჭეშმარიტი ცხოვრება. ის ისეთივე ნათელი იქნება, როგორიც შენი ხანმოკლე ცხოვრება იყო ამქვეყნად.

არასოდეს, არასოდეს დაგვავიწყდები...

ღმერთმა ნათელში და სამოთხეში ამყოფოს დიდი კაცისა და გულმართალი ადამიანის სული. ამინ!

**სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის მეგობრები**

ნარგიზა ლომთაძე, ნატო ომიაძე, ნინო ჭალიძე თანაუგრძნობენ თავშავაძეების ოჯახს ღირსეული ქართველის, ჭეშმარიტი მამულიშვილის, უანგარო მეგობრის, ყველას ჭირ-ვარამის გამზიარებლის, უსაყვარლესი ადამიანის, კასპის კოლორიტის, ბატონი

**ოსიკო თავშავაძის**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ციურიხში სექსკაბინები ოფიციალურად გახსნეს

შვეიცარიის ქალაქმა ციურიხმა ოფიციალურად შემოიღო ახალი კანონი, რომელიც სექსინდუსტრიის მუშაკებს პირდაპირ ქუჩაში კლიენტებისთვის მომსახურების შეთავაზებას უკრძალავს.

მეძავებსა და მათ კლიენტებს ადგილობრივმა ხელისუფლებამ ქალაქის ცენტრიდან მოშორებით სპეციალურად სექსისთვის კაბინები აუშენა. გარდა ამისა, ყველა სექსმუშაკი ამიერიდან ვალდებულია შეიძინოს შესაბამისი ლიცენზია და დაზღვევა.

მთავრობის განცხადებით, აღნიშნული ზომების მიღება სექსმუშაკების დაცვისა და ქალაქში სიმშვიდისა და წესრიგის დამყარებისთვის გახდა აუცილებელი.

კანონის კრიტიკოსები შიშობენ, რომ ახალი წესები მეძავებს კლიენტებს დააკარგვინებს.

კანონპროექტს ციურიხის მოსახლეობამაც დაუჭირა მხარი, რაც რეფერენდუმის შედეგებში აისახა.

ცნობისათვის, შვეიცარიაში პროსტიტუცია უკვე 60 წელზე მეტია ლეგალურ საქმიანობას წარმოადგენს.

მეოცე საუკუნეში ელექტრონული ტექნოლოგიების გავრცელებისა და გლობალიზაციის პროცესის მომძლავრების ფონზე, მოხდა სექსუალური მომსახურების, სექსმუშაკის, როგორც პროფესიის დამკვიდრება, რომლის წარმომადგენლები ჩართულნი არიან როგორც ჩვეულებრივ პროსტიტუციაში, ასევე – ვირტუალურში. მაგალითად, სექსი ტელეფონით, სექსი ინტერნეტით, სექს-შოუ და ა.შ. სექსმა და პროსტიტუციამ გართობის სფეროში გადაინაცვლა.

ამავე დროს, ზოგ ქვეყნებში, მაგალითად, ავსტრალიაში, გერმანიასა და ნიდერლანდებში სექსმომსახურება, პროსტიტუცია ლეგალიზებულია და მისი სტატუს-კვო კანონმდებლობით რეგულირდება. თუმცა ამავე ქვეყნებში არსებობს ე.წ. არაკანონიერი პროსტიტუციაც, რომელშიც ჩართულნი არიან ორივე სქესის არასრულწლოვანნი, ტრეფიკინგის მსხვერპლნი და ა.შ.

პოსტსაბჭოურ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, დღესაც მიმდინარეობს მსჯელობა პროსტიტუციის ლეგალიზაციის თაობაზე.

# ბაშარ ასადი: შემოჭრის შემთხვევაში აშშ-ს ჩავარდნა ელოდება

სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ასადმა გაზეთ „იზვესტიისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ თუ აშშ გადაწყვეტს სირიაში შეჭრას, მას ელოდება ისეთივე ჩავარდნა, როგორც სხვა მისსავე გაჩაღებულ ომებში. სირიის პრეზიდენტმა ასევე აღნიშნა, რომ აშშ-ს მიზანია დააკნინოს რუსეთის როლი საერთაშორისო არენაზე, მათ შორის სირიის საკითხზე ზეწოლის მეშვეობით.

მან აღნიშნა, რომ ვითარების ნორმალიზების შემდეგ, რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს შეხვდება. ამავე დროს, ასადმა უარყო სამთავრობო ძალების მიერ ქიმიური იარაღის გამოყენების ფაქტი და აღნიშნა, რომ რაკეტა მომწამვლელი გაზით ამბოხებულებმა გაუშვეს.

„ეს არის პოლიტიკური ბრალდება და მისი მიზეზი გახდა სამთავრობო ძალების რიგი გამარჯვებები ტერორისტებზე“, – განაცხადა ასადმა.

დასავლური მედია უახლოესი კვირების განმავლობაში სირიის შესაძლო დაბომბვაზე წერს, რისი შანსიც უფრო და უფრო იზრდება. „ტელეგრაფი“ დიდი ბრიტანეთის მთავრობის წყაროზე დაყრდნობით წერს, რომ: „ სირიაში სამხედრო მოქმედებების დაწყების ბრძანება, შესაძლოა, უახლოეს კვირების განმავლობაში გაიცეს“.

ცოტა ხნის წინ სირიის მთავრობამ გაეროს ინსპექტორებს დამასკოსთან ახლოს იმ ადგილის მონახულების ნება დართო, სადაც სირიის ოპოზიციის მტკიცებით, ასადის ძალებმა ქიმიური იარაღი გამოიყენეს. თუმცა, ამერიკამ ხუთი დღის შემდეგ მიღებულ ამ გადაწყვეტილებას უკვე უწოდა „დაგვიანებული“.

როგორც ცნობილია, მას შემდეგ, რაც ასადის ძალების მიერ ქიმიური იარაღის გამოყენების შესახებ ინფორმაცია გავრცელდა, ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ქვეყნის თავდაცვის უწყებას სირიის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის გეგმის მომზადება დაავალა. ცოტა ხნის წინ ცნობილი გახდა, რომ სირიის მთავრობამ დამასკოსთან ახლოს გაეროს ექსპერტები დაუშვა. თუმცა, დასავლელი ლიდერები მას „დაგვიანებულ ნაბიჯად“ აფასებენ.

შეგახსენებთ, რომ სირიის საკითხებზე დევიდ კემერონმა სატელეფონო კონსულტაციები ბარაკ ობამასთან გამართა. ქვეყნების ლიდერებმა განაცხადეს, რომ სულ უფრო მეტი მტკიცებულება ჩნდება იმისა, რომ ეს დანაშაული ასადის რეჟიმმა ჩაიდინა. ბრიტანეთი და აშშ სირიას „სერიოზული პასუხით“ დაემუქრნენ თუ გაირკვევა, რომ ასადის რეჟიმი პასუხისმგებელია ქიმიური იარაღის მასშტაბურ გამოყენებაზე. ასადის რეჟიმის დასჯის აუცილებლობასა და მოკავშირეებთან გადაუდებელი კონსულტაციების აუცილებლობაზე უკვე განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმაც.

დღეს კი თურქეთმა ოფიციალურად განაცხადა, რომ სირიის წინააღმდეგ კოალიციას უერთდება. დიდი ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტმა, აშშ-ს შეიარაღებულ ძალებთან ერთად, სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებით, სამხედრო ოპერაციისთვის მომზადება დაიწყო. ინფორმაციას ამის შესახებ „ტელეგრაფი“ ავრცელებს. გამომცემლობის ინფორმაციით, დიდი ბრიტანეთის პრემიერი დევიდ კემერონი სირიაში სამხედრო ოპერაციის განხორციელების შესახებ ამ დროისათვის, აშშ-სთან აწარმოებს მოლაპარაკებებს. შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში სამხედრო ოპერაცია შესაძლოა უკვე ამ კვირაშიც განხორციელდეს.



დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის უილიამ ჰეიგის განცხადებით, აშშ-მ და მისმა მოკავშირეებმა, სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადს უნდა დაანახონ, რომ საერთაშორისო საზოგადოება სირიის მოსახლეობის წინააღმდეგ ქიმიური იარაღის გამოყენებას გულგრილად ვერ დატოვებს. თურქეთი ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის წინააღმდეგ ნებისმიერ კოალიციას შეუერთდება, მიუხედავად იმისა იქნება თუ არა გაეროს სანქცია. აღნიშნულის შესახებ „როიტერმა“ თურქეთის პირველი დიპლომატის აჰმეთ დავითოღლუსაგან შეიტყო.

„ამ დროისათვის 36-37 ქვეყანა ამ ალტერნატივას განიხილავს. თუ ამ განხილვის პროცესში სირიის წინააღმდეგ კოალიცია შეიქმნა, თურქეთი ამ კოალიციაში ადგილს დაკავებს“, - აღნიშნავს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი.

მინისტრის თქმით, ანკარა აქამდე ყოველთვის მხარს უჭერდა იმას, რომ საერთაშორისო საზოგადოებას გაეროს გადაწყვეტილებების მიხედვით ემოქმედა, თუმცა მოცემულ მომენტში თუ უშიშროების საბჭო დამასკოზე ზეწოლის განხორციელების გადაწყვეტილებას არ მიიღებს, თურქეთის მთავრობა მზადაა სხვა ვარიანტებიც განიხილოს. შეგახსენებთ, რომ აშშ სირიაში სამხედრო სცენარის განხორციელებისთვის მზადაა. აშშ-ის თავდაცვის მდივნის ჩაკ ჰეიგელის თქმით, აშშ-ის არმია სირიაში სამხედრო სცენარისთვის მზადაა, თუ პრეზიდენტ ბარაკ ობამასგან შესაბამისი ბრძანება იქნება. მისივე თქმით, ობამამ თავდაცვის უწყებას მიმართა, სირიის კონფლიქტის გადასაწყვეტად ვარიანტები მოამზადოს.

„ჩვენ შევასრულეთ ეს და მზად ვართ, ნებისმიერი მათგანი განვახორციელოთ, თუ შესაბამისი ბრძანება იქნება“, – განაცხადა ჰეიგელმა.

„როიტერის“ ინფორმაციით კი, გაეროს ექსპერტების ჯგუფი უკვე გამეგზავრა დამასკოს გარეუბანში იმ ადგილის დასათვალიერებლად, სადაც სირიის ოპოზიციის მტკიცებით, ასადის ძალებმა ქიმიური იარაღი გამოიყენეს. როგორც ცნობილია, ხუთდღიანი ფიქრის შემდეგ ქვეყნის მთავრობამ გაეროს დამკვირვებლებს ამ ადგილის მონახულების ნება დართო. სირიის ოპოზიციის მტკიცებით, დამასკოს გარეუბანში ნერვული გაზის გაშვებას 1300 ადამიანი ემსხვერპლა, მათ შორის ქალები და ბავშვები.

დამასკოში იმ ქუჩაზე, სადაც გაეროს ექსპერტთა ჯგუფის სასტუმრო მდებარეობს, სულ მცირე ორი ბომბი აფეთქდა. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა „როიტერს“ განუცხადეს, რომ ერთი ბომბი სასტუმრო „ფორ სიზონთან“ ახლოს ჩამოვარდა, რომელშიც გაეროს წარმომადგენლები რჩებიან. სირიის სახელმწიფო არხების ცნობით, ბომბები ხელნაკეთია და „ტერორისტებმა“ ისროლეს. სააგენტო „სანას“ ცნობით, ბომბების აფეთქების შედეგად სამი ადამიანი დაშავდა.

გაეროს ინსპექტორებმა დამასკოში სასტუმრო ცოტა ხნის წინ დატოვეს და იმ ადგილის მოსანახულებლად გაემგზავრნენ, სადაც სირიის ოპოზიციის მტკიცებით, ასადის ძალებმა ქიმიური იარაღი გამოიყენეს.

# სნოუდენი შერემეტიევოს აეროპორტში კუბის უარის გამო ჩარჩა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ბოლო მომენტში მიიღეს, როდესაც სნოუდენი მოსკოვიდან ჰავანაში უნდა გამგზავრებულიყო. „კომერსანტის“ წყაროს ცნობით, კუბამ ეს გადაწყვეტილება ამერიკის ზეწოლის შედეგად მიიღო.

როგორც ცნობილია, სნოუდენს აგვისტოს დასაწყისში რუსეთმა დროებითი თავშესაფარი მიანიჭა. შეგახსენებთ, რომ სნოუდენმა ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს საიდუმლო პროგრამა გაამჟღავნა.

რუსეთის გენერალური პროკურორის მოადგილემ ალექსანდრ ზვიაგინცევმა ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ მის უწყებას ედვარდ სნოუდენის გადაცემასთან დაკავშირებით ამერიკისაგან თხოვნა არ მიუღია.

„სნოუდენთან დაკავშირებით ამერიკული მხარისაგან არავითარი თხოვნა არ მიგვიღია. მათ მხოლოდ გვაცნობეს, რომ სნოუდენს ამერიკის პასპორტი ჩამოერთვა“, – განუცხადა ზვიაგინცევმა ჟურნალისტებს.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

# TV პროგრამა

## სამშაბათი 27 აგვისტო

**08.00** დ/ფ "პირველი ეთიოპელი ქრისტიანი-ბერების კვალდაკვალ" **09.00** საბ. მხ/ფ "**როგორ მივირთვათ შემწვარი ჭიაყელები**" **10.30** ან/სერ. "პატარა წიწილები" **11.00** "გურმანია" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.35** მხ/ფ "**ოსტინ პაუერსი გოლდმემბერი**" **14.20** დ/ფ "ოთხგანზომილებიანი ატლასი" **15.00** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" **17.00** ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" **18.00** დ/ფ "მუზეუმის საიდუმლოებანი" **19.05** ტ/სერ. "**მაგდა ემი**" **21.00** ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" **22.00** დ/ფ "ფეხბურთის მეამბოხენი" **22.40** **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგის პლეიოფის განმეორებითი მატჩი. **00.40** დ/ფ "ელიოტ ნესი ალკაპონეს წინააღმდეგ"

**08.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00** "ბრიფინგის დრო" **10.00, 14.00, 19.00, 22.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**". **11.00** დ/ფ "სახელგანთქმული თვითმფრინავები" **6** ნაწ. **16.00** დ/ფ "სახელგანთქმული თვითმფრინავები" **7** ნაწ. **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **23.00** მხ/ფ "**კიარა და ფრანჩესკო**" **3-4** სერ.

**09.00** ან/ფ "სპანჯბობი" **10.00** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **3** სერ. **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **11.20** სერ. "**ცივი გული**" **12.30** მუსიკალური ლიგა (გ/ჩ) **14.40** კონცერტი: "პაემანი ვერაზე – გიზო ნიშნიანიძე" I ნაწ. (გ/ჩ) **16.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **17.50, 18.50, 19.05** სერ. "**მაგნატები**". **21.00** სერ. "**დაბრუნება**" **22.00** ქ.სერ. "**შუა ქალაქში**" (გ/ჩ) **23.00** ქ.სერ. "**ცხელი ძაღლი**" **00.15** მხ/ფ. "**კაპიტან ალატრისტეს ცხოვრება** "

**08.00, 03.00** კურიერიჰ დაიჯესტი **08.30** მხ/ფ "**JUMANJI**" **10.00** სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" **11.00** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** ქართ. მხ/ფ "**ცისფერი მთები** " **14.00** სერ. "**ერთგულების ძალა**" **15.30** შერეკილები **17.00** სერ. "**ნამდვილი გრძნობა**" **18.50** სერ. "**ტიტების დრო**" **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** გაცინე და მოიგე. **22.40** ჩემპიონთა ლიგა **01.00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **01.30** მხ/ფ

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **06.30** მხ/ფ "**ეი,მაესტრო**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ქრისტიანული სწავლება **08.45** მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები **09.05, 18.05, 21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **09.10** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40, 21.20** ლექსით ქებათა ქება **10.45** მოკ/ფ "**წითელი ბუშტი**" **10.20** საღვთისმეტყველო საუბრები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**როცა აყვავდა ნუში**" **13.20** ქართული მულტფილმი **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.45** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** სად უჩინარდებიან ჩემპიონები **15.20** დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **15.40** კონცერტი - ანს."შვიდკაცა" **17.00** ერთსულოვნების სალონი **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ჩვენი ტრაპეზი **19.30** დროის ჩანაწერები **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ისტორიის გაკვეთილი **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** "საუფლონი" - გიხაროდენ სასუფეველსა **00.35** მხ/ფ "**ნაზარის უკანასკნელი ლოცვა**" **01.45** ირაო

მაესტრო **7.00, 0.00, 2.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმები **9.30, 2.30** მაგთიფანი (გამ.) **10.00** გადაცემა "პულსი" (გამ.) **10.30** მაღვიძარა (სიუჟეტების კოლაჟი) **11.00, 12.40, 17.30, 1.15, 3.30, 6.30** ფარული კამერა **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **14.40, 22.00, 4.30** "ყოველდღიური აბები" **15.30** მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება(გამ.) **16.00** **სერიალი "შტორმი"** **19.00** **სერიალი "1001 ღამე"** **22.20** "კინო მაესტროზე" **0.30, 5.30** ღია კარის დღე

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

27 აგვისტო


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6615

ევრო — 2,2194

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5949

100 რუსული რუბლი — 5,0264

## ამინდის პროგნოზი 27 აგვისტოსთვის




## მალე! მალე! მალე!

**ლეგენდარული ქართული დეტექტივის, „მგლის ბილიკის“, გაგრძელება**

# „შავი ვარდი“

**„ახალ თაობასთან“ ერთად**

# ზვიად სიჭინავა: კმაყოფილი ვიქნებით, თუ ახალგაზრდული ნაკრებიც ასაკობრივ შედეგს გაიმეორებს



ახალი სეზონი დაიწყო ეროვნულ ჩემპიონატში, ასევე მალე შეუდგება მორიგ შესარჩევ ეტაპს ახალგაზრდული ნაკრებიც. საქართველოს მთავარ გუნდსაც ორი რთული თამაში ელის საფრანგეთთან და ფინეთთან. ამის გარდა, თბილისს 2015 წელს ევროპის სუპერთასი აქვს სამასპინძლო. ამ ყველაფერთან დაკავშირებით ჟურნალისტებთან პრესკონფერენცია გამართა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ.

— ამ პრესკონფერენციის დღეს მოწვევა იმიტომ გადავწყვიტეთ, რომ ხვალიდან გარკვეული დროით საქართველოში არ ვიქნებით. როგორ იცით, 2015 წელს თბილისი ევროპის სუპერთასს უმასპინძლებს და ამ თემასთან დაკავშირებით ბევრი საკითხია გადასაწყვეტი. წლევანდელი სუპერთასი პრაღაში ტარდება და ამიტომ მზადებას იქიდან დავიწყებთ. სამუშაო ჯგუფი ჩავა ჩეხეთში, სადაც გაივლიან პირველ ეტაპს მარკეტინგის, ლოჯისტიკისა და ლიცენზირების საკითხში. რაც შეეხება თავად მატჩან დაკავშირებით არსებულ მზადებას, მას უკვე გაისად დავიწყებთ კარდიფში.

ასევე მნიშვნელოვანი საკითხია, რომ ფედერაციამ უკვე სრულად გაისტუმრა ის ვალი, რაც ჩვენს მოსვლამდე დაგვხვდა. საუბარია 20 მილიონ ევრომდე არსებულ დავალიანებაზე. ყველა ბანკთან და კომპანიასთან უკვე სუფთა ფურცლით ვიწყებთ მუშაობას. უკვე მზად ვართ ახალი მიზნებისთვის შევუდგეთ მუშაობას.

სადღეისოდ, ფედერაციას გააჩნია 107 მილიონი ლარის ღირებულების ქონება, რომელიც ჩვენს მოსვლამდე სულ 3 მილიონს შეადგენდა. ვალების გასტუმრებასთან ერთად მნიშვნელოვნად გაიზარდა ხარჯებიც. ეს ეხება ინფრასტრუქტურას თუ სხვა მსგავსი საკითხების მოწესრიგებას.

ახალი სეზონი დაიწყო ეროვნულ ჩემპიონატში, ახალი შესარჩევი ეტაპისთვის იწყებს მზადებას ახალგაზრდული ნაკრები, ოქტომბერ-ნოემბერში ვუმასპინძლებთ 17 და 19 წლამდე ნაკრებების შესარჩევ ტურნირს. 17-წლამდე ნაკრებებს „მიხეილ მესხი“, „დინამო არენა“ (1 მატჩი) და გორის „თენგიზ ბურჯანაძე“ (2 მატჩი) უმასპინძლებს. გორის სტადიონი უკვე მზად არის ასეთი ტურნირის სამასპინძლოდ. ამის გარდა, ეს რეგიონებში ფეხბურთის პოპულარიზაციაზეც იმოქმედებს.

19-წლამდელებს „მიხეილ მესხის“ გარდა, აქვე გაკეთებულ მეორე სტადიონზეც გაიმართება მატჩები (დამატებით არის „დინამო არენას“, „თენგიზ ბუჯანაძისა“ და რუსთავის „ფოლადის“ სტადიონები). „მიხეილ მესხზე“ არსებული მეორე სტადიონი ნოემბრისთვის სრულ მზადყოფნაში იქნება, ძალიან ცოტა სამუშაოა დასამთავრებელი. მინდორი ძალიან კარგია, დანარჩენი ყველაფერი ისეთ

გაგრძელება მე-9 გვერდზე

## სნოუდენი შერემეტიევოს აეროპორტში კუბის უარის გამო ჩარჩა



ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ყოფილი თანამშრომელი ედვარდ სნოუდენი მოსკოვში შერემეტიევოს აეროპორტის სატრანზიტო ზონაში მას შემდეგ ჩარჩა, რაც ჰავანამ მის მიღებაზე უარი თქვა.

რუსული ჟურნალი „კომერსანტი“ სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით წერს, რომ ეს გადაწყვეტილება კუბას მაღალჩინოსნებმა

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## ასტროპროგნოზი 27 აგვისტოსთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ! ეს დღე მშვიდად გაატარეთ**

**ვერძი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** — ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, სხვები მოიცდიან. **ტყუპები** — პოზიტიური დღეა, თქვენი საქმე კარგად მიდის. **კირჩხიბი** — ეს დღე მშვიდად გაატარეთ, ზედმეტი აქტიურობა არ ღირს. **ლომი** — წარმატებული დღეა, ყველა საქმე გამოგდით. **ქალწული** — რისკი არ არის გამართლებული, სიმშვიდე შეინარჩუნეთ. **სასწორი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ავეჯს შეიძენთ. **ღრიანკალი** — ახალ საქმეს წამოიწყებთ, გაგიმართლებთ. **მშვილდოსანი** — გზიდან ფულს მიიღებთ, პრობლემები არ გაქვთ. **თხის რქა** — იაქტიურეთ, თქვენი საქმე კარგად წავა. **მერწყული** — შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ, მთლიანობაში ჰარმონიული დღეა. **თევზები** — საღამოს ახალ ამბავს გაიგებთ, გახარებული ხართ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. პოპულარული ზღვისპირა კურორტი ნეაპოლის ყურეში; 2. ბნელი ღამე; 3. მიწის სათხრელი მანქანა; 4. ფსიქიკური დაავადების უმძიმესი ფორმა, როდესაც ავადმყოფი დუმს, არ მოძრაობს, არ რეაგირებს ტკივილზე; 5. სამხატვრო გამოფენის გახსნა; 9. შიში სიახლის, ცვლილებების წინაშე; 12. გარკვეული მდგომარეობისა და მიმართულების მქონე სწორი ხაზის მონაკვეთი; 14. უკრაინული ესტრადის მომღერალი ქალი; 15. ფულის ერთეული ალბანეთში; 17. საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდი; 18. მაგიდის სათამაშო ჭადრაკის დაფაზე.

**თარაზულად:** 6. ქვანახშირის, მადნის გადასაზიდი თვითმცლელი სარკინიგზო ვაგონი; 7. პირველი ქართული მხატვრული ფილმი; 8. შრომის, ცხოვრების, დასვენების, კვების მტკიცე დადგენილი წესი; 10. ამერიკული საავტომობილო კონცერნი; 11. მეტალურგიაში გამდნარი თუჯიდან ფოლადის მიმღები აპარატი; 13. ნიუ იორკის ერთ-ერთი რაიონი; 16. ფრანგი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 19. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი შვედური ფირმა; 20. მწვანე ფერის ძვირფასი ქვა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა




# ანი სირაძეს ახალი კლიპი აქვს

ეკა ირემაშვილი

მომღერალ ანი სირაძეს ახალი კლიპი აქვს. მისი ავტორი ტრადიციულად მომღერლის უახლოესი მეგობარი ანრი ჯოხაძეა. მეგობრებმა კლიპის გა-



დასაღებად ზაფხული გამოიყენეს და გადასაღები მოედანი ვაკის პარკთან გაშალეს.

რეჟისორმა ამჯერადაც გრანდიოზულობით და ორიგინალურობით გადაწყვიტა მეგობრისთვის კლიპის გადაღება და ვაკის პარკის ცენტრალურ შესასვლელთან სახანძრო მანქანები, სამაშველო სამსახური იქნა მობილიზებული.

ანი სირაძისთვის, რომელის „ჯეოსტარიდან“ სკანდალურად წასვლის შემდეგ ისევ გამოჩნდა ქართულ შოუბიზნესში, ეს რიგით მეოთხე კლიპია. ერთ-ერთი კლიპი მას და ანრის ერთადაც აქვთ გადაღებული და მისი ავტორიც ანრი ჯოხაძეა. როგორც ჩანს, მომღერალმა საბოლოოდ გადაწყვიტა ქართული შოუბიზნესისგან დროებით დაისვენოს და კლიპმეიკერობას მიჰყოს ხელი. ალბათ ამის დასტურია ისიც, რომ მან უკვე გადაუღო კლიპები თავის უახლოეს მეგობარს ვერიკო ტურაშვილს სიმღერებზე „რა კარგი ხარ, რა კარგი“ და „რაც ამქვეყნად სიყვარული მეფობს“. ამ უკანასკნელში მომღერალმა ქართული თეატრისა და კინოს ვარსკვლავები გადაიღო და ქართულ საზოგადოებაში დიდი მოწონებაც დაიმსახურა.

ერთ-ერთი ბოლო კლიპი, რომელზეც მომღერალმა იმუშავა, გურამ საღარაძეს მიუძღვნა. მასში რუსთაველის თეატრის მსახიობები მარინა კახიანი, თათული დოლიძე, ია სუხიტაშვილი და ქეთი სვანიძე მონაწილეობენ. როგორც „ახალ თაობას“ თათული დოლიძემ და მარინა კახინმა განუცხადეს, კლიპი გურამ საღარაძის ხსოვნას მიეძღვნა და სწორედ ამიტომ მათ ყოველგვარი დაფიქრების გარეშე მიიღეს ანრის კლიპში მონაწილეობა.

ორიგინალურობა მომღერალს არც ამ კლიპში დაუკარგავს და სიმღერაში „უმისამართოდ“ თავად გურამ საღარაძეც ჩართო. კლიპის თავდაპირველ ვერსიაში მონაწილეობა უნდა მიეღო თავად გურამ საღარაძეს, მაგრამ მსახიობის სიცოცხლეში გადაღება ვერ მოესწრო. მიუხედავად ამისა, გურამ საღარაძე კლიპში ერთ-ერთი მთავარი გმირია, მხატვრული კითხვის დიდოსტატი შანდორ პეტეფის ლექსს „მიყვარხარ ძლიერ, ძლიერ“ კითხულობს. მუსიკა და რეჟისურა ანრი ჯოხაძისაა, ტექსტი — ბერდია ბერიაშვილის. რუსთაველის თეატრში გადაღებულ კლიპში მასში მონაწილე მსახიობები გრძნობებს ჟესტიკულაციითა და პლასტიკით გამოხატავენ.

ანრი ჯოხაძემ საქართველოს ჰიმნის ახლებური ვერსიაც ჩაწერა. მომღერალმა კომპოზიციაზე კლიპიც გადაიღო და მისი პრეზენტაცია ქართული საზოგადოებისთვის ინტერნეტსივრცეში მოაწყო.

როდის შედგება ანი სირაძის კლიპის პრეზენტაცია, ჯერჯერობით უცნობია. ეს არის რიგით მესამე კლიპი ანი სირაძის შემოქმედებაში, რომლის რეჟისორიც ანრი ჯოხაძეა. ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული და რეიტინგული მაინც „არ გვინდა ვანია“ იყო, რომელსაც მომღერლებმა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის გამოძახილი უწოდეს. ამჯერად ანი სირაძე კომპოზიტორ გია მაჭარაშვილის სიმღერას ასრულებს და მას „მხოლოდ სიზმარი“ ეწოდება. ტექსტი სიმღერისთვის ლალი სხირტლაძემ დაწერა. სიმღერა მომღერალმა სტუდია „უნივერსალში“ ჩაწერა. ამჯერად კლიპმეიკერობის გარდა, ანრიმ სიმღერის არანჟირებაც ითავა და მეგობარს მელოდიის თავისებური ინტერპრეტაცია შესთავაზა. სიმღერა ტრადიციულად სიყვარულზეა. მომღერალი თავის ძველ შეყვარებულს უმღერის და ამას მხოლოდ სიზმრის ასოციაციას აძლევს.

# ბათუმი ქუჩის ხელოვნების ფესტივალს მასპინძლობს

ბათუმი ქუჩის ხელოვნების ფესტივალს — ბათუმი სტრით არტ ფესტივალს მასპინძლობს. ფესტივალს არტ სტუდია „დოტკომა“ წარმოადგენს, რომლის მხარდამჭერი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროა.

სახელოვნებო ბათუმი სტრით არტ ფესტივალი აერთიანებს 9 მხატვარს პარიზიდან და 6 ქართველ არტისტს, როგორც თბილისიდან ასევე ბათუმიდან.

ფესტივალის ფარგლებში ბათუმში თრამპ თაუერისა და ანბანის კოშკის მიმდებარე ტერიტორიაზე დაიგეგმა ფრანგი და ქართველი მხატვრების მიერ სარეკლამო ბილბორდების, სტენდებისა და კედლების მოხატვა, ასევე შეიქმნება ნამუშევრები ბათუმისთვის.

ფესტივალი ანბანის კოშკის ტერიტორიაზე გაიხსნა და მთელი დღის მანძილზე მოხდა 7



სარეკლამო ბილბორდის მოხატვა. ფესტივალის მომდევნო დღეს თრამპ თაუერის მიმდებარედ შუშის შენობაზე მთელი დღის მანძილზე მოიხატა 10 ხის სტენდი, რომელიც გამოფენილი იქნება 4 ნოემბრამდე. ბათუმის მერიის მიერ გამოყოფილ სივრცეებში მთელი დღის მანძილზე განხორციელდა კედლების მოხატვა.

ფესტივალი, რომელშიც ქართველი და ფრანგი ხელოვანები არიან ჩართული, არტ ვილა გარიყულაში კედლის მოხატვით 27 აგვიტოს დასრულდება.

როგორც არტ სტუდია „დოტკომას“ ხელმძღვანელმა გელა წულაძემ „ახალ თაობას“ განუცხადა:

— ეს ფესტივალი ბათუმში პირველად ტარდება. მე და ყარამან ქუთათელაძე ერთობლივად ვახორციელებთ სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებს. ამჯერადაც ვაკეთებთ ფესტივალს, რომელიც მოიცავს ქართველი და ფრანგი ხელოვანების გაერთიანებას. ჩვენთან იმყოფება 5 ფრანგი სტუდენტი და პრაქტიკას გადიან არტ ვილა „გარიყუ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ლურჯი წითელი ყვითელი შავი